პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—20.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული განცხადების ფასისა იკლებს 10%. საქალაქო განცხადებები: თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 30 ოქტომბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 252 (2295)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— ფეიქართა გაფიცვა პოლონეთში გრძელდება.
— საფრანგეთის ფეიქართა გაფიცვა ფართოვდება.
— ინგლისის მემაღაროები დიდ გაჭირვებას განიცდიან.
— პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება 3 ნოემბერს განახლდება.
— კულიჯი კელოგის პაქტის შესახებ.
— ტულონში (საფრანგეთი) დააპატიმრეს იტალიის ჯაშუშები.
— ორი სამხედრო აეროპლანის დამტვრევა ჩეხო-სლოვაკიაში

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა
ნოემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მასიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა სოფლად

(საკავშ. კომპ. ცეკას მიმართვის გამო)

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ პარტიულ ორგანიზაციებისადმი დაგზავნილ მიმართვაში, სადაც ლაპარაკია ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობის შემოწმების შესახებ, სხვათა შორის, ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს: „მოჯამაგირეთა ორგანიზაცია და შეკავშირება ღარიბი გლეხობისა, რომელიც მუშათა კლასის დასაყრდნობია სოფლად, ჩვენი მასიური პოლიტიკური მუშაობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ამ მუშაობას განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს დღევანდელ პერიოდში—კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდში სოფლად, როდესაც სოციალისტური ელემენტების გაშლა-განვითარებას გაძლიერებულ წინააღმდეგობას უწევენ კულაკები".

ცეკას მიერ წამოყენებულ დებულების პრაქტიკულად შესისხლხორცებისათვის ჩვენს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს დიდი საპასუხისმგებლო მუშაობის ჩატარება დასჭირდებათ. ჩვენ საკმაოთ ბევრს ვწერთ და ვლაპარაკობთ ღარიბ გლეხობის ორგანიზაციის შესახებ. რეალური მიღწევები კი, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ბევრად ჩამორჩება იმ პროპაგანდა - აგიტაციას, რომელიც სწარმოებს ღარიბ გლეხობის ორგანიზაციის სასარგებლოდ. ჩვენ დღემდე იმის ნათელი სურათიც არა გვაქვს, თუ რა მიღწევები ან რა დეფექტებია ამ დარგში, ჩვენ არა თუ საკმაოდ ენერგიულად ვერ ვმუშაობთ ღარიბ გლეხობის ორგანიზაციულად და პოლიტიკურად გაერთიანებისათვის, არამედ ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელ დონეზე არა გვაქვს დაყენებული ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის აღრიცხვაც.

საკავშირო კომპარტიის ცეკას მიმართვა აქეთკენ მოუწოდებს ადგილობრივ ორგანიზაციებს. საჭიროა მოხდეს ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის გენერალური შემოწმება. ამისათვის საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა საბჭოების მომავალი არჩევნები. ეს არის ერთ-ერთი მორიგი უდიდესი კამპანია, რომლის დროსაც ხდება ჩვენი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საფუძვლიანი შემოწმება. ღარიბთა შეკავშირება-დარაზმვა კი წარმოადგენს მასიური მუშაობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას. ამიტომ საბჭოთა არჩევნებმა უნდა ცხადჰყოს რამდენად მტკიცეა ჩვენი კლასიური პოზიციები სოფლის ამა თუ იმ რაიონში, რამდენად აქტიურია ღარიბი გლეხკაცობა, სწორად ტარდება თუ არა პარტიის პოლიტიკა სოფლად მუშაობის დარგში.

გლეხთა შორის მუშაობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ღარიბ გლეხკაცობის შეკავშირება კულაკების გავლენის აღმოფხვრისა და საშუალო შეძლების გლეხკაცობასთან კავშირის განმტკიცების გზით. ამ დედააზრის მიხედვით უნდა მოხდეს ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობის შემოწმება.

იმისათვის, რომ შემოწმებამ სასურველი ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა ჩვენთვის გარკვეული იყვეს ის საკითხები, რომელთაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება აღნიშნულ შემოწმების დროს. რამდენადაც ღარიბთა შორის მუშაობის გამოკვლევა დაკავშირებულია საბჭოთა არჩევნების სამზადისთან, პირველყოვლისა, საჭიროა შემდეგი მომენტების გაშუქება: ღარიბი გლეხობის, კერძოდ მოჯამაგირეების მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში, სექციების თუ კომისიების საქმიანობაში. ადგილი არ უნდა დაურჩეს ამ საკითხისადმი ფორმალურ მიდგომას, არ კმარა იმის გამორკვევა, თუ რამდენი ღარიბი გლეხია საბჭოს, აღმასკომის ან თუნდაც აღმასკომის პრეზიდიუმის შემადგენლობაში. გაცილებით უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის გამოაშკარავებას, თუ რამდენად არიან ჩაბმული ღარიბები პრაქტიკულ მუშაობაში, რამდენად არის დაცული კლასიური პრინციპები, ხომ არ ატარებდა ღარიბთა საბჭოების წევრებად არჩევა „მოვალეობის მოხდის" ხასიათს და სხვა. ასევე უნდა მივუდგეთ შემოწმების დროს სოფლად მომუშავე ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების საქმიანობას, როგორც მაგალითად, კოოპერაციის, საკრედიტო ამხანაგობების, გლეხკომების და სხვ.

დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ღარიბთა შორის მუშაობის შესწავლის დროს ღარიბთა მონაწილეობის გამოკვლევას კოლექტიურ მეურნეობათა განვითარებაში. გლეხკაცობის ეს სოციალური ფენა კოლექტივიზაციის გამტარებელ ძირითად ძალას უნდა წარმოადგენდეს. საჭიროა იმის გამორკვევა, თუ რამდენად ტარდება ეს ცხოვრებაში, რამდენად ინტენსიური მუშაობა სწარმოებს ადგილებზე სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, რამდენად ამართლებენ არსებული კოლექტივები წევრთა შემადგენლობისა და მუშაობის შინაარსით თავიანთ დანიშნულებას და სხვა.

არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტგანმანათლებელ მუშაობასაც. ამ მიმართულებით დღემდე საზოგადოთ ცოტაა გაკეთებული სოფლად და, კიდევ უფრო, ცოტა—ღარიბ გლეხთა სასარგებლოდ. უნდა გამორკვეულ იქნას, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ჩვენი განათლების ორგანოები ღარიბ გლეხკაცობის და კერძოდ მოჯამაგირეთა კულტურულ მოთხოვნილებას. უნდა გამოძებნილ იქნას ღონისძიებები იმისათვის, რომ ღატაკი გლეხკაცობა არა მარტო ფორმალურად, არამედ პრაქტიკულადაც მისი მდგომარეობის შესაფერ პრივილეგიებით სარგებლობდეს სწავლა-განათლების მიღების დარგში.

ღარიბთა შორის მუშაობის განზრახულ შემოწმებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიის, კომკავშირის და პროფკავშირების ორგანიზაციებმა. ამ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან აგრეთვე საბჭოების, კოოპერატივების, საშეფო საზოგადოებათა აქტივი და სოფლის ცალკე მოწინავე ელემენტები. საჭიროა გაცხოველებულ იქნას სოფლის ყველა აქტიურ ძალების ყურადღება ღარიბ გლეხკაცობის შორის მუშაობის საკითხებისადმი, საჭიროა ახალი სოფლის მშენებლობის თვითეულ მონაწილემ გაიგოს მნიშვნელობა, რომელსაც პარტია აკუთვნებს სოფლის ღარიბი მოსახლეობის ორგანიზაციის საქმეს და აქედან შესაფერი პრაქტიკული დასკვნა გააკეთოს.

ახალი ბრძოლებისა და ახალი გამარჯვებისაკენ

დღეს სრულდება ათი წელი მას შემდეგ, რაც გაიხსნა მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კავშირების პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა, რომელზედაც დაარსდა ახალგაზრდათა კომკავშირი.

ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში ჩაისახა ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრის წინა პერიოდში და თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე ვითარდებოდა ბოლშევიკური პარტიის დროშის ქვეშ. იგი გაიზარდა და განმტკიცდა პროლეტარული აჯანყების კოცონში, პროლეტარიატის მკაცრ ბრძოლებში დიქტატურის განსამტკიცებლად და მის შემოქმედებით მუშაობაში ახალი საზოგადოების შესაქმნელად.

პარტიასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით კომკავშირი იბრძოდა ოქტომბრის ბარიკადებზე და სამოქალაქო ომის ფრონტებზე, სადაც ის პირველად ეზიარა ბრძოლას. პარტიასთან ერთად ის მთელი თავისი ძალღონით ებრძოდა შიმშილს, სიცივეს, სამეურნეო ნგრევას, შრომობდა კომუნისტურ შაბათობებზე და მთელს თავის ძალღონეს და ენერგიას ახმარებდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღდგენას.

პარტიასთან ერთად კომკავშირი შეურიგებლად იბრძოდა ლენინის მოძღვრების სიწმინდისათვის და პარტიული რიგების მთლიანობისათვის, ის იდეურად იწრთობოდა მკაცრ ბრძოლაში ანტი - ლენინური მიმდინარეობების წინააღმდეგ.

პარტიასთან ერთად კომკავშირი, როგორც მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის მოწინავე რაზმი, არასოდეს არ ივიწყებდა თავის ინტერნაციონალურ პროლეტარულ მოვალეობებს. მრავალი კომკავშირელი აღიზარდა ამ მოძრაობის საუკეთესო ტრადიციებზე. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნაში ჩვენმა კომკავშირმა უდიდესი როლი ითამაშა.

პარტიამ ახალგაზრდობის მოძრაობის წარმოშობისთანავე შეაფასა ის უდიდესი როლი, რომლისთვისაც მოწოდებულია კომკავშირი; წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა, რომლებიც საშინლად უფრთხოდნენ ახალგაზრდობის რევოლიუციონურ სულისკვეთებას და სცდილობდნენ ჩაეხშოთ ახალგაზრდათა ენერგიული მოძრაობა, ჩვენმა ბოლშევიკურმა პარტიამ თავისი ურთიერთობა კომკავშირთან ააგო არა მარტო იმ საფუძველზე, რომ ახალგაზრდობა აუცილებლად ცნობდეს პარტიულ ხელმძღვანელობას, არამედ იმ საფუძველზეც, რომ კომკავშირის შიგნით უზრუნველყოფილი იყოს ფართო თვითმოქმედება და კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს პროლეტარიატის ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში.

მხოლოდ პარტიის ასეთი ხელმძღვანელობის მეოხებით კომკავშირი, რომელიც მოძრაობის დასაწყისში შესდგებოდა ახალგაზრდა მოწინავე მუშების მცირე რაზმებისაგან, გაიზარდა ძლიერ ორმილიონიან ორგანიზაციად, რომლის დროშის ირგვლივ გაერთიანებულნი არიან ქალაქისა და სოფლის მშრომელი ახალგაზრდობის ფართო მასები.

მხოლოდ ამის წყალობით კომკავშირის რიგებში აღიზარდა პარტიის მრავალი ასი და ათასი წევრი, ბოლშევიზმის საქმისათვის თავდადებული, მუშაკი, რომელიც ასრულებს თავის მოვალეობას სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგში.

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ათი წლის იუბილე არის იმ უდიდესი მუშაობის შემოწმების დღე, რომელიც ჩაატარა კომკავშირმა. ბოლშევიკური შემცვლელი თაობის აღსაზრდელად და სოციალიზმის მშენებელთა ახალი კადრების მოსამზადებლად. მრავალ სახელოვან ფურცელს შეიცავს კომკავშირის ათი წლის ისტორია, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი რთული ამოცანა მოელის კომკავშირს მომავალში.

ის უდიდესი მუშაობა, რომელიც სწარმოებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნისათვის და რომელიც მოითხოვს მრავალ კვალიფიციურ ძალას და ხელმძღვანელს, უაღრესად მწვავედ აყენებს ახალი კადრების აღზრდის პრობლემას. ამ ამოცანის გადაჭრის მთავარი სიმძიმე ეკისრება კომკავშირს. მისი რიგებიდან უნდა გამოვიდეს სოციალისტური მუშაკების ახალი თაობა, რომელიც თავისი კულტურული დონით ბევრად მაღლა იდგომება მუშების უფროს თაობაზე, შეითვისებს მეცნიერებისა და ტეხნიკის მიღწევებს და შესძლებს განაგრძოს უფროსი თაობის საქმე — „ნეპის რუსეთი გადააქციოს სოციალისტურ რუსეთად". სწორედ ამიტომ კომკავშირი არა სიტყვით, არამედ საქმით უნდა იყოს კულტურული რევოლიუციის მოწინავე მებრძოლი და მისი იდეების გამავრცელებელ პროლეტარიატისა და გლეხობის უაღრესად ფართო ფენებში.

მაგრამ ამ როლის წარმატებით შესასრულებლად კომკავშირმა „კულტურული რევოლიუცია" უნდა მოახდინოს თავის საკუთარ რიგებში. მისი უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ენერგიულად იბრძოლოს როგორც კომკავშირელთა მთელი მასის, ისე განსაკუთრებით კომკავშირის აქტივის იდეური დონის ასაწევად. კომკავშირის განვითარებას ამჟამად უმთავრესად აფერხებს მისი არასაკმაოდ მაღალი იდეური დონე. შეუძლებელია დავსძლიოთ ახალი კადრების გამოჭედვის ამოცანა ისეთ პირობებში, როდესაც კომკავშირის კულტურისა და მარქსისტული მომზადების დონე დაბალია.

კულტურული რევოლიუციის ამოცანების განსახორციელებლად ფართო მასებში განსაკუთრებით საჭიროა მუშაობის გაძლიერება კულტურული დონის ასამაღლებლად თვით კომკავშირში. ისტორიული ასპარეზიდან თანდათან მიდიან ძველი, მარქსისტულად კარგად მომზადებული ბოლშევიკები, რომელთა რიცხვი ჩვენი პარტიის რიგებში უმისოდაც მცირეა. ხოლო მომზადება შემცვლელი თაობისა, რომელიც აღჭურვილია არა მარტო პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებით, არამედ სერიოზული მარქსისტული განათლებითაც, ნელის ტემპით მიმდინარეობს.

კომკავშირელთა რიგების კულტურული გარდაქმნა შეუძლებელია ისე, თუ არ ვაწარმოეთ გადამჭრელი ბრძოლა იმ გავლენასთან, რომელსაც ახალგაზრდობაზე ახდენს ჩვენდამი მტრულად განწყობილი ბურჟუაზია.

თვითკრიტიკის განვითარება კომკავშირში, უპირველესად ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს საკუთარ დაავადებასთან ბრძოლისაკენ (გამოტოვებულია). აქ კომკავშირს უფლება აქვს მოსთხოვოს პარტიას უფრო მეტი დახმარება და ყურადღება. კომკავშირის ათის წლის მუშაობა ამ მიმართულებით არა მარტო განმტკიცებულ უნდა იქნას, არამედ ახალ პირობებში მას უფრო დიდი გასაქანი უნდა მიეცეს.

ჩვენ პარტიას უხდება არა მარტო სოციალისტური მრეწველობის შენება, არამედ ჩვენი ჩამორჩენილი სოფლის ეკონომიკის გარდაქმნაც სოციალისტურ საფუძვლებზე. უკვე დასმულია მშენებლობის ამოცანები და იწყება მათი პრაქტიკული განხორციელება. პარტიამ უფრო მეტი მოთხოვნები უნდა წარუდგინოს კომკავშირს წარმოებაში მუშაობის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და სოციალისტური რაციონალიზაციის განხორციელების დარგში. აქ კომკავშირმა უნდა გამოიჩინოს ძალთა უდიდესი დაჭიმვა, უდიდესი დისციპლინა და თავგანწირვა. კვალიფიციურ მუშათა ახალი კადრების მომზადების პრობლემა. (გამოტოვებულია)...

ამ ამოცანების გადასაწყვეტად სოფელს სჭირია ათი და ასი ათასი ერთგული, კლასობრივად შეგნებული მუშაკი. მათი გამოჭედვა თავის რიგებში კომკავშირსაც ეკისრება. მშრომელი გლეხობის ახალგაზრდა თაობა, რომელიც კომკავშირში იზრდება, ეჭვს გარეშეა, უნდა გადაიქცეს პარტიის უმნიშვნელოვანეს დასაყრდენად სოციალისტური მიწათმოქმედებისათვის ბრძოლაში.

უდიდეს სიძნელეთა პირობებში აშენებს პროლეტარიატი სოციალისტურ საზოგადოებას. სოციალიზმისაკენ ბეჯითად მიმავალს, მას გზაზე ელობება მისადმი მტრულად განწყობილი კლასების გაშმაგებული წინააღმდეგობა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ჩვენს ქვეყანაში. ამავე დროს მწვავდება კლასობრივი ბრძოლაც ახალგაზრდობისათვის. კლასობრივი მტერი სცდილობს დაშალოს ახალგაზრდობის პროლეტარული რიგები, რისთვისაც იგი აღვივებს ნაციონალური განკერძოების ნაშთებს, სცდილობს გააბრუოს ახალგაზრდობა რელიგიით, ხელთ ჩაიგდოს კომკავშირის სოფლის ცალკე ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, ძვრება ყველა ჭუჭრუტანაში და სარგებლობს ყოველი ჩვენი დეფექტით და შეცდომით. კომკავშირის პროლეტარული კადრების ძალთა შემჭიდროვება, შემჭიდროვება მუშათა, სოფლის მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ახალგაზრდობის მთელი ძალებისა, განმტკიცება ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის, კლასობრივი პროლეტარული პოზიციებისა მუშაობის ყველა ხაზით,—აი, ამოცანა, რომელსაც ჩვენ გვიკარნახებს მთელი დღევანდელი ვითარება.

თუ განვლილ პერიოდში კომკავშირმა პარტიის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ დასძლია თავის რიგებში ტროცკისტული ოპოზიცია, ამჟამად მან თავისი მახვილი უნდა მიმართოს მემარჯვენე საფრთხისა და მისდამი შემრიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ. ამ ტენდენციებთან ბრძოლაში კომკავშირმა უნდა გამოიჩინოს უტყუარი ბოლშევიკური შეურიგებლობა. ამჟამად უფრო, ვიდრე სხვა დროს, მაგრა უნდა გვეჭიროს ხელში კომკავშირისათვის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის გაწევის საქმე.

კომკავშირელთა უფროსი თაობა უშუალო მონაწილეობას იღებდა დიად კლასობრივ ბრძოლებში ჩვენი რევოლიუციის პირველ პერიოდში. ამ გმირული წარსულის მაგალითებზე უნდა აღიზარდოს ახალი კომკავშირული თაობა. ის განუწყვეტლად უნდა ემზადებოდეს მომავალი კლასობრივი ბრძოლებისათვის მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს დასაცავად და საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისათვის. იგი არა მარტო უნდა იარაღდებოდეს იდეურად, არამედ მზადაც იყოს ყოველ ჟამს, შეუერთდეს ჩვენი წითელი არმიის რიგებს.

ლენინური კომკავშირის სასახელო ათი წლის თავზე პარტია მას მებრძოლის ამხანაგურ სალამს უძღვნის. მას ღრმად სწამს, რომ კომკავშირი წინანდებურად მაგრა დაიჭერს ლენინის დროშას და დაბრკოლებების მიუხედავად არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ გააგდებს მას ხელიდან.

მაღლა ლენინის დროშა! ახალ ბრძოლებისაკენ, ახალ გამარჯვებისაკენ!

„პრავდა", 28 ოქტომბერი.

გერმანელმა მენშევიკებმა ჩაშალეს ნავთსადგურების მუშების გაფიცვა

პოლიციისა და მენშევიკების ერთიანი ფრონტი გაფიცულთა წინააღმდეგ

ნანკინის მთავრობა აღუთქვამს იმპერიალისტებს „მავნე გავლენათა" აღმოფხვრას ჩინეთში

გაფიცვების ტალღა კაპიტალისტურ ქვეყნებში

მენშევიკებმა ჩაშალეს გაფიცვა

ნავთსადგურის მუშათა გაფიცვა ფართოვდება.

ბერლინი, 28 ოქტომბერი. ბრემენის ნავთსადგურის მუშათა საერთო კრებამ ჰამბურგის ნავთსადგურის გაფიცულ მუშათა წარმომადგენლის მოხსენების მოსმენის შემდეგ დაადგინა, შეუერთდეს გაფიცვას. პოლიციის ტერორის გაძლიერება ჰამბურგის ნავთსადგურის მუშების დიდ აღშფოთებას იწვევს. მუშები დარწმუნდნენ, რომ პროფკავშირების რეფორმისტი ხელმძღვანელები აშკარად თანამშრომლობენ ხელისუფლებასთან და მხარს უჭერენ ყველა იმ ღონისძიებებს, რომელსაც ხელისუფლება ღებულობს გაფიცვის ჩასაშლელად.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანო „ფორვერტს"-ი აცხადებს, რომ რეფორმისტული პროფკავშირები მკაცრს ორგანიზაციულ ზომებს მიიღებენ თანამდებობის პირთა (კომუნისტების) წინააღმდეგ.

მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც მოუწოდებს გერმანიის მუშათა კლასს—დაეხმაროს გაფიცულ მუშებს, ვინაიდან რეფორმისტული პროფკავშირები დახმარებას არ აძლევენ ნავთსადგურების მუშებს. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტმა უკვე მოაწყო სურსათის განაწილება გაფიცულთა შორის, მაგრამ ეს დახმარება საკმარისი არ არის.

ჰამბურგის პოლიციის უფროსმა (სოციალ-დემოკრატი) აკრძალა თანხების შეგროვება გაფიცულთა სასარგებლოდ. (ადს).

პოლიციის ტერორისა და სოციალ-დემოკრატების მოღალატური ტაქტიკის გამო.

ბერლინი, 28 ოქტომბერი. პოლიციის ტერორის გაძლიერებამ და სოციალ-დემოკრატების შტრეიკბრეხერულმა ტაქტიკამ ჰამბურგის ნავთსადგურის მუშები აიძულა შაბათს შეეწყვიტათ გაფიცვა, რომელიც გამოცხადებული იყო გაფიცულ დოკერებისადმი სოლიდარობის ნიშნად და საკუთარ ეკონომიურ მოთხოვნათა დასაცავად.

პოლიციის რაზმები შეიჭრნენ გაფიცვის კომიტეტის შენობაში და კონფისკაცია უყვეს საგაფიცვო პროკლამაციებს და აგრეთვე ფურცლებს, რომლებშიაც მოთავსებული იყო, ცნობა, რომ ბრემენის, შტეტინის და დანციგის მუშებმა გადასწყვიტეს შეუერთდნენ გაფიცვას. პოლიციამ ნავთსადგურის მუშების ბინები გაჩხრიკა და ბევრი მუშა დააპატიმრა. პოლიციის დახმარებით ჰამბურგის მიდამოებში აგროვებენ შტრეიკბრეხერებს.

პროფკავშირების სოციალ-დემოკრატი ბელადები და რეფორმისტული პრესა გააფთრებულ კამპანიას ეწევიან და ყოვლნაირად ცდილობენ ბოლო მოუღონ გაფიცვებს.

ასეთი მდგომარეობის გამო გაფიცვის ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს, შესწყვიტონ გაფიცვა. მათ მიმართეს ნავთსადგურის მუშებს მოწოდებით—განაახლონ მუშაობა. მოქმედების კომიტეტი და გაფიცვის ცენტრალური კომიტეტი რჩებიან, რათა შესაფერ მომენტში განაახლონ შეწყვეტილი ბრძოლა. დოკერების გაფიცვა გრძელდება. (ადს).

მრეწველთა შეტევა

ბერლინი, 28 ოქტომბერი. მიუნხენ - გლადბახის რაიონის 50.000 გაფიცული ფეიქრის დამარცხებისთანავე, რომელიც გამოიწვია სამედიატორო ინსტანციის არახელსაყრელმა გადაწყვეტილებამ, საფეიქრო მრეწველობის პატრონებმა ახალი შეტევა დაიწყეს. სამხრეთ და აღმოსავლეთ საქსონიისა და აღმოსავლეთ ტიურინგიის მრეწველებმა დაადგინეს — 30 ნოემბერს, დარღვეულად გამოაცხადონ არსებული სატარიფო შეთანხმება. **მრეწველთა კავშირს განზრახული აქვს შეამციროს არსებული ხელფასი. სატარიფო შეთანხმების დარღვევა შეეხება 400.000 ფეიქარს.** (ადს).

ფეიქართა გაფიცვა საფრანგეთში ფართოვდება

საგაფიცვო მოძრაობის ზრდა საფრანგეთის ფეიქრებს შორის.

პარიზი, 28 ოქტომბერი. რუანის რაიონში ძლიერდება საგაფიცვო მოძრაობა. „ლუმანიტე"-ს ცნობით, დარნეტალში გაიფიცა ყველა საფეიქრო ფაბრიკა. რუანში 17 ფაბრიკიდან მუშაობა შესწყვიტა შვიდმა. რუანში გაიმართა გაფიცულთა მასიური დემონსტრაციები. ალუენში გაფიცვა გრძელდება. (ადს).

პოლონელი ფეიქრები განაგრძობენ ბრძოლას

ვიძევის ფეიქართა გაფიცვა გრძელდება.

ვარშავა, 28 ოქტომბერი. ლოძში, ვიძევის მანუფაქტურაში გაფიცვა გრძელდება. გაფიცულნი არიან აგრეთვე ხელის დაზგებზე მომუშავე მუშებიც, ვინაიდან მრეწველები უარს ამბობენ გაავრცელონ მათზე ხელფასის მომატება ხუთი პროცენტის რაოდენობით.

გაფიცვა გრძელდება აგრეთვე ტყავეულის მრეწველობაში. მეტყავეები 15 ოქტომბერს შეუერთდენ საყოველთაო გაფიცვას ლოძში და წამოაყენეს მოთხოვნა ხელფასის 20 პროცენტით გადიდების შესახებ. გაფიცვის მე-12 დღეს მრეწველებმა წინადადება მისცეს მუშებს, რომ 1 პროცენტით გაადიდებდნენ ხელფასს. მუშებმა უარჰყვეს ეს წინადადება, როგორც პროვოკაციული. (ადს).

ბრძოლა მემარცხენე მოძრაობის წინააღმდეგ

ამერიკელი ბანკირი ფინანსიურ დახმარებას უწევს რეფორმისტებს

ნიუ - იორკი, 28 ოქტომბერი. როგორც კომპარტიის ორგანო „დეილი უორკერ"-ი იუწყება, ბანკირს ჰერბერტ ლემანს მკერავთა რეფორმისტული კავშირის „თავდაცვის ფონდს" 50.000 დოლარი შეუწირავს. ფონდი დაარსდა იმისათვის, რომ კავშირის რეაქციონურ ზედაფენებს დახმარება გაუწიონ იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი მუშათა მემარცხენე მოძრაობის წინააღმდეგ აწარმოებენ. როდესაც ლემანს ფული შეჰქონდა, მას ორნაირი მიზანი ჰქონდა: ერთის მხრივ, იგი ხელს უწყობს ბრძოლას იმ რევოლიუციონური პროფესიონალური მოძრაობის წინააღმდეგ, რომელიც ახლად ეწყობა ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო, მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს სოციალისტების მხრივ დემოკრატიული პარტიის კანდიდატებისთვის მხარის დაჭერას მომავალ არჩევნებში.

ლემანი დემოკრატიული პარტიის კანდიდატია ნიუ - იორკის შტატის გუბერნატორის მოადგილის თანამდებობაზე. (ადს).

საფრანგეთი და გერმანია

პუანკარეს განცხადება

პარიზი, 28 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„კანში გამოსვლის დროს პუანკარე შეეხო გერმანია - საფრანგეთის მოლაპარაკებას და განაცხადა, რომ საფრანგეთს არ შეუძლია ასე ბრმად აიღოს ხელი იმ გარანტიებზე, რომლებიც მის განკარგულებაშია; არც შეუძლია დასთანხმდეს სხვა ისეთ კომბინაციაზე, რომელიც უზრუნველჰყოფდეს მისთვის სამართლიან ანაზღაურებას და სარეპარაციო თანხების აღებას იმ რაოდენობით, რომელიც საკმარისი იქნება საფრანგეთის ვალების დასაფარავად. (ადს).

ჩინეთის ნაციონალური მთავრობის დეკლარაცია

შანხაი, 28 ოქტომბერი. ნაციონალური მთავრობის სახელმწიფო საბჭომ გამოაქვეყნა მანიფესტი. მანიფესტში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებითაც ნაციონალური მთავრობა ფიქრობს იხელმძღვანელოს თავის პოლიტიკაში. მანიფესტში აღნიშნულია, რომ მშვიდობიანობის აღდგენისთვის მთავრობა შეუდგება ყველა „ბოროტი გავლენის" მოსპობას, ამასთან დაითხოვს ზედმეტ ჯარს. შემდეგ მთავრობას განზრახული აქვს, განახორციელოს ჩინეთის ფინანსიური რეორგანიზაცია. იგი მიიღებს აგრეთვე ზომებს მრეწველობის განვითარებისა და სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციისათვის (ადს).

ინგლისის „მიღწევები" საგარეო პოლიტიკაში

ლონდონი, 28 ოქტომბერი. ერთა ლიგის მეგობართა კრებაზე ბოლდუინმა სინანული გამოსთქვა იმის გამო, რომ ინგლისმა საზღვაო შეიარაღების საკითხში ჯერ-ჯერობით ვერ მიაღწია შეთანხმებას ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

„ჩვენი პოლიტიკის მიზანს გემთმშენებლობის საქმეში, განაცხადა ბოლდუინმა,—შეადგენს, ის რომ ნელნელა ვიაროთ წინ. ჩვენ არა ვფიქრობთ ამ საქმეში დოლი გავმართოთ".

შემდეგ ბოლდუინმა განაცხადა: „ჩვენ გავაუმჯობესეთ ჩვენი მეგობრული დამოკიდებულება საფრანგეთთან, აღვადგინეთ მეგობრული დამოკიდებულება გერმანიასთან და ხელი შევუწყეთ საფრანგეთ- გერმანიის ურთიერთობას". (ადს).

პოლონეთ-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობა

ვარშავა, 28 ოქტომბერი. პოლონეთის მთავრობამ დაადგინა, მისცეს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის საზოგადოებას კრედიტი, ერთი მილიონი დოლარი. მაგრამ ამ კრედიტის განაღდება შესაძლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლონელ ექსპორტიორებს მიეცემათ ლიცენზიები პოლონური საქონლის შემოტანაზე. პრესას იმედი აქვს, რომ კრედიტის მიცემა ხელს შეუწყობს პოლონეთის ექსპორტის გაძლიერებას საბჭოთა კავშირში.

კეშენდენი იცავს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას

ლონდონი, 28 ოქტომბერი. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის დროებით აღმასრულებელმა კეშენდენმა ბლეკპულში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც იცავდა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას. მან განაცხადა: „აქ არ არის ახალი ანტანტა, ახალი შეთანხმება საფრანგეთთან, ვინაიდან ძველი ანტანტა არასოდეს არ გაუქმებულა"-ო.

შემდეგ კეშენდენმა განაცხადა, რომ ინგლისი თავის საგარეო პოლიტიკაში სცდილობს ერთნაირად კარგი ურთიერთობა იქონიოს ყველა ქვეყანასთანო. (ადს).

კულიჯი კელოგის პაქტის შესახებ

ნიუ - იორკი, 28 ოქტომბერი. „ნიუ-იორკ ჰერალდ ენდ-ტრიბიუნ"-ის ცნობით, კულიჯი უარჰყოფს „ტაიმს"-ის რედაქტორის, კონსერვატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის სტედის განცხადებას. სტედმა ამას წინად ბირმინგამში განაცხადა, რომ ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მხარს დაუჭერს იმ ბლოკადას, რომელსაც ერთა ლიგა აწყობს ამ ლიგის ხელშეკრულებათა დამრღვევ ქვეყნის წინააღმდეგ. „ნიუ-იორკ ჰერალდ ენდ ტრიბიუნ"-ის ცნობით, კულიჯი გადაჭრით უარჰყოფს სტედის განცხადების სისწორეს. კულიჯმა შემდეგ განაცხადა, რომ არც კელოგის პაქტი ავალებს ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებს, რაიმე მოქმედებასო. კელოგის პაქტის დარღვევას აუცილებლად არ უნდა მოჰყვეს რაიმე მოქმედება. პაქტის დარღვევა მხოლოდ გაანთავისუფლებს ხელშეკრულების მონაწილეებს ნაკისრ ვალდებულებათაგან და არ განსაზღვრავს მათ მომავალ პოლიტიკას.

კულიჯის ეს განცხადება ახასიათებს მთავრობის წრეების ყოფაქცევას არჩევნების წინასწარი კამპანიის განმავლობაში. მთავრობის წრეები გაურბიან კელოგის პაქტის სწორ განმარტებას. ამ გზით სცდილობენ ისინი დააკმაყოფილონ ამერიკის საზოგადოებრიობის ორივე მიმდინარეობა — პაციფისტურიც და მილიტარისტულიც. ბევრნი ფიქრობენ, რომ სენატში განხილვის შემდეგ კელოგის პაქტის რატიფიკაცია გადაიდებაო. (ადს).

საკავშირო კომპარტიის ცეკა

ახალგაზრდათა ლენ. კომუნისტურ კავშირს

მოსკოვი, 29 ოქტომბერი. ძვირფასო ამხანაგებო! საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის არსებობის ათი წლის თავზე გულმხურვალე კომუნისტურ სალამს უგზავნის ლენინური კომკავშირის წევრებს. ეს 10 წელიწადი, რომლის განმავლობაშიაც, ახალგაზრდობა ბარიკადებზე და სამოქალაქო ომის ველებზე იბრძოდა, რომლის განმავლობაშიაც იგი გულმოდგინედ შრომობდა განადგურებული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის და ლენინური სწავლა-მეცადინეობისათვის, ეს 10 წელიწადი, რომელიც სავსეა ბრძოლის ენერგიითა და შემოქმედებითი ინტუზიაზმით,—სასახელო ფურცლებს წარმოადგენს პროლეტარული რევოლიუციის ისტორიაში.

ლენინურმა კომკავშირმა თავის რიგებში ჩააყენა საუკეთესო ნორჩი პროლეტარები და სოფლის რევოლიუციონური ახალგაზრდობა, იგი ზრდის სოციალიზმის მშენებელთა იმ თაობას, რომელიც შესძლებს განაგრძოს იმ ძველი მებრძოლების დიდი საქმე, რომლებმაც დაამსხვრიეს ცარიზმის, კაპიტალის, მასების ექსპლოატაციისა და ჩაგვრა-დამცირების მანქანა. ლენინურმა კომკავშირმა საქმით დაამტკიცა, რომ იგი ღირსია წითელი დროშის ორდენის მებაირაღტრე იყოს. ლენინურმა კომკავშირმა საქმით დაამტკიცა, რომ იგი ღირსია ატარებდეს ლენინის დიდ სახელს. თქვენი რაზმი მსოფლიოს ნორჩი პროლეტარების ყველაზე დიდი რაზმია, რომელმაც უკვე დიდი რევოლიუციონური სკოლა გაიარა. მაღლა გეჭიროთ ინტერნაციონალიზმის დროშა. გაუძლიერეთ საერთაშორისო რევოლიუციონური მოვალეობის შეგნება თვითეულ ახალგაზრდას—ვაჟს და ქალს.

კომკავშირელებო! ჩვენ ბრძოლით მოვიპოვეთ სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში. სოციალიზმი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თვითეულ კუნჭულში იზრდება. წინ მოგველის ისეთი წლები, როდესაც ცოცხალი სინამდვილის სისხლი და ხორცი უნდა შეისხან მარქსის მგზნებარე რევოლიუციონურმა მოწოდებებმა და ლენინის მძლავრმა ბრძოლის ლოზუნგებმა. ჩვენ უდიდესი ბრძოლა მოგველის, რომელიც სამუდამოდ დაასამარებს მსოფლიო კაპიტალიზმს ძველი წესწყობილების ნანგრევებს ქვეშ. ჩვენს წინ პროლეტარიატის სრული გამარჯვების მომავალი წლებია. მაგრამ ამ გამარჯვებათა მოპოება ჩვენთვის ადვილი არ იქნება. კაპიტალიზმი დანგრეულია. მაგრამ მას ფესვები კიდევ შერჩენილი აქვს ჩვენი ქვეყნის ნიადაგში. სოციალიზმი უტევს. მით უფრო მეტის გააფთრებით გვიწევენ წინააღმდეგობას და კონტრ-იერიშზე მოიწევენ პროლეტარიატის მტრები—ნეპმანი, კულაკი, საბოტაჟის გამწევი, დამზიანებელი.

ჩვენ გზაზე უდიდესი დაბრკოლებებია. პროლეტარიატი, მისი პარტია და რევოლიუციონური ახალგაზრდობა არ შეუდრკებიან მათ და არ გადაუხვევენ იმ გზას, რომელსაც დაადგნენ 1917 წლის დიდი ოქტომბრის დღეებში. ეჭვი არა გვაქვს და ვერც გვექნება, რომ საბოლოოდ გაიმარჯვებს ჩვენი გზა — სოციალიზმის გზა. ჩვენ დაუღალავად აღვჭურვავთ პროლეტარიატს რევოლიუციონური ალღოთი და კლასობრივი სიფხიზლით, ყოველ საქმეში და ყოველ ნაბიჯზე ვაწარმოებთ შეურიგებელ და ულმობელ ბრძოლას ლენინიზმისათვის, ბრძოლას ყოველგვარი ოპორტუნისტული ცდის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ გადაგვახვევინონ ლენინური გზიდან.

ის 10 წელიწადი, რომელიც საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით ბრძოლასა და მუშაობაში განვლეთ, ადასტურებს, რომ ლენინური კომკავშირი ლენინურად შეასრულებს ჩვენი ეპოქის რევოლიუციონურ ამოცანებს. ისწავლეთ და ასწავლეთ ახალგაზრდობას კლასობრივი მტრის მხილება, დაუღალავი და შეურიგებელი ბრძოლა მასთან. დაე, თვითეული კომკავშირელის მუშაობისა და სწავლა-მეცადინეობისათვის გზის მანათობელ ვარსკვლავად გადაიქცნენ პროლეტარიატის პარტიის უდიდესი ამოცანები, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას სოციალიზმი უნდა დაუმკვიდრონ. ეს ამოცანებია—ინდუსტრიალიზაცია, ტეხნიკური რევოლიუცია და მრეწველობის რეკონსტრუქცია, შრომის რაციონალიზაცია და მისი ნაყოფიერების გაძლიერება, მასიური წარმატება და სოფლის სოციალისტური გარდაქმნა (კოოპერაცია, კოლექტიური მეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი), საბჭოების გამოცოცხლება, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, მილიონიან მუშებისა და გლეხების კეთილდღეობის ამაღლება, კულტურული რევოლიუცია, წითელი არმიისა და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება. ჩვენი წარმატების მთავარი საწინდარია—ბოლშევიზმის ტრადიციების განმტკიცება თქვენს რიგებში, უანგარო ერთგულების განვითარება პროლეტარული საქმისადმი და ღრმა იდეურობის აღზრდა. ბრძოლა უპრინციპობისა და უპერსპექტივო საქმიანობის წინააღმდეგ, კომკავშირის ყოველი ორგანიზაციის, ყოველი კოლექტივის, ყოველი კომკავშირელის ნაკლთა და შეცდომათა აშკარა, ულმობელი კრიტიკა. პროლეტარული თვითკრიტიკის მკვეთრი იარაღითა და კავშირის შიგნით დემოკრატიის თანამიმდევრობითი განხორციელებით უფრო გააძლიერეთ მილიონიან ახალგაზრდა ვაჟებისა და ქალების შემოქმედებითი აქტივობა პარტიისა და პროლეტარული სახელმწიფოს დასახმარებლად.

ამხანაგებო! წინ გასწით პარტიის ხელმძღვანელობით ახალ გამარჯვებათა და ახალი მიღწევათა მოსაპოვებლად. ფხიზლად კლასობრივი მტრის წინააღმდეგ. ყოველთვის პირველ რიგებში იყავით მეურნეობის, კულტურის და ყოფა-ცხოვრების მშენებლობის ყველა ფრონტზე, მასების ორგანიზაციის საქმეში. კვლავაც მისდიეთ ჩვენი პარტიის მტკიცე ნაცად პოლიტიკას, თვალისჩინივით გაუფრთხილდით ლენინის პრინციპების შეურყევლობას.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას მთელ მსოფლიოში!

სალამი ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს!

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

საკ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მისალმება

მოსკოვი, 29 ოქტომბერი. სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მისალმებაში კომკავშირისადმი ნათქვამია:

„სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი უძღვნის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას და მის მებრძოლ ავანგარდს—ლენინურ კომკავშირს ძმურ სალამს და უსურვებს ერთსულოვან მუშაობას სოციალისტური მშენებლობის გზაზე, მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ფართო მასების კომუნიზმის დროშის ქვეშ [illegible] შემჭიდროების გზაზე". (ადს).

ამხ. სტალინის მისალმება ლენ. კომკავშირს

მოსკოვი, 29 ოქტომბერი. „სალამი ლენინურ კომკავშირს მისი ათი წლის იუბილეის დღეს.

ლენინური კომკავშირი იყო და რჩება ჩვენი რევოლიუციის ახალგაზრდა რეზერვად. ახალგაზრდა მუშურ-გლეხური თაობის ათი და ასი ათასი წარმომადგენელი აღიზარდა კომკავშირის რიგებში, მიიღო რევოლიუციონური გამოცდილება და ჩაება ჩვენს პარტიაში, ჩვენს საბჭოებში, ჩვენს პროფკავშირებში, ჩვენს წითელ არმიაში, ჩვენს წითელ ფლოტში, ჩვენს კოოპერაციაში, ჩვენს კულტურულ ორგანიზაციებში ბოლშევიკთა ძველი გვარდიის შესაცვლელად.

ეს ძნელი ამოცანა კომკავშირმა სძლია იმიტომ, რომ ის მუშაობდა პარტიის ხელმძღვანელობით, რომ იგი თავის მოქმედებაში ახერხებდა საერთოდ, მეცადინეობის და, განსაკუთრებით, ლენინური მეცადინეობის შეხამებას ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობასთან, ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე ზრდიდა მუშათა და მუშა ქალთა, გლეხთა და გლეხ ქალთა ახალგ. თაობას, პოულობდა საერთო ენას ძველ და ახალგ. ლენინელთა შორის, ძველ და ახალგაზრ. გვარდიას შორის, თავის მუშაობას უმორჩილებდა პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების ინტერესებს.

მხოლოდ ამიტომ შესძლო კომკავშირმა მაღლა ეტარებია ლენინის დროშა.

იმედი ვიქონიოთ, რომ კომკავშირი მომავალშიაც შეასრულებს თავის მოვალეობას ჩვენი და საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე.

სალამი ჩვენი პარტიის ორმილიონიან რეზერვს—ლენინურ კომკავშირს!

გაუმარჯოს კომკავშირელთა თაობას!

სტალინი.

გერმანიის ბანკების დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი

ბერლინი, 29 ოქტომბერი. მემარცხენე ბურჟუაზიული „მონტაგ მორგენი" აღნიშნავს, რომ გერმანიის თითქმის ყველა დიდი ბანკი ინგლის-საბჭოთა კონფლიქტის შემდეგ საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარების პოლიტიკის საბოტაჟს ეწევა. ისინი არსებითად არ ანაღდებენ საბჭოთა თამასუქებს. ამის გამო საბჭოთა თამასუქებს ანაღდებენ წვრილი ბანკირები, რომლებიც ამასთანავე დიდ პროცენტებს იღებენ და ამიტომ გერმანიის მეურნეობა თვალსაჩინო დანაკვეთებს ჰკარგავს. „გერმანიის ბანკების ჯგუფის შეერთება—სწერს გაზეთი—„რუსეთის კრედიტების საერთაშორისო კომიტეტთან", რომელშიაც მეთაურობენ საბჭოთა კავშირისადმი აშკარად მტრულად განწყობილი ინგლის-საფრანგეთის ბანკები, გერმანიის საგარეო სამინისტროს მეტის-მეტად გასაჭირ მდგომარეობაში აყენებს.

სამინისტრო აშკარად უნდა გამიჯნულიყო გერმანიის ბანკების ასეთი საქციელისაგან, მაგრამ იგი უფერულ დეკლარაციას დასჯერდა. ახლა, როდესაც ამერიკის კაპიტალი ინტერესს იჩენს საბჭოთა კავშირისადმი, ეს ნაბიჯი ვერ გამართლდება კომერციული, წმინდა—კაპიტალისტური თვალსაზრისით. გამჭრიახი საბანკო პოლიტიკა ახლა საბჭოთა კავშირისათვის უნდა მუშაობდეს ამერიკასთან ერთად. საბჭოთა საკითხში გერმანიის ბანკები ძალიან დაემორჩილნენ ინგლისის ბანკებს. უკანასკნელი ნაბიჯით მათ უგნური თავაზიანობა გამოიჩინეს. (ადს).

კაპიტალისტები და „მშვიდობიანობა მრეწველობაში"

ლონდონი, 28 ოქტომბერი. პოლიტიკურ წრეებში ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ მრეწველებს დღემდე არ გაუციათ პასუხი ტრედუნიონების წარმომადგენლების პირველ კონფერენციისა და მონდის ჯგუფის წინადადებებზე იმის შესახებ, რომ მრეწველობაში „მშვიდობიანობის" დასამყარებლად დაარსდეს ნაციონალური სამრეწველო საბჭო. როგორც აღნიშნავენ, მრეწველთა პასუხის დაგვიანება აიხსნება იმით, რომ მათ პრინციპიალურად მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ ნაციონალური საბჭოს დაარსება. (ადს).

პოლონეთ-ლიტვის მორიგი მოლაპარაკების წინ

„დზენ პოლსკი"-ს პესიმიზმი

ვარშავა, 28 ოქტომბერი. „დზენ პოლსკი"-ში დაბეჭდილია მეთაური წერილი; ამ მეთაურში მეტად პესიმისტურად არის დახასიათებული პოლონეთ - ლიტვის იმ კონფერენციის პერსპექტივები, რომელიც დანიშნულია 3 ნოემბრისთვის კენიგსბერგში.

გაზეთი სწერს: „არავის არ გაუკვირდება, თუ უკანასკნელ მომენტში ისეთი რამ მოხდება, რაც ხელს შეუშლის იმას, რომ საზოგადოდ კონფერენცია შესდგეს. კიდევაც რომ შესდგეს კონფერენცია, არავინ სერიოზულ რამეს მისგან არ მოელის".

ინგლისის მემაღაროეთა აუტანელი მდგომარეობა

ლონდონი, 28 ოქტომბერი. ხელფასის სიმცირის გამო, მემაღაროების მდგომარეობა ინგლისის ქვანახშირის რაიონებში თანდათან უარესდება. იორკშირში მემაღაროეთა 500 ბავშვზე მეტი სკოლებში არ დადის ფეხსაცმელების უქონლობის გამო. ტუბერკულიოზიან ბავშთა რიცხვი იზრდება. (ადს).

საპროტესტო რეზოლიუცია

ლონდონი, 28 ოქტომბერი. სინგაპურიდან გადმოცემული ცნობის თანახმად, ინგლისელთა კოლონიამ ინდოეთში და ჩინელთა იქაურმა კოლონიამ საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანეს იმის გამო, რომ სინგაპურის სამხედრო - საზღვაო ბაზის ხარჯების ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობას დაეკისრა. მოსახლეობა ფიქრობს, რომ სინგაპურის სამხედრო - საზღვაო ბაზამ ინგლისის საზღვაო გზები უნდა დაიცვას და იგი ადგილობრივი თავდაცვისათვის საჭირო არ არის. (ადს).

ოქტომბრის მე-11 წ. თავისათვის

საკავშირო კომპარტიის ცეკას ლოზუნგები

1917 წლის დიადმა ოქტომბერმა სათავე დაუდო მსოფლიო პროლეტარიატის გამარჯვებას. გაუმარჯოს ოქტომბერს!

ყველა ქვეყნის პროლეტარებო და მსოფლიოს ჩაგრული ხალხებო, კომინტერნის ლენინურ დროშის ქვეშ გასწით წინ, მსოფლიო ოქტომბრისაკენ!

მხოლოდ მსოფლიო ოქტომბერი — საბჭოების გამარჯვება გაანთავისუფლებს კაცობრიობას კაპიტალისტური ექსპლოატაციის ჯოჯოხეთისაგან და იმპერიალისტურ ომებისგან.

კომინტერნის პროგრამა — მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია. გაუმარჯოს კომუნიზმის გამარჯვების ორგანიზაციას — კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ოქტომბრის ცეცხლში შობილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირი — საერთაშორისო რევოლუციის ციხე - სიმაგრეა. მთელი ქვეყნის მშრომელნო, შემოკრბით რკინის ზღუდეთ საბჭოთა კავშირის ირგვლივ!

ოქტომბრის მტრებს, რომლებიც ამზადებენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩვენ ვუპასუხებთ წითელი არმიის და საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცებით.

გაუმარჯოს წითელ არმიას — საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის ბურჯს, ოქტომბრის მონაპოვართა ერთგულ გუშაგს!

გაუმარჯოს საბჭოების ბრძოლას მშვიდობიანობისათვის, საყოველთაო სრულ განიარაღებისათვის!

ოქტომბერში გამარჯვება მოპოებულ იქნა ოპორტუნიზმისა და მენშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლით — დაუზოგველი ბრძოლა მსოფლიო მენშევიზმსა და ოპორტუნიზმს ყოველგვარ გამოხატულებას.

ძირს იმპერიალიზმის და მეორე ინტერნაციონალის ლაქიები და მათი დამქაშები!!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ერთობას და მჭიდრო გაერთიანებას კომინტერნის დროშის ქვეშ!

გაუმარჯოს პოლონეთის პროლეტარიატს, გაუმარჯოს ლოძის მუშების გმირულ ბრძოლას!

ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით ოქტომბერში მოვიპოვეთ გამარჯვება მემამულეებზე და კაპიტალისტებზე, მისივე ხელმძღვანელობით ვაშენებთ სოციალიზმს და მისივე ხელმძღვანელობით მოვაღწევთ შრომის სრულ გამარჯვებას კაპიტალზე. გაუმარჯოს ლენინის პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტების პარტიას!

თავისი საუკეთესო შვილების სისხლით ოქტომბერში და სამოქალაქო ომის ფრონტებზე პროლეტარიატმა მოიპოვა სოციალიზმის შენების შესაძლებლობა. გაუმარჯოს სოციალისტურ მშენებლობას!

სოციალისტურ მშენებლობას ყოველ წელს მოაქვს ჩვენთვის ახალი გამარჯვებანი. გაუმარჯოს სოციალიზმს საბჭოთა კავშირში!

სოციალიზმის შეტევა ამწვავებს კლასობრივი მტრების წინააღმდეგობას. უფრო მედგრად შევუტიოთ კულაკს, ნეპმანს, დამზიანებლებს და მათ ხელის შემწყობ ბიუროკრატს!

პროლეტარიატის მტრებს უნდათ სოციალისტური მშენებლობის სიძნელენი გამოიყენონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. პროლეტარიატი თავის დიქტატურას გამოიყენებს სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ.

რევოლუციაში გამობრძმედილ პროლეტარიატს დაბრკოლებები ვერ შეაშინებს. შორს ჩვენგან მერყეობა, იჭვები და უიმედობა! წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში!

განვამტკიცოთ სოციალიზმის საფუძველი. წინ, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზით! მეტი ნახშირ, ნავთი, ლითონი, მანქანა!

მეტი ყურადღება, მეტი ენერგია, მეტი ღონისძიებები მეტალურგიის აღორძინებისა და განვითარების საქმეში!

ბრძოლა უყაირათობისა და უთადარიგობის წინააღმდეგ, თვითღირებულების შემცირებისათვის, სოციალისტური რაციონალიზაციისათვის, საწარმოო დისციპლინისათვის.

გაუმარჯოს შვიდი საათის სამუშაო დღეს ოქტომბრის ღვიძლ შვილს, რომელიც მოვიპოვეთ თავგამოდებული შრომით!

ძირს უთადარიგობა და დროის გაცდენა ფაბრიკებში, ქარხნებში, მაღაროებში, რკინის გზებზე! გაუმარჯოს შრომის დისციპლინას და პატიოსან პროლეტარულ შრომას, რომელიც ადიდებს მუშათა სახელმწიფოს ძლიერებას!

ვიბრძოლოთ ტეხნიკურ რევოლუციისათვის მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ საფუძველზე. დავეხმაროთ პატიოსან სპეციალისტებს. ძირს მავნებლები! შევქმნათ წითელ ინჟენერთა კადრები.

თავგამოდებული შრომით და რევოლუციონური დისციპლინით უზრუნველვყოფთ ჩვენი მეურნეობის განმტკიცებას, საუკეთესო ბინების, კლუბების, ახალი საავადმყოფოების, სკოლების შექმნას, პროლეტარიატის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას!

მუშათა კლასის და გლეხთა ძირითადი მასების კავშირი შეურყეველი ციხე-სიმაგრეა, რომელზედაც დაიმსხვრევა მემამულეთა და კაპიტალისტთა ხრიკები — განვამტკიცოთ ეს კავშირი.

განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა ლენინის შემდეგი ლოზუნგის გატარებით: „უნდა შევსძლოთ შეთანხმების მიღწევა საშუალო გლეხთან, ერთი წუთითაც არ უნდა ავიღოთ ხელი კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას“.

სოფლის საჭიროებებისა და მოთხოვნილებისადმი გაძლიერებული ყურადღებით განვამტკიცოთ პროლეტარიატის და გლეხობის ძირითადი მასის კავშირი.

მივმართოთ საბჭოების მუშაობა გლეხის მეურნეობის განმტკიცებისა, მოსავლიანობის გადიდებისა და კოოპერაციის განვითარებისათვის ხელის შეწყობისაკენ. გაუმარჯოს სოფლის სოციალისტურ გარდაქმნას.

საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობა სოციალისტური გზაა წვრილი გლეხური მეურნეობის ჩამორჩენილობისა და დაქსაქსულობის დასაძლევად. წინ, მსხვილ კოლექტიურ მიწათმოქმედებისაკენ!

გავაძლიეროთ მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა აქტივობა, გავაძლიეროთ მათი ორგანიზაცია კულაკების წინააღმდეგ.

გავანადგუროთ კლასობრივი მტრები, გავაძლიეროთ მასების შემოქმედება საბჭოების საშუალებით და დაუღალავად ვაშენოთ სოციალიზმი. წინ უსახელმწიფო — კომუნისაკენ.

გამოვაცოცხლოთ საბჭოები. დაუახლოვოთ სახელმწიფო აპარატი მასებს და გავსწმინდოთ ის ჩინოვნიკებისა და ბიუროკრატებისაგან. გავაძლიეროთ საბჭოების საშუალებით მასების შემოქმედი ძალები!

მუშავ და მუშა ქალო დაესწარით ყველანი საბჭოების საანგარიშო მოხსენებებს, ყველამ მონაწილეობა მიიღეთ საბჭოების გადარჩევაში. გაბედულად დააწინაურეთ ახალი მუშები და მუშა ქალები სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე!

მეტი მოჯამაგირე და ღარიბი გლეხი საბჭოებში! გაუმარჯოს საბჭოებს! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

საბჭოები მუშათა დიქტატურის ორგანოებია, განვამტკიცოთ პროლეტარიატის და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა საბჭოებში.

დაუზოგველი ბრძოლა პროლეტარიატის, ღარიბი და საშუალო გლეხების საჭიროებებისადმი უყურადღებო და დაუდევარ მოპყრობას!

საბჭოები მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით იყვნენ და იქნებიან პროლეტარული დიქტატურის ორგანოები, სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორები.

გლეხ ქალთა სუსტი მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში აფერხებს სოციალისტურ მშენებლობას სოფლად. გლეხო ქალო, მონაწილეობა მიიღე საბჭოების გადარჩევაში. ღარიბო გლეხო ქალო და მოჯამაგირე ქალო, დადექით წინა რიგებში!

ძლიერი მახვილი ჩავსცეთ აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა ყოფაცხოვრებითი მონობას! ძირს ჩადრი, ყალიმი, მრავალცოლიანობა. ჩავაბათ აღმოსავლეთის მშრომელი ქალები საბჭოებში!

კომკავშირელნო! ლენინური კომკავშირის, ათი წლის თავი აღნიშნეთ მრავალი მილიონი ახალგაზრდა მუშა და გლეხის ჩაბმით საბჭოების მუშაობაში, სოციალისტურ მშენებლობაში!

კომკავშირელო! განამტკიცე ოქტომბრის საქმე! ქარხანაში იყავი საუკეთესო საწარმოო მუშაკი, მიწათ-მოქმედებაში—აგროკულტურის რევოლუციონერი და კოლმეურნეობაში საუკეთესო მუშაკი, საბჭოში—აქტიური მომუშავე!

პროფკავშირი კომუნიზმის სკოლაა, პროლეტარული დიქტატურის დასაყრდენია. გაამაგრეთ პროფკავშირები, გააუმჯობესეთ მათი კავშირი მასებთან!

გავაფართოვოთ პროფკავშირების დემოკრატია.

საწარმოო თათბირების საშუალებით მუშა სწავლობს თავისი მრეწველობის მართვას. მეტი ყურადღება საწარმოო თათბირებს.

ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო ნაციონალურ ჩაგვრას ჩვენს ქვეყანაში. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ერთვნებათა დაურღვეველ კავშირს!

სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნეს ხალხის შერჩევაზე და ფაქტიური შესრულების შემოწმებაზე (ლენინი).

მთელი მუშაობა, მთელი მშენებლობა უნდა გავატაროთ მუშათა თვითკრიტიკის ცეცხლში.

მუშკორები ბიუროკრატის, ნეპმანის და კულაკის წინააღმდეგ მოწინავე მებრძოლნი არიან. განვამტკიცოთ მუშკორთა რიგები.

მუშათა თვითკრიტიკა მივმართოთ ჩვენს რიგებში არსებულ დეფექტების წინააღმდეგ, უთადარიგობის, უკულტურობის, ლოთობის, რელიგიური ცრუმორწმუნეობის, ანტისემიტიზმის წინააღმდეგ.

გავაღრმავოთ თვითკრიტიკა სოციალისტური მშენებლობის გასაუმჯობესებლად! გავაფართოვოთ პროლეტარული დემოკრატია! დავაწინაუროთ სოციალიზმის მშენებელთა ახალი კადრები!

მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, გავამრავლოთ სკოლები, გავაუმჯობესოთ კლუბები და ქოხ-სამკითხველოები, გავაძლიეროთ ბრძოლა ლოთობასთან, მოვსპოთ ხუცების გავლენა ჩამორჩენილ კუთხეებში! გაუმარჯოს კულტურულ რევოლუციას!

კლასობრივი მტერი გაძლიერებულ წინააღმდეგობას უწევს სოციალისტურ მშენებლობას შევამჭიდროვოთ რიგები ლენინის პარტიას გარშემო.

მუშებო და მუშა ქალებო! ჩადექით სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა რიგებში—ლენინის პარტიის რიგებში!

ლენინის პარტიის მთლიანობა და სიმტკიცე დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებებს.

მკაფიო ლენინური ხაზით, ბრძოლით ყოველგვარ ოპორტუნიზმის და მისდამი შემარიგებელი განწყობილების წინააღმდეგ უზრუნველყოფს ჩვენი პარტიის გამარჯვებას და სოციალიზმის განხორციელებას. გაუმარჯოს ლენინიზმს!

დაე გაბატონებული კლასები ძრწოდენ კომუნისტური რევოლუციის წინაშე. პროლეტარები მასში დაჰკარგავენ მხოლოდ თავიანთ ხუნდებს, შეიძენენ კი მთელს ქვეყანას. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საკავშირო კომ. პარ. (ბ) ცეკა

ა.-კ. ცაკის მეოთხე სესია

გუშინ საღამოს სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნა ამიერ-კავკ. მეოთხე მოწვევის ცაკის მეოთხე სესია.

სესია გახსნა ამ. კავკ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **ალამალი-ოღლიმ**, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში მოუწოდა სესიის წევრებს ფეხზე ადგომით პატივი სცენ გარდაცვლილ ამხანაგების ა. გეგეჭკორის და სტეპანოვ-სკვორცოვის ხსოვნას (ყველანი ფეხზე დგებიან).

დღევანდელი სესიის დღის წესრიგში დასმულია ისეთი საკითხები, სთქვა ამხ. ალამალი-ოღლიმ, რომლებიც ახასიათებენ ჩვენს ზრდა-განვითარებას მუშაობის სხვადასხვა დარგებში. უპირველეს ყოვლისა დღის წესრიგში დასმულია საკითხი საბიუჯეტო უფლებების გაფართოვების შესახებ. შემდეგ სესია განიხილავს საკითხს მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, რომელიც გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მეურნეობის მდგომარეობას, და, დაბოლოს, საკითხს საბჭ. გადარჩევის შესახებ. ამ უკანასკნელ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ჩვენ ამ გადარჩევის დროს თავი უნდა დავაღწიოთ ყველა დეფექტებს ჩვენს მუშაობაში. ჩვენ საბოლოოდ უნდა დავამარცხოთ სოფლად კულაკი, რომ მოვსპოთ ლაპარაკი კულაკების გაძლიერების შესახებ. ამრიგათ, სესიის დღის წესრიგში დასმულია ჩვენი ცხოვრების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხები.

შემდეგ სესიამ მიიღო შემდეგი

დღის წესრიგი

1) ა.-კ. მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; 2) ა.-კ. და მასში შემავალ რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ; 3) საბჭოების მომავალი გადარჩევის შესახებ; 4) ა.-კ. ცაკის იმ დადგენილებათა შესახებ, რომლებიც მიღებული იქნა მესამედან მეოთხე სესიამდე; 5)საორგანიზაციო საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. ჰუსეინოვი.

ა.-კ. მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი

ამხ. ჰუსეინოვის მოხსენება

თავის მოხსენების დასაწყისში ამხ. ჰუსეინოვმა აღნიშნა, რომ ა.-კ. სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის თანხა არ ეთანხმება იმ თანხას, რომელიც შემუშავებული იქნა ა.-კ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის მიერ. ასე, მაგ., ა.-კ. სახკომსაბჭომ ა.-კ. მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა 126.000.000 მანეთის რაოდენობით, საბიუჯეტო კომისიამ კი ბიუჯეტი განსაზღვრა 143.000.000 მანეთით.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ა.-კ. ბიუჯეტის განვითარებას, დავინახავთ, რომ არასაგადასახადო შემოსავალი ამ ბიუჯეტში თანდათან იზრდება. მაგ., წელს არასაგადასახადო შემოსავლის ხვედრითი წონა ბიუჯეტში შეადგენს 50,4 პროცენტს. შემოსავლის ერთერთი მთავარ წყაროს წარმოადგენს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რომელიც შარშან ამიერ-კავკასიაში შეკრებილ იქნა 6.500.000 მანეთის რაოდენობით. ახალი ბიუჯეტით კი საკონტროლო ციფრი ამიერ-კავკასიისათვის შემუშავებულია 9.000.000 მანეთის რაოდენობით; ეს წარსულ წელთან შედარებით მომატებას იძლევა 40 პროცენტით. მართალია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო თანხა წელს გაიზარდა ამ. კავკასიაში, მაგრამ სამაგიეროთ გაიზარდა გადასახადისაგან განთავისუფლებულ მეურნეობათა რიცხვიც. ასე, მაგალითად, შარშან გადასახადისაგან განთავისუფლებული იყო მეურნეობათა 40 პროც. წელს კი განთავისუფლებულ მეურნეობათა რაოდენობა უდრის 53-54 პროცენტს.

შემოსავლის მეორე მთავარი წყარო —სასარეწაო გადასახადი, წელს გაერთიანებულია განძეულობათა ტრიალზე შემოღებულ გადასახადთან. ამას გარდა შემოღებულია აგრეთვე მთელი რიგი ცვლილებები ამ გადასახადში. მომავალი წლისათვის სასარეწაო გადასახადის სიმძიმე განზრახულია გადიდებული იქნეს სახელმწიფო ვაჭრობაზე 16 პროცენტით, კოოპერაციაზე 19 პროც. და კერძო სექტორზე 20,1 პროცენტით. ამიერ-კავკასიაში შემოსავალი სასარეწაო გადასახადიდან ა.-კ. სახკომსაბჭოს მიერ განსაზღვრული იყო 16.500.000 მან., მაგრამ საკავშირო ფინსახკომმა ეს თანხა გაადიდა 43 მილიონამდე.

რაც შეეხება ბიუჯეტის საგასავლო ნაწილს, იგი შედგენილია ისე, რომ იზრდება ხარჯები სახალხო მეურნეობაზე. შარშან სახალხო მეურნეობა ბიუჯეტში შეადგენდა 33,9 პროცენტს, წელს კი სახალხო მეურნეობის ხვედრითი წონა გადიდებულია 38,1 პროც. სამაგიეროთ მცირდება ხარჯები სხვა დარგებზე.

მთელი ბიუჯეტი წელს გადიდებულია 40 პროცენტით.

სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებიდან მრეწველობაში წელს დაბანდებული იქნება 29.079.000 მანეთი, რაც გასულ წელთან შედარებით მომატებას იძლევა 24 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის წელს სულ გადადებული იქნება 66 მილიონი მანეთი. სოფლის მეურნეობის განვითარება განზრახულია, როგორც ინდივიდუალური მეურნეობების აღორძინებით, ისე კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობა-გაფართოვებით. თუ შარშან ამ. კავკასიაში იყო 448 კოლექტიური მეურნეობა, წელს ეს რაოდენობა განზრახულია გადიდებულ იქნეს ორჯერ.

ამ. კავკასიის მთავრობის ყურადღების ცენტრში სდგას მოსავლიანობის გადიდების საკითხი, რომლის სწორათ გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა ექნება სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. აქ მარტო მთავრობის ღონისძიებები არ კმარა. საჭიროა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ჩაბმა ამ საქმეში. ამ მიზნით ამ. კავკ. სახკომსაბჭოსთან გამოყოფილია სპეციალური კომისია ამხ. ელიავას თავმჯდომარეობით, რომელმაც სოფლის მეურნეობის პრობლემა უნდა გადააქციოს ცენტრალურ პრობლემათ.

1928-29 წლის ბიუჯეტში შრომის ხელფასი გადიდებულია 19 მილიონ მანეთამდე, შარშან კი ხელფასის ფონდი უდრიდა 17.415.000 მანეთს.

ადგილობრივი ბიუჯეტი წელს დამტკიცებულია 129 მილიონ მანეთის რაოდენობით, რაც შარშანდელთან შედარებით მომატებას იძლევა 19 პროცენტით. ადგილობრივი ბიუჯეტი შედგენილია ისე, რომ იზრდება ხარჯები სამრეწველო, სოციალურ და კულტურულ საჭიროებებზე.

რაც შეეხება ელექტროფიკაციას, 28-29 წლის ბიუჯეტი ამ დარგისათვის ითვალისწინებს 3.450.000 მან. დახარჯვას. აქედან 1.800.000 მ. მოხმარდება აჭარის-წყალის ჰიდრო-სადგურს, დანარჩენი 1.650.000 მანეთი კი ყველა დაწყებულ სადგურების დამთავრებას. გადაწყვეტილია წელს ახალი ჰიდრო სადგურების აგება არ იქნეს დაწყებული.

ამხ. ჰუსეინოვის მოხსენებით დამთავრდა სესიის პირველი სხდომა.

ღამის ცნობები

საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო მოლაპარაკება.

ათინა, 29 ოქტომბერი, ათინის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „დღეს განახლდა მოლაპარაკება საბერძნეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ“. (ადს).

გაფიცვა გრძელდება.

პარიზი, 29 ოქტომბერი. ბორდოს გაფიცული დოკერების მიტინგმა, რომელსაც დაესწრნენ უნიტარული და რეფორმისტული კავშირების წარმომადგენლები, ერთხმად დაადგინა—განაგრძოს თვენახევრის წინათ დაწყებული გაფიცვა. (ადს).

მიტინგის აკრძალვა

ვარშავა, 29 ოქტომბერი. სელრობის დეპუტატებმა ხამმა და ვალნიცკიმ 28 ოქტომბრისათვის მიტინგი დანიშნეს ლვოვის კინემატოგრაფის შენობაში. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიტინგი აკრძალეს. მიტინგზე დასასწრებლად მოსულებს კინემატოგრაფის კარი დაკეტილი დახვდათ. მათ სცადეს მიტინგის გამართვა ცის ქვეშ, მაგრამ ისინი პოლიციამ გაფანტა. დაპატიმრებულია 5 კაცი.

ჩხრეკა ლვოვში

ვარშავა, 29 ოქტომბერი. ლვოვში მასიური ჩხრეკა მოხდა. დაპატიმრებულია 36 კაცი. (ადს).

კონფლიქტები იზრდება

ათინა, 29 ოქტომბერი. უკანასკნელ ხანებში, ერთის მხრით მუშებსა და მეორეს მხრით ელექტრონის განათების კამპანიისა და ტრამვაის მიმოსვლის ადმინისტრაციას შორის მუდმივი კონფლიქტები ხდება. ელექტრო მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირებმა პროფინტერნისა და ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო გაერთიანებას დახმარება სთხოვეს. (ადს).

დეპუტატთა პალატის დამატებითი არჩევნები დიუნკირხენში.

პარიზი, 29 ოქტომბერი. დიუნკირხენში, დეპუტატთა პალატის დამატებითი არჩევნების დროს, რესპუბლიკანურ-დემოკრატიული კავშირის (მემარჯვენეები) კანდიდატმა 8.700 ხმა მიიღო, სოციალისტების კანდიდატმა—7.608 ხმა, დამოუკიდებელი რადიკალების კანდიდატმა—2.579 ხმა, კომუნისტების კანდიდატმა ბარამ—2.861 ხმა. ხელახალი კენჭისყრა—კვირას იქნება. (ადს).

გადაფრენა სახარაზე.

პარიზი, 28 სექტემბერი. ლეიტენანტები მარი და ბულმერი შეუდგნენ სახარაზე გადაფრენას. მფრინავები იუწყებიან რადიოთი, რომ ისინი ნიგერის ახლო იმყოფებიან. (ადს).

აშინიათ გათიშვის მემარჯვენე „სელრობში“.

ვარშავა, 28 ოქტომბერი. ილიუსტრიროვანი კურიერ ცოდზენი“ განგაშს სცემს გათიშვის გამო მემარჯვენე „სელრობ“-ში. გაზეთის განგაში გამოწვეულია ხელისუფლებისა და მასთან დაკავშირებული უკრაინის შემთანხმებელთა მიერ მიღებულ ღონისძიებებთან. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინად მთავრობამ დახურა უკრაინული გაზეთი „სვიტლო“, მას შემდეგ, როცა იგი ჩამოშორდა შუმსკიზმს.

შენიშვნა: „სელრობ პრავიცა“, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში ჩამოშორდა დასავლეთ უკრაინის „გლეხთა და მუშათა კავშირს“ (მემარჯვენე ჯგუფი), უკრაინის საკითხში პირველად ემხრობოდა „შუმსკიზმს“, მაგრამ მალე გადაიქცა საბჭოთა კავშირის აშკარად მტრული ელემენტის იარაღად. (ადს).

უკრაინის პარტკოლექტივების კრებები

ხარკოვი, 29 ოქტომბერი. უკრაინის უდიდეს წარმოებებში დნეპროპეტროვსკის, არტემოვსკის, კიევის და სხვა ოლქებში შესდგა პარტკოლექტივების კრებები, რომლებზედაც განხილულ იქნა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა მოსკოვის ორგანიზაციისადმი. რეზოლუციებში პარტკოლექტივები მკიცხავენ მემარჯვენე გადახრას და აღნიშნავენ, რომ აუცილებლად საჭიროა ბრძოლა როგორც მემარჯვენე გადახრასთან და მისდამი შემრიგებლობასთან, ისე ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთებთან.

„ზერნოტრესტ“-ის დირექტორების მომზადება

მოსკოვი, 29 ოქტომბერი. ცეკამ საჭიროდ სცნო, მოაწყოს კურსები „ზერნოტრესტ“-ის დირექტორების მოსამზადებლად. კურსებზე იქნება 120 მსმენელი. დამტკიცებულია ადგილების ასეთი განაწილება: უკრაინას—25 ადგილი, მოსკოვს—15, ლენინგრადს—20, ჩრდილოეთ-კავკასიას—12, ციმბირს—10, ურალს, შუა ვოლგის ოლქს და ქვემო-ვოლგის ოლქს—რვა-რვა ადგილი, ბელორუსიას, ივანოვო-ვოზნესენსკის და ნიჟნი-ნოვგოროდს—სამ-სამი ადგილი, ბაშკირეთს, კაზაკსტანს, ყირგიზეთს, საქართველოს, ყირიმს, შორეულ აღმოსავლეთს, დაღესტანს, აზერბეიჯანს და სხვ.—თითო ადგილი, მიწა-ტყის მუშაკთა კავ

35-ის პროცესი

ტოკიო, 28 ოქტომბერი. 24 ოქტომბერს საპოროში დაიწყო პროცესი 35 კაცისა, რომელთაც ბრალდებათ კომუნისტური პარტიის წევრობა. საქმე ხალხის დაუსწრებლად ირჩევა.

სხვადასხვა

აეროპლანების ავარია

პრაღა, 28 ოქტომბერი. კარლსბადის მახლობლად ორი სამხედრო აეროპლანი ნისლში მოექცა. დაშვების დროს ერთ აეროპლანზე ცეცხლი გაჩნდა. მფრინავი მძიმედ დაშავდა. მეორე აეროპლანიც დაზიანდა. (ადს).

უბედურება ექსპრესზე

ვენა, 28 ოქტომბერი. პარიზ-სტამბოლის ექსპრესს სლატინის მახლობლად უბედურება შეემთხვა. მოკლული აღმოჩნდა 36 კაცი, დაჭრილი—50 კაცი. (ადს).

კომკავშირის ათი წლის თავი თბილისში

მუშა-ახალგაზრდობის დემონსტრაცია

საკავშირო კომკავშირის ათი წლის თავი კომკავშირის თბილისის ორგანიზაციამ ბრწყინვალედ იდღესასწაულა. ამ დღემ ფართედ მიიზიდა უპარტიო ახალგაზრდობა, რის გამო დემონსტრაციამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. კვირას, ჯერ კიდევ საღამოს 5 საათიდან თბილისის ცენტრალური ქუჩები სავსე იყო ზღვა ხალხით; საქართველოს კომკავშირის ცეკას და თბ. კომიტეტის შენობა სადღესასწაულოთ იყო მორთული. ქუჩებში ახალგაზრდობის არაჩვეულებრივი მოძრაობაა. ახალგაზრდა მუშები, კომკავშირელები და პიონერები დროშებით, პლაკატებით და ლოზუნგებით მიდიან დანიშნულ ადგილებისაკენ. დემონსტრაცია 7 საათისათვის იყო დანიშნული.

კომკავშირელთა კარნავალი და დემონსტრაცია

კომკავშირის ცეკას წინ აღმართულია ტრიბუნა.

დაღამდა. აენთენ ელნათურები, ცეკას და თეკას შენობა ათასფერ ელნათურებმა შთანთქა, ქუჩის ორივე მხარე აივსო ხალხით. რუსთაველის თეატრის აივნიდან ანათებს მძლავრი პროჟექტორი. ქუჩები ვარდისფრათ შეიღება. მთელი ყურადღება მიქცეულია პროსპექტის ბოლოს; ლენინის ქუჩიდან მოელიან დემონსტრანტებს. დროგამოშვებით გაისმის სამხედრო ორკესტრის ხმა და რევოლუციონური სიმღერები. ყველა ჯგუფები შესაკრებ პუნქტებისაკენ მიიჩქარიან.

7 საათი სრულდება. ტრიბუნაზე ადის პარტიის ძველი გვარდია, აქ არის **მიხა ცხაკაია, რუბენი, ლადო სუხიშვილი, ლავრენტი ქართველიშვილი, მამია ორახელაშვილი, ვანო გოლქვაძე** და სხვები.

ტრიბუნაზე დგას საქ. კომკავშირის ცეკას და თბ. კომიტეტის წარმომადგენლები.

შორს, რუსთაველის პროსპექტის ბოლოს გაისმა მუსიკის გუგუნი. წითელი დროშის ტყე პროჟექტორის სინათლეზე ათასფრად აელვარდა. ცხენების ფეხის ხმა აყრუებდა ისედაც ახმაურებულ ქუჩებს.

— ეს ლაშქრობის შტაბია, ლურჯების რაზმი.

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერების საქმეს—გაისმა ამხ. მიხას მჭექარე ხმა.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს—უპასუხეს ასობით მოლაშქრეებმა. რაზმი-რაზმს მისდევს, ჯგუფი-ჯგუფს და ასე დაუსრულებლივ. ტრიბუნიდან კი დრო და დრო მოისმის რევოლუციონური ენტუზიაზმის აღმძვრელი სიტყვები.

მოლაშქრეთა რაზმის უკან გაისმა დოლების ცემა, საყვირის ხმა.

— ეს პიონერებია,

— საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის იყავ მზად!

— მზად ვართ!

— გაუმარჯოს საკავშირო კომკავშირის 10 წლის თავს, ვაშა..

— ვაშა, ვაშა, ვაშა, შესძახებენ პიონერთა განუწყვეტელი ჯგუფები.

კვლავ ცხენოსანთა რაზმი, ფეხოსნები, მძიმე და მსუბუქი კავალერია, მუსიკის გუგუნი, და გაუმარჯოს ძახილით ჩაივლიან ტრიბუნის წინ.

მათ უკან მისდევს კომკავშირელთა კოლონები, ზღვა დროშებით, პლაკატებით და ლოზუნგებით. ხანგამოშვებით ტრიბუნის წინ ჩაიქროლებს პიონერებით სავსე ავტო-მანქანები. ახმაურებულ ქუჩებს კიდევ უფრო ახმაურებენ,—სადღესასწაულო ელფერს აძლევენ.

მუშა-ახალგაზრდობის კოლონებმა ჩაიარეს რუსთაველის პროსპექტი, დემონსტრაციას მაინც ბოლო არ უჩანს. კარნავალი გაგრძელდა სამი საათის განმავლობაში: კოლონა-კოლონას მისდევს, კვლავ ვაშას, გაუმარჯოს ძახილი, კვლავ ორკესტრების გუგუნი, მაშხალების ჰაერში სროლა, კვლავ ჩაიარეს სხვადასხვა პლაკატებით და ლოზუნგებით მორთულმა საბარგო ავტო-მანქანებმა.

მუშა-ახალგაზრდობის მასიური დემონსტრაცია დასრულდა საღამოს 9 საათზე. საერთოდ დემონსტრაცია გრანდიოზული იყო. მან მიიზიდა უპარტიო ახალგაზრდობის მასები.

რამდენიმე საათის განმავლობაში ისმოდა მუსიკის ხმა, რევოლუციონური სიმღერები და სხვა.

ასე ბრწყინვალედ იდღესასწაულა თბილისის მუშა-ახალგაზრდობამ საკავშირო კომკავშირის ბრძოლისა და გამარჯვების ათი წლის თავი.

ქინხელი.

კომკავშირის თბ. ორგანიზაციის აქტივის საზეიმო სხდომა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრის დარბაზში შესდგა საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის საზეიმო სხდომა უპარტიო მუშა-ახალგაზრდობის აქტივთან ერთად. სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. პ. აზარაშვილმა, რომელმაც აღნიშნა კომკავშირელების თავდადებული ბრძოლა სამოქალაქო ომის პერიოდში, მოიგონა ამ ბრძოლებში გმირულად დახოცილი ამხანაგები და წინადადება მისცა სხდომას ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მათთვის. (დამსწრენი ფეხზე დგებიან, მუსიკა ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს). შემდეგ ამხ. აზარაშვილი შეეხო კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ზრდას, კომკავშირელების მონაწილეობას სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. კულტურული რევოლუციის განხორციელების საქმეში და აღნიშნა, რომ კომკავშირის ორგანიზაცია ოთხ ნოემბერს ჩაატარებს საკავშირო კვირეულს, რომლის შემოსავალი მთლიანად მოხმარდება სკოლების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს.

ამხ. მიხა ცხაკაიას მისალმება

ამხანაგებო, ის ძლიერი ორგანიზაცია, რომელსაც ამჟამად ეწოდება ლენ. კომკავშირი, პირველად ჩამოყალიბდა მსოფლიო ომის პერიოდში ამხ. კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის ხელმძღვანელობით გერმანიაში. მაშინ ამ ორგანიზაციას ერქვა დამოუკიდებელი სოციალისტური ორგანიზაცია „სპარტაკი“. ეს ორგანიზაცია ამ სახელწოდებით არსებობდა კომინტერნის მე-2 კონგრესამდე, როდესაც ის შევიდა კომინტერნში და დაერქვა გერმანიის კომუნისტური პარტია.

საბჭოთა კავშირში ახალგაზრდობის ორგანიზაციების ჩამოყალიბება დაიწყო რევოლუციის შემდეგ. პირველ ხანებში, სანამ მენშევიკ-ესერების და ბურჟუაზიული პარტიების გავლენა ახალგაზრდობაზე დიდი იყო, კომკავშირის ორგანიზაცია მცირერიცხოვანი იყო ეს განსაკუთრებით ითქმის ამიერ-კავკასიაზე, სადაც ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრები რამოდენიმე ათეულს არ აღემატებოდა. დღეს კი ვხედავთ, რომ ამიერ-კავკასიაში კომკავშირის ორგანიზაციაში გაერთიანებულია 200 ათასი წევრი.

დასასრულ ამხ. ცხაკაია შეეხო კომკავშირელების იდეოლოგიურად და კულტურულად აღზრდის საკითხს და აღნიშნა, რომ კომკავშირის უმთავრეს ამოცანას შეადგენს იდეოლოგიური ფრონტის განმტკიცება და კომკავშირელების კულტურული დონის ამაღლება, რომ არავითარ მერყეობას, არავითარ გადახრებს მარცხნივ თუ მარჯვნივ ამ ორგანიზაციაში არ ექნეს ადგილი. კომკავშირმა სასტიკად უნდა ებრძოლოს აგრეთვე ნაციონალიზმს და მტკიცედ ატაროს ლენინიზმის დროშა.

საკავშირო კომკავშირის ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. დევდარიანმა.

ამხ. გაიოზ დევდარიანის მოხსენება

ამხანაგებო, მე დაწვრილებით არ შევჩერდები საკავშირო კომკავშირის საქმიანობის ისტორიაზე, ვინაიდან ერთ მოხსენებაში ეს ყოვლად შეუძლებელია, აღვნიშნავ მხოლოდ უმთავრეს საფეხურებს ამ მუშაობაში. საკავშირო კომკავშირის მუშაობა იყოფა ოთხ პერიოდათ. პირველია კომკავშირის ორგანიზაციის ჩამოყალიბების წინა პერიოდი, როდესაც არ არსებობდა კომკავშირის ორგანიზაციები. მიუხედავად ამისა, ამ ხნის განმავლობაშიაც ამხ. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობას. და დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა ახალგაზრდობის ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. ამის დასადასტურებლად ამხ. მომხსენებელს მოყავს ამონაწერები ლენინის ნაწერებიდან.

მეორე პერიოდია—ოქტომბრის რევოლუციის პერიოდი, სამოქალაქო ომების ხანა, როდესაც ახლად ჩამოყალიბებულმა კომკავშირის ორგანიზაციებმა უდიდესი როლი ითამაშეს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვის საქმეში. ამ ხნის განმავლობაში კომკავშირის ორგანიზაციამ არა ერთი ასეული და ათასეული ამხანაგები გაგზავნა ბრძოლის ველზე, რომლებიც თავისი მკერდით იცავდნენ ოქტომბრის რევოლუციას.

მესამე პერიოდი იწყება ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებიდან, როდესაც ჩვენი წარმოებები გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშზე და მუშა-ხელის მასიური შემცირებები ხდებოდა წარმოებებში. ამ პერიოდმა უსათუოდ თავისი უარყოფითი კვალი დაამჩნია კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობას და ორგანიზაციაში წარმოიშვა სინდიკალისტური მიმდინარეობა, რომელიც მოითხოვდა ახალგაზრდათა სექციების ჩამოყალიბებას საბჭოებთან და პროფკავშირებთან. რა თქმა უნდა ეს იყო მავნე გადახრა, რომლის წინააღმდეგ მიღებულმა ზომებმა აღმოფხვრა კომკავშირის ორგანიზაციაში სინდიკალისტური მიმდინარეობა.

კომკავშირის მეხუთე ყრილობიდან იწყება მეოთხე პერიოდი. ამ ყრილობაზე მიღებულ დადგენილებებით იწყება კომკავშირის აღორძინების პერიოდი. ჩვენი ორგანიზაცია იზრდება როგორც რიცხვობრივად, ისე თვისობრივადაც. მიუხედავად ამისა, კომკავშირის ორგანიზაციის წინაშე სდგას გრანდიოზული ამოცანა. ეს არის პირველ ყოვლისა თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება ჩვენი ორგანიზაციის წევრთა შორის, კვალიფიციური კადრების მომზადება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სასოფლო მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნისათვის და აგრეთვე კომკავშირმა დახმარება უნდა გაუწიოს პარტიას და ხელისუფლებას კულტურული რევოლუციის განხორციელებაში. ჩვენ უნდა გავამართლოთ სახელწოდება ლენინური კომკავშირის.

ამხ. დევდარიანის მოხსენების შემდეგ საქ. კომპარტიის ცეკას და თბილისის კომიტეტის სახელით სხდომას მიესალმა

ამხ. ასრიბეკოვი

რომელიც შეეხო მემარჯვენე საფრთხეს და აღნიშნა, რომ არიან ჩვენს ორგანიზაციებში ისეთი ამხანაგები, რომლებიც მოითხოვენ მე-15 პარტყრილობის დადგენილებებიდან გადახვევას. პარტია და კომკავშირი გადაჭრით უნდა შეებრძოლოს ასეთ მიმდინარეობას. ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთები მემარცხენე ფრაზებით ცდილობენ მუშათა კლასისათვის თვალის ახვევას, მათ სწორი გზიდან აცდენას, ისინი გაიძახიან, პარტიაში არსებობს მემარჯვენე საფრთხე, რასაც საკავშირო ცეკაც აღიარებს, მაშასადამე ჩვენ მართლები ვიყავით, როდესაც ამის შესახებ ადრეკე მიუთითებდით. ეს არის აშკარა სიყალბე. ტროცკისტული ოპოზიცია იგივე მემარჯვენეებია, რომლებიც მემარცხენე ფრაზეოლოგიით გვევლინებიან, ხოლო უადრესად მემარჯვენე საქმეს აკეთებენ. პარტიამ და კომკავშირმა სასტიკად უნდა შეებრძოლონ როგორც მემარჯვენე საფრთხეს და მასთან შემრიგებლობის პოლიტიკას, ისე ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთებსაც. საჭიროა აგრეთვე გადამჭრელი ბრძოლა ყოველგვარი ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ, რომელსაც ამიერ-კავკასიაში ჯერ კიდევ აქვს ნიადაგი.

ამხ. ასრიბეკოვის მისალმების შემდეგ კავკ. წითელდროშ. არმიის სახელით სხდომას მიესალმა ამხ. **ვასილიევი**. უკრაინის კომკავშირის ორგანიზაციის დელეგაციის სახელით—დელეგაციის წევრი ამხ. **ჩერნიკოვი** და კომკავშირელი ქალი ამხ. **ბარისენკო**. ბაქოს დელეგაციის სახელით ამხ. **სიდოროვი**. საქართველოს კომკავშირის დამაარსებელი ამხანაგების სახელით ამხ. **ვარდანიანი**, პიონერთა კოლექტივის სახელით პიონერები: **მაცაბერიძე, ხუხუნაშვილი** და **ივანოვი**. საქართველოს პროფსაბჭოს სახელით ამხ. **ანთაძე**, მუშკოოპში გაერთიანებული თანამშრომლების სახელით ამხანაგი **ბერიაშვილი**, თბ. დეპოს მუშების სახელით ამხ. **ოთარაშვილი**; რკ. გზის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის სახელით ამხ. **ქვირკველია**; კომკავშირის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის სახელით ამხ. **გეგეჭკორი**.

ამის შემდეგ სხდომამ მოისმინა ამხ. **სტალინის** მისალმება ლენინურ კომკავშირისადმი.

სხდომამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნოს საკ. კომპარტიის ცეკას, ახ. კომ. ინტერნაციონალს, საკ. ლენ. კომკავშირის ცეკას, უკრაინის ლენ. კომკავშირის ცეკას და ამხ. **სტალინს**.

სათანადო რეზოლუციის მიღების შემდეგ სხდომა დასრულდა ინტერნაციონალით, რას შემდეგ გაიმართა კონცერტი.

ახალი ტიპის სკოლა სოფლისათვის *)

რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატი კომკავშირთან ერთად იმ დასკვნას დაადგა, რომ, გლეხთა ახალგაზრდობის ნორმალური ტიპის სკოლის გარდა, საჭიროა შეიქმნას **გლეხთა ახალგაზრდობის საღამოს სკოლა**. ეს იქნება ძირითადი მუშფაკებისა და საღამოს მუშფაკების პარალელური მოვლენა. საღამოს სკოლის მიზანი ნათელია. სოფლის მეურნეობაში უკვე ჩაბმულ ახალგაზრდა გლეხს საღამოობით, მეტ წილად, თავისუფალი დრო აქვს და შეიძლება მივაწოდოთ მას ცოდნა და განმარტებანი ისე, რომ მუშაობას არ მოვაცდინოთ.

გლეხთა ახალგაზრდობის საღამოს სკოლის ამოცანაა — მოამზადოს ახალგაზრდა გლეხთაგან კულტურული მიწათმოქმედი—საზოგადო მუშაკები და სოფლის კოლექტივიზატორები, რომლებსაც შეეძლებათ მონაწილეობის მიღება სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში. სკოლას, რომ სათანადო წონა ჰქონდეს და ნამდვილი ცოდნით აღჭურვილ პირებს ამზადებს, განათლების კომისარიატს განზრახული აქვს გლეხთა ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში შემოიღოს, საერთოდ, სწავლების ორი წლის კურსი. მაგრამ, განათლების კომისარიატი ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებლად სცნობს ერთწლიან საღამოს სკოლებსაც. რაც შეეხება მოსწავლეთა სოციალურ შემადგენლობას, სკოლებში ისწავლიან მოჯამაგირეები, ღარიბი და საშუალო გლეხები. წლოვანება — 16-დან 22 წლამდე. შემსვლელთათვის საჭიროა დაწყებითი სკოლის პირველი ორი ჯგუფის საგნების ცოდნა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალიშვილების ჩაბმას. გლეხთა ახალგაზრდობის საღამოს სკოლებთან უნდა დაარსდეს დიასახლისობის, ჭრაკერვის და სხვა ამისთანა წრეები. სკოლებში მეცადინეობა იწარმოებს კვირაში 3—4-ჯერ, ოთხ-ოთხ საათს. რამდენად ფართო იქნება საღამოს სკოლების ქსელი ჯერ, რასაკვირველია, რომ მათი რიცხვი მეტი იყოს გლეხთა ახალგაზრდობის ნორმალურ სკოლებზედაც კი, რომელთა შენობები და მოწყობილობა, რასაკვირველია, მთავარ ბაზად გადაიქცევა ახალი ტიპის გლეხთა სკოლისათვის. მასწავლებლებად იქნებიან ადგილობრივი კულტურული ძალები: მასწავლებლები, აგრონომები, კოოპერატორები, პარტიული მუშაკები და სხვანი. საღამოს სკოლებში შრომის ხელფასი რამდენადმე შემცირებული იქნება, რათა გაადვილდეს სკოლების წარმოშობა და ძალიან არ დაიტვირთოს ადგილობრივი ბიუჯეტი. მხედველობაშია მიღებული, რომ ყველა მასწავლებელი, რასაკვირველია, თანამდებობათა შეთავსების მიხედვით იმუშავებს. მაგრამ, განათლების კომისარიატი ფიქრობს, რომ გლეხთა ახალგაზრდობის საღამოს სკოლების ნივთიერად უზრუნველყოფა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეკისროს მხოლოდ ბიუჯეტს. აქ ხელის შესაწყობად საჭიროა ანარიცხები თვით დაბეგვრით შექმნილ თანხებიდან, საჭიროა სააღგილმამულო ორგანოების, სამომხმარებლო კოოპერაციის, კოლექტიური მეურნეობების, საშეფო საზოგადოებების და საურთიერთო დახმარების კომიტეტების დახმარება, საჭიროა სპეციალური თანხების გადადება მოგროვებული ფულიდან და სხვადასხვა საქმიდან (მაგალითად, მიწის საზოგადოებრივი ხვნა - თესვა გლ. ახ. საღამოს სკოლის სასარგებლოდ) და სხვა. ძალიან სასურველია, რომ ამასთანავე ერთად, გლ. ახ. საღ. სკოლებს ინახავდნენ სხვადასხვა შეკავშირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები. როგორც ბიუჯეტიან ორგანიზაციებს, ისე სხვა ორგანიზაციებს შეუძლიათ იკისრონ გლ. ახ. საღ. სკოლების სხვადასხვა საჭიროების დაკმაყოფილება. განათლების კომისარიატი ფიქრობს, რომ თუ საქმეს ასე მიუდგებით, გლ. ახ. საღ. სკოლების ქსელი შეიძლება საკმაოდ ფართოდ განვითარდეს.

ქვედა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომ თაოსნობა გამოიჩინონ და განავითარონ, განათლების კომისარიატის აზრით, სახალხო განათლების განყოფილებებმა უნდა შექმნან წამქეზებელი ფონდები, ე. ი. უნდა იკისრონ, რომ მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შეკრებილი თანხების განსაზღვრულ ჯამს თავის მხრით დაუმატონ განსაზღვრული თანხა. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების სამოსწავლო წელი ცოტა სხვანაირი იქნება, ვიდრე ჩვეულებრივი. ერთის მხრით, ეს სკოლები მოქმედებას გააძლიერებენ ზამთრობით, მინდვრის მუშაობის გათავების შემდეგ, მეორეს მხრით, გაზაფხულობით და ზაფხულობით მოსწავლეები შეასრულებენ პრაქტიკულ მუშაობას სკოლის დავალებით. გარდა საზოგადოებათმეცნიერებისა, სამშობლო ენისა, და მათემატიკისა (მიწის მზომლობის და ანგარიშ მცოდნეობის ელემენტებით), სკოლის კურსში შეტანილი იქნება ერთგვარ, ელემენტარულ ბუნებისმეტყველებაზე დამყარებული, აგრონომია და კოოპერაცია, რომლის თეორიისა და პრაქტიკაში განსაკუთრებით საჭიროა შეტანილ იქნას გლეხთა მეურნეობის კოლექტივიზაციის პრობლემებისა და მეთოდების საფუძვლიანი შესწავლა. აგრონომიასა და კოოპერაციას დასჭირდება სასწავლო გეგმის ნახევარი, გეგმით კი ნავარაუდევია დაახლოვებით 720 საათი 2 წლის განმავლობაში.

განათლების კომისარიატი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მის მიერ შექმნილი ახალი ტიპის სკოლა კულტურულად გაძლიერებულ არა მცირე ძალებს შემატებს ჰიგანტიურ, კაცობრიობის ისტორიაში უნახავ საქმეს; ეს საქმეა: 25 მილიონი გლეხური მეურნეობის ჩაყენება ახალ კალაპოტში, კოოპერაციის, კოლექტივიზაციის და სოციალიზმის კალაპოტში. ყველა სხვა ქვეყანაში კი სოფლის განვითარება „ნორმალურია“, იქ ამ ნორმას არ სცვლის პროლეტარიატის მძლავრი დიქტატურა, იქ ეს განვითარება სწარმოებს კულაკის გამდიდრებისა და სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის გაღატაკებისა და ტანჯვის გზით.

ა. ლუნაჩარსკი.

---

*) მოგვყავს ერთი ნაწილი ამხ. ა. ლუნაჩარსკის წერილიდან, რომელიც მოთავსებულია „იზვესტია“-ს № 245-ში.

საბჭოთა კავშირში

ლენინური კომკავშირის ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 29 ოქტომბერი. ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცეკას პლენუმის 26 და 27 ოქტომბრის სხდომებზე განხილულ იქნა ხელმძღვანელობის საკითხები თვითკრიტიკის გატარებასთან დაკავშირებით.

ამ საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მილჩაკოვი. ამ მოხსენების გამო გამართულ გაცხოველებულ კამათში მონაწილეობა მიიღო 35 კაცმა. დიდის ყურადღებით მოისმინა პლენუმმა საათნახევრიანი სიტყვა საკავშირო კომ. პარ. (ბ) ცეკას მდივნის ამხ. კაგანოვიჩისა. სიტყვა შეიხებოდა კომკავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გარდაქმნის მთელ რიგ ამოცანას.

ამხ. მილჩაკოვის საბოლოო სიტყვისა და გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ პლენუმი დაიხურა. (ადს).

კულაკების თავგასულობა

მინსკი, 29 ოქტომბერი. უკანასკნელ დროს ბელორუსიის ზოგიერთ ადგილას კულაკები სოფლის აქტივისტების წინააღმდეგ გამოვიდნენ. მაგალითად, ორშას ოლქში კულაკებმა მოჰკლეს ტარაეინის სასოფლო საბჭოს მდივანი. სოფელ ლიხინიჩში, (კრუგლიანსის რაიონი) ადგილობრივმა კულაკებმა ივან გლოგომ და ხილოსოვმა ცეცხლი წაუკიდეს 1925 წელს მოკლული გლეხკორის რაკუშევის სარაის (ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს). სოფელ ზატეტრკში მოსაკლავად თავს დაესხნენ სასოფლო საბჭოს მდივანს გონჩაროვს, რომელიც გლეხებს ხელს აწერინებდა იმისათვის, რომ სოფლიდან გაეძევებიათ სოციალურად მავნე ელემენტები. დაპატიმრებულნი არიან კისილევი და შიბკო, რომლებმაც გონჩაროვს ტყვია ესროლეს, მაგრამ ვერ მოარტყეს. (ადს).

მოსკოვის სამხატვრო თეატრის იუბილე

ზეიმი მოსკოვში

მოსკოვი, 29 ოქტომბერი. 27 ოქტომბერს მოსკოვის სამხატვრო თეატრმა გადაიხადა ოცდაათი წლის იუბილე, რომელსაც დაესწრენ ამხანაგები რიკოვი, მიქოიანი, ლიტვინოვი, სემაშკო, ლუნაჩარსკი, ხვიდერსკი, რიაზანოვი, ხალათოვი, დიპლომატიური კორპუსის და აგრეთვე მოსკოვის სამეცნიერო, თეატრალური და სამხატვრო წრეების წარმომადგენლები.

ამხ. ლუნაჩარსკიმ მთავრობის სახელით წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა. მან წაიკითხა მთავრობის დადგენილება სამახტვრო თეატრის მთელი რიგი მსახიობებისათვის სახალხო არტისტის სახელწოდების მინიჭების შესახებ. სამხატვრო თეატრს მიესალმენ გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთის, ესტონეთის და ლატვიის თეატრალური მოღვაწენი, საბჭოთა რუსეთის სამეცნიერო დაწესებულებანი და სხვ. მისასალმებელი დეპეშები გამოგზავნეს აგრეთვე გორდონმა, ჰაუპტმანმა, პიკფორდმა, ფერბენკსმა, ჩაპლინმა და ევროპისა და ამერიკის ლიტერატურის, თეატრისა და კინოს სხვა უდიდესმა მოღვაწეებმა. ამხ. სტანისლავსკიმ და ნემიროვიჩ-დანჩენკომ თეატრის მუშაკთა სახელით მადლობა გამოუცხადეს ყველას.

მისალმება ამერიკიდან

ნიუ-იორკი, 28 ოქტომბერი. ამერიკელი არტისტების, რეჟისორების, დრამატურგებისა და თეატრალური კრიტიკოსების ჯგუფმა საზეიმო კრებით აღნიშნა მოსკოვის სამხატვრო თეატრის ოცდა ათი წლის თავი. გადასწყდა, დაარსდეს ფონდი, რომელიც ამერიკელ მსახიობებს ხელს შეუწყობს სამხატვრო თეატრის არტისტული ტეხნიკის შესწავლის საქმეში. სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელებს მოსკოვში შემდეგი დეპეშა გაეგზავნა:

„უღრმეს მადლობას გიცხადებთ იმისათვის, რაც თქვენ გააკეთეთ მთელი ქვეყნის სცენისათვის“. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 29 ოქტომბერი. სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის 27 ოქტომბრის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი მელნიჩანსკის მოხსენების გამო დაწინაურების საკითხის შესახებ. გამოსული ორატორების საერთო აზრით, მუშათა კადრების დაწინაურება პროფესიონალურ, სამეურნეო და საწარმოო სამუშაოზე დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული.

გამოითქვა სურვილი, რომ პროფკავშირებმა მიიღონ ზომები პროლეტარული სტუდენტობის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პროფკავშირებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ წარმოებებიდან უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნილებმა არ გასწყვიტონ კავშირი თავიანთ პროფორგანიზაციებთან და მუშათა მასასთან.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგის ამხ. ევრეინოვის მოხსენება საკლუბო მშენებლობის შესახებ. ამხ. ევრეინოვმა გააშუქა ძირითადი დეფექტები თანამედროვე საკლუბო მშენებლობაში. რევოლუციის დროს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაარსებულ იქნა 400 კლუბი. მაგრამ მუშათა მასის კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდა აუცილებელს ხდის საკლუბო ქსელის შემდგომ განვითარებას. საკლუბო მშენებლობა სწარმოებს გეგმის გარეშე, არ არის მოწესრიგებული მისი ფინანსიურად უზრუნველყოფის საქმე. მომხსენებლის აზრით, პლენუმმა მთავრობის სათანადო ორგანოების წინაშე უნდა აღძრას საკითხი მუდმივი ფონდის მოწყობის შესახებ, საიდანაც საკლუბო მშენებლობას გრძელვადიანი სესხი მიეცემა.

დაიწყო კამათი ამხ. ევრეინოვის მოხსენების გამო. (ადს).

ცეკას ხაზის დასაცავად

მოსკოვი, 29 ოქტომბერი. საკავშირო ლენინური კომკავშირის ცეკას პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიაც მიესალმა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციისადმი. პლენუმი აცხადებს, რომ მთელი ლენინური კომკავშირი სავსებით ერთსულოვნად მუშაობს მე-15 ყრილობის ძირითადი დირექტივების შესასრულებლად. კომკავშირი მჭიდროდ დაირაზმა ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, მრეწველობის რეკონსტრუქციისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მისი კოლექტიურ საფუძველზე გარდაქმნისათვის, თვითკრიტიკისა და შინაკავშირო დემოკრატიის თანამიმდევრობით განვითარებისათვის. პლენუმი წინადადებას აძლევს ორგანიზაციებს, რომ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში უფრო დიდი ყურადღება მიაქციონ პარტიის ამ ძირითადი დირექტივების შესრულებას. წარმატებითი მუშაობა ამ მიმართულებით შესაძლებელია მხოლოდ მკაფიო ლენინური ხაზისა და ამ ხაზიდან ყოველგვარი გადახრებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების საფუძველზე. იმ ფართო დისკუსიის დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა კომკავშირში პარტიის მე-15 ყრილობის წინ, ტროცკისტული გადახრა გამოაშკარავებულ იქნა მთელი კომკავშირის წინაშე. შემდგომმა აღმზრდელობითმა მუშაობამ განამტკიცა ტროცკიზმთან ბრძოლაში მოპოვებული პოზიციები. პლენუმი აღნიშნავს, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავების და მტრული კლასების წინააღმდეგობის გაცხოველების ეხლანდელ პირობებში განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს აშკარა მემარჯვენე გადახრა და აგრეთვე მისდამი შემარიგებელი დამოკიდებულება. კომკავშირმა არც ერთი წუთით არ უნდა შესწყვიტოს ბრძოლა ტროცკიზმის ნაშთებთან, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იდეურ შეიარაღებას მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ და ულმობლად უნდა გამოააშკარავოს მემარჯვენე გადახრასთან გადამჭრელი და სისტემატიური ბრძოლისათვის გვერდის ახვევის ყოველივე ცდა. პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კომკავშირის მოსკოვის კომიტეტი და ლენინური კომკავშირის მთელი მოსკოვის ორგანიზაცია ერთსულოვნად მიდიოდა პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად, რომელმაც გამოასწორა თავისი ხელმძღვანელობის შეცდომები. ლენინური კომკავშირის მეათე წლის თავზე პლენუმი მხურვალე კომკავშირულ სალამს უძღვნის პარტიის ცეკას და ლენინური კომკავშირის სახელით აღთქმას სდებს, მოახდინოს მშრომელი ახალგაზრდობის მთელი ენერგიისა და ნებისყოფის მობილიზაცია სოციალისტური მშენებლობის იმ უდიდესი ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც დგანან პარტიისა, პროლეტარიატისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე“. (ადს).

თბილისის საბჭოს სექციებში

სავაჭრო კოოპერატიულ სექციაში

გუშინ, საღამოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში ამხ. მ. გავაშელის თავმჯდომარეობით შესდგა თბ. საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიულ სექციის სხდომა, რომელზედაც ხორცის ბაზრის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისის აღმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილების გამგემ ამხ. გრ. ლასკარმა.

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დადგენილების თანახმად,—განაცხადა მომხსენებელმა,—ხორცის დამამზადებელმა და გამსაღებელმა კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა ხორცის ბაზრის მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილონ 75 პროცენტით, ამ რაოდენობიდან ხორცის 65 პროცენტი უნდა დაამზადოს „მიასოპროდუქტმა“ და 35 პრ. „მწყემსმა“, ხორცის გასაღება დაკისრებული აქვთ მუშკოოპს, სატრან. სამომხმარებლო კოოპერაციას, სამხედრო კოოპერაციას, „სოფლის მეურნეს“ და სხვ.

უკანასკნელ ხანებში ჩატარებულ გამოკვლევით გამოირკვა, რომ ხორცის დამამზადებელმა და გამსაღებელმა ორგანიზაციებმა ხორცის ბაზრის დაკმაყოფილება ძროხის ხორცით შესძლეს მხოლოდ 55,6 პროცენტით ცხვრის ხორცით—32,3 პროცენტით. ასე რომ ძროხის ხორცის მოთხოვნილების 44,4 პროცენტს და ცხვრის—67,7 პროცენტს აკმაყოფილებენ კერძო ვაჭრები.

გამოკვლევამ ნათელჰყო აგრეთვე, რომ კოოპერატიულ სავაჭროებში ხორცი ღირსებით მდარეა.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

კამათის მონაწილენი აღნიშნავდენ, რომ კოოპერატიულ სავაჭროებში ხორცი ხშირად ყოვლად უვარგისია, გარდა ამისა ხორცის გამყიდველები უხეშათ ეპყრობიან მომხმარებლებს. ზოგიერთ კოოპერატიულ სავაჭროებში ხორცი უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე კერძო საყასბოში. მაგალითად კერძო საყასბოში გირ. ხორცი იყიდება 30 კაპ., კოოპერატიულ სავაჭროში მასზე ღირსებით უფრო მდარე ხორცი კი—30—40 კაპ. გირვანქა. კამათში აგრეთვე აღნიშნულ იქნა, რომ მუშკოოპმა ვერ დააყენა სათანადო სიმაღლეზე დახარისხებულ ხორცის გაყიდვის საქმე და კოოპერატიულ სავაჭროებში მომუშავე ყოფილი კერძო ვაჭრები კარგ ხორცს აწვდიან თავიანთ ნაცნობ-მეგობრებს და კერძო რესტორანებს.

ამხ. გავაშელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კოოპერატიულ ორგანიზაციებს დღემდე არა აქვთ რეალური გეგმა ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მანვე აგრეთვე აღნიშნა, რომ ხორცის დამამზადებელ ორგანიზაციებს,—„მიასოპროდუქტს“ და „მწყემს“ ხორცის დამზადება შარშანდელთან შედარებით უჯდებათ 7 ნახ. პროცენტით უფრო ძვირი, კერძო ვაჭრების მდგომარეობა კი ამ მხრივ თითქოს სტაბილურია.

მომხსენებელმა საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ ერთი-ორი თვის შემდეგ ადგილობრივ, საქართველოში, ხორცის დამზადება შეუძლებელი იქნება, ვინაიდან ზამთრის დადგომის გამო ჩვენი საქონელი დასაკლავათ არ ივარგებს. ამიტომ საჭიროა გამოირკვეს, თუ რა ზომებია მიღებული ხორცის დამამზადებელ ორგანიზაციების მიერ საქონლის შესასყიდათ საქართველოს გარეთ.

დასასრულ სხდომამ დაადგინა მიღებულ იქნეს ზომები, რათა ხორცის როგორც დამამზადებელმა, ისე გამსაღებელმა ორგანიზაციებმა სავსებით შეასრულონ მიცემული დირექტივები ბაზრის უზრუნველსაყოფად ხორცით. ამავე ორგანიზაციებს წინადადება ეძლევა კოოპერატიულ სავაჭროებში მომუშავე ყოფ. ვაჭრები, რომლებიც უხეშათ ექცევიან მომხმარებლებს და ერთგვარი არევ-დარევა შეაქვთ კოოპერაციის მუშაობაში, შესცვალონ ახალ მუშაკებით.

მ. გ. ინსპექციის სექციაში

მ. გ. ინსპექციის სექციის სხდომაზე, რომელიც შესდგა თბ. აღმასკომის წითელ დარბაზში, სექციის ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლეჟავამ.

მოხსენების შემდეგ სხდომამ მიიღო შესაფერი დადგენილება და მომავალ მუშაობის გეგმა.

კომუნალურ სექციაში

კომუნალურ სექციის სხდომაზე კომუნალურ განყოფილების გასულ საანგარიშო წელში ჩატარებულ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ახრიევმა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ქალაქის მეურნეობის ზრდასთან ერთად, კომუნალურ წარმოებებში ადგილი აქვს თვალსაჩინო ნაკლოვანებებს.

მაგალითად, ტრამვაის უფრო იაფი ტარიფით შეუძლია მგზავრების გადაყვანა. არსებული ტარიფის სიდიდე გამოწვეულია ტრამვაის დიდი შტატით. რომელსაც უნდება ტრამვაის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი.

ნაკლოვანებებს ადგილი აქვს თბ. ელექტრო-ენერგიის მოწ. სამმართველოს (თელასის) მუშაობაშიც, (ელექტრო ქსელის გაყვანისა და ენერგიის სიძვირე, აბონენტებთან ხელშეკრულებების დარღვევა და სხვ.) მაგრამ ეს ნაკლოვანებები შედარებით უმნიშვნელოა იმ მუშაობასთან, რომელიც ჩაატარა გასულ საანგარიშო წელში თელასმა ქალაქში ელექტრო-ქსელის მოსაწყობათ.

მუშაობა ცუდათ სწარმოებს აბანოებში. საბანაო ნიხრი მეტად დიდია, რის გამო მცხოვრებთა უმრავლესობას საშუალება არა აქვს სისტემატიურად ისარგებლოს აბანოებით. გარდა ამისა აბანოების რიცხვი მეტად მცირეა.

ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნაკლოვანებებს ადგილი აქვს უძრავ ქონებათა სამმართველოში. მაგრამ ეს არ არის ხელმძღვანელების ბრალი. საცხოვრებელი სივრცე არ არის საკმაო, ქალაქი კი დღითი-დღე იზრდება. შექმნილი საბინაო კრიზისი კი იწვევს უკმაყოფილებას და კონფლიქტებს. არსებული საბინაო კრიზისი რომ სანახევროთ შევანელოთ, საჭიროა 12 ათასი ახალი ოთახი, გასულ საანგარიშო წელში კი აგებულ იქნა მხოლოდ 362 ოთახი.

მიღებულია ზომები, რომ წელს შარშანდელთან შედარებით საბინაო კრიზისთან ბრძოლა გაძლიერებული იქნეს.

მუშაობა მხატვრული ლიტერატურის დარგში

ამხ. ვ. სუტირინის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

რამდენიმე წინასწარი შენიშვნა

სუტირინი: ამხანაგებო! ვიდრე ჩემს მოხსენებას შეუდგებოდე, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა მისი ხასიათის შესახებ, რათა ამხანაგებს გაუგებრობა და ჩემდამი უსამართლო პრეტენზიები არ დაებადოთ. ჩემი მოხსენება „პარტიის მუშაობის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“ სრულიადაც არ მესმის ისე, როგორც დღევანდელი ამიერ-კავკასიის ლიტერატურის კონკრეტული აღწერა. (რასაკვირველია, საჭირო იქნება შევეხო ლიტერატურულ ფაქტებს, საჭირო იქნება ლიტერატურული მასალის მოცემაც, რამდენადაც ეს აუცილებელია ჩემი მოხსენების ძირითად დებულებათა დასადასტურებლად). მოხსენებამ პირველ ყოვლისა, უნდა **განსაზღვროს ის ძირითადი პრინციპები** რომლებზედაც აგებულია პარტიული პოლიტიკა მხატვრული ლიტერატურის დარგში, მან უნდა **ასახოს პოლიტიკური ხაზი** და შეუფარდოს დღევანდელ ლიტერატურულ პირობებს.

ძალიან ვწუხვარ, რომ მოხსენებას ვაკეთებ და არა თანამოხსენებას. ვწუხვარ, რომ ამხ. მამიამ ვერ წაიკითხა თავისი მოხსენება: მე იძულებული ვიქნები შევჩერდე ისეთ პრობლემებსა და საკითხებზე, რომლებსაც ამხ. მამია თავის მოხსენებაში, უეჭველია, წამოაყენებდა და გადასჭრიდა.

იმ მასალას, რომელსაც მე დავაყრდნობი, ორი ნაწილი შეადგენს: ჯერ ერთი, რეზოლიუციის პროექტი, რომელიც პარტიის ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ შეიმუშავა და ოთხიოდე თვის წინათ გამოაქვეყნა პრესაში, მეორე—პროექტის გარშემო გამართული დისკუსიის მასალა. უნდა შევნიშნო, რომ ეს მასალა უკვე დამაკმაყოფილებელი აღარ არის. თუმცა რეზოლიუცია გამოქვეყნდა როგორც საოლქო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მიერ დაწერილი პროექტი, მაგრამ ფაქტიურად იგი პირადად მე დავსწერე; ამიტომ იქ უეჭველია, შეცდომებია, არა სწორი ფორმულები და სხვა ამისთანა დეფექტები, რომლებიც აუცილებლად ახასიათებს ყოველ ასეთ მუშაობას, თუ იგი ერთ პიროვნებას შეუსრულებია. და აი, მას შემდეგ, რაც ნახევარი წელიწადი გავიდა რეზოლიუციის დაწერის დღიდან და თითქოს აღარა ვგრძნობ ჩემს ავტორობას, მე უკვე გარედან უყურებ ამ რეზოლიუციას და მას ისეთ პუნქტებს ვამჩნევ, რომლებიც უნდა შეიცვალონ, უფრო სწორედ ჩამოყალიბდნენ, შეივსონ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე, როგორც ავტორი, ხელს ვიღებდე რომელიმე პუნქტზე. ჩემის აზრით, პროექტის ყოველი პუნქტი ახლაც სწორია. მაგრამ რაკი ამ ნახევარი წლის განმავლობაში სხვადასხვა ახალი გარემოება შეიქნა, ჩემის ფიქრით, საჭიროა არა მარტო უფრო ზედმიწევნით ჩამოყალიბდეს რეზოლიუციის ზოგიერთი პუნქტი, არამედ მას დაერთოს ახალი პუნქტებიც, რომლებიც ნათელს მოჰფენენ, შესამჩნევად გახდიან და უფრო მკაფიოდ გამოჰკვეთენ რეზოლიუციის უკვე გამოქვეყნებულ პუნქტებს.

დისკუსიის შედეგები

ახლა დისკუსიის შესახებ. ჩემის აზრით, იგი მთლად დამაკმაყოფილებელი არ იყო. როცა საოლქო კომიტეტი რეზოლიუციის ამ პროექტს აქვეყნებდა, ფიქრობდა, რომ იგი ფართო გამოხმაურებას ჰპოვებდა. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ დისკუსიას პრესაში მარტო ერთი გაზეთი—„ზარია ვოსტოკა“ აწარმოებდა. ბაქოს გაზეთები, მიუხედავათ იმისა, რომ მე რამდენჯერმე თხოვნით მივმართე, კარგა დიდი ხნის განმავლობაში რეზოლიუციის პროექტსაც კი არ აქვეყნებდნენ, ასეთივე მდგომარეობა იყო ქართულ პრესაშიაც, სადაც, მაღიანაც რომ მოისურვოთ, დისკუსიის ვერავითარ კვალსაც კი ვერ იპოვით. ცოტა უკეთესადაა საქმე სომხეთის პრესაში. მაგრამ „ზარია ვოსტოკა“-ს ფურცლებზე გამართულ დისკუსიასაც კი დამაკმაყოფილებლად ვერ ჩავთვლით. ყურადღება მიაქციეთ ამ დისკუსიის მონაწილეთა შემადგენლობას. ერთი-ორი კომუნისტის გარდა დანარჩენი ავტორები ჩვენები არა ყოფილან. თუნდაც მარტო ეს გარემოება ადასტურებს, რომ ლიტერატურული პოლიტიკის საკითხების განხილვაში აქტიობა ჩვენს მხარეზე არ იყო, რომ სხვა ფენებში, ნაწილობრივ ჩვენდამი მტრულად განწყობილ ფენებში, არამცირედი გამოცოცხლება ხდება. სამწუხაროა, რომ ასეთი გამოცოცხლების დროს ჩვენ, კომუნისტები, ძალიან სუსტნი, პასიურნი ვიყავით. არსებითად რომ ვთქვათ, დისკუსიის მთელი სიმძიმე ამხ. ბუაჩიძემ ზიდა.

მე ვფიქრობ, რომ ეს დისკუსია უკვე აღნიშნავს ზოგიერთ ძირითად პროცესს ლიტერატურაში. ის გვიდასტურებს ლიტერატურაში არსებული მტრული ელემენტების აქტივიზაციას. მეორეს მხრივ, იგი გვიჩვენებს პარტიული ხელმძღვანელობის ღირსება-ნაკლს, იმასაც, თუ რამდენად უშუალოდ არიან დაინტერესებულნი მხატვრული ლიტერატურის საკითხებით პარტიული ამხანაგები და პარტიული ორგანიზაციები მთლიანად.

ლიტერატურის როლი სოციალისტურ მშენებლობაში

ამხანაგებო, შეიძლება იკითხოთ, თუ რატომ მოხდა, რომ ამხ. ორახელაშვილის მოხსენებასთან დაკავშირებით გადასწყდა თანამოხსენების გაკეთება ლიტერატურის შესახებ, და არა კინოს, თეატრის ან მხატვრული შემოქმედების სხვა რომელიმე დარგის შესახებ. ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობდა, კერძოდ, ამხ. დუდუჩავაც, რომ ლიტერატურას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კულტურული რევოლიუციის დარგში, რადგან იგი თავისი სპეციფიური ლიტერატურული საშუალებებით ხელს უწყობს ახალი ფსიხოლოგიური ტიპის შექმნას, ხელს უწყობს მეშჩანობასთან ბრძოლას და სხვა. ეს მართალი არაა, რადგან მომხმარებელზე ხელოვნების ზემოქმედების თვალსაზრისით მხატვრულ შემოქმედებას ისეთი დარგები გააჩნია, რომლებიც ნაკლებად მძლავრნი არ არიან და შეიძლება უფრო ძლიერნიც იყვნენ, ვიდრე ლიტერატურა. მაგალითად, კინოს (პოტენციალურად მაინც) ზემოქმედების ძალა გაცილებით უფრო მეტი აქვს, ვიდრე ლიტერატურას. თანამედროვე ლიტერატურის მასიურობის მიუხედავად, ჩვენს პირობებში კინო გაცილებით უფრო მასიურია. რაც შეეხება ლიტერატურის „ამოცანებს“ (ახალი ფსიქოლოგიური ტიპის შექმნა, მეშჩანობასთან ბრძოლა და სხვ.), ეს ამოცანებიც „განსაკუთრებით მნიშვნელოვანნი“ არ არიან, ვინაიდან კინოც, თეატრიც და ხელოვნების სხვა დარგებიც ისეთსავე ამოცანებს ისახავენ, როგორისაც ლიტერატურა. (მე ახლა არ ვეხები იმას, თუ რამდენად სწორედ აქვს აღნიშნული ამხ. დუდუჩავას ლიტერატურის ამოცანები). თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც სწორია იმის მტკიცება, რომ მხატვრული შემოქმედების დარგში ლიტერატურა უმნიშვნელოვანესი დარგია. ამის მიზეზია ლიტერატურის ზემოქმედების არა სპეციფიური საშუალებანი, არა მისი საგანგებო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანები, არამედ ის, რომ კულტურული რევოლიუციის დარგში ლიტერატურა წარმოადგენს ერთ-ერთ უაღრესად **მოძრავ** და უაღრესად **დამახასიათებელ** დარგს.

ჩვენ რომ მოვისურვოთ, ამხანაგებო, ინტელიგენციის ძირითადი სულიერი განწყობილების გამორკვევა, რომ მოვისურვოთ ძირითადი პროცესების გამორკვევა მხატვრული შემოქმედებისა და საერთოდ კულტურული რევოლიუციის დარგში, მგონია, სავსებით ლიტერატურაზე უკეთეს საშუალებას ვერ გამოვნახავთ. ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ, როცა ჩვენი პარტიის ც. კ. პირისპირ მიადგა იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტს, მან პირველ ყოვლისა, ხელი მოჰკიდა ლიტერატურული საკითხების გადაწყვეტას.

თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, რომ მისი პირველი დოკუმენტი, რომელიც შეეხებოდა პოლიტიკას ხელოვნების დარგში „ლიტერატურული“ დოკუმენტი იყო, ე. ი. დოკუმენტი ლიტერატურის შესახებ. ამასთანავე, ამ შემთხვევაში ყველაზე საინტერესო სწორედ ის არის, რომ რეზოლიუცია „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“ საფუძვლად გადაიქცა შემდგომი დოკუმენტებისათვის ხელოვნების შესახებ (პარტ. თათბირების რეზოლიუციები თეატრის, კინოს შესახებ).

ეს იმიტომ მოხდა, რომ ლიტერატურამ ყველაზე უკეთესად და ყველაზე ადრე ასახა ის, რაც პარტიის წინაშე დადგა იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტზე და რაც გადაჭრას მოითხოვდა.

ლიტერატურა ამიერ-კავკასიაში

შეხედეთ სხვადასხვა მხატვრული იდეოლოგიის დღევანდელ ცხოვრებას. სად უფრო სწრაფად ყალიბდება მხატვრული შემოქმედების მორიგი საჭირბოროტო პრობლემები? სად ჰპოებენ ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულებას, სად უფრო სწრაფად სწყდება ეს პრობლემები? უეჭველად ლიტერატურაში.

დღეს, მაგალითად, მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა მარქსისტული ხელოვნების მცოდნეობის პრინციპების შემუშავების საჭიროება. და ჩვენ ვხედავთ, რომ ხელოვნების მცოდნეობა, პირველ ყოვლისა, იქმნება როგორც ლიტერატურის მცოდნეობა.

მე არ ვილაპარაკებ იმის შესახებ, თუ რატომ იხატება ლიტერატურაში უფრო მალე, უფრო უკეთესად, ვიდრე ხელოვნების სხვა დარგებში, იდეოლოგიური ბრძოლის ძირითადი პროცესები. ჩემთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ლიტერატურა იდეოლოგიური ფრონტის მდგომარეობის საუკეთესო მაჩვენებელია, მხატვრული შემოქმედების დანარჩენი დარგების მოწინავე ხელმძღვანელი.

ამგვარად, რასაც ვილაპარაკებ ჩემს მოხსენებაში, ამა თუ იმ შესწორებითა და დამატებით, პრინციპიალურად სწორი იქნება იდეოლოგიური ბრძოლის დანარჩენი დარგების მიმართაც.

ამიერ-კავკასიის პირობებში ლიტერატურულ საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვთ კიდევ იმიტომ, რომ მწერლებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ისეთი დიდი მნიშვნელობა, ისეთი ხვედრითი წონა არსად არა აქვთ, როგორც ამიერ-კავკასიაში და მეტადრე საქართველოში.

თუ, მაგალითად, ავიღებთ რუსეთის ინტელიგენციას და შევადარებთ, ერთის მხრით, მისი ლიტერატურული ნაწილის ხვედრით წონას და, მეორე მხრით, ჩვენი მწერლობის ხვედრით წონას ჩვენი ინტელიგენციის შიგნით, დავინახავთ, რომ ჩემი აზრი მართალია. განსაკუთრებით, მე ვამბობ, ეს სწორი იქნება საქართველოს მიმართ. ყველა ეს მოსაზრება იმას ადასტურებს, რომ თანამოხსენება საჭირო იყო სწორედ ლიტერატურის საკითხების გარშემო.

რამ გამოიწვია საოლქო კომიტეტის რეზოლიუცია?

1925 წელს შემუშავდა და გამოქვეყნდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის რეზოლიუცია „პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“; შეიძლება შემეკითხონ: იქნებ სრულიად საჭირო არ იყო პარტიის საოლქო კომიტეტის სპეციალური რეზოლიუცია? იქნებ ეს ზედმეტი დოკუმენტი იყოს, რომელიც საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის რეზოლიუციას იმეორებს და, უკეთეს შემთხვევაში, მის პოპულიარიზაციას ახდენს?

მე ვფიქრობ, რომ ეს ასე არ არის. მე ერთ წუთსაც ეჭვი არ მეპარება, რომ 1925 წელს გამოქვეყნებული ც. კ.-ის რეზოლიუცია დღესაც სწორია. ამ რეზოლიუციის ძირითადი პრინციპები სწორია არა მარტო დღესაც, ეს პრინციპები სწორია პროლეტარული კულტურის მშენებლობის მთელ მანძილზე. მაგრამ, ამხანაგებო, დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა განსხვავდება 1925 წლის პოლიტიკური მდგომარეობისაგან. შეიცვალა არა მარტო საერთო პოლიტიკური სიტუაცია, არამედ შეიცვალა აგრეთვე ძალთა განწყობილება ლიტერატურის შიგნითაც: ლიტერატურაში კლასობრივი რაზმები ზოგნი იზრდებიან, ზოგნი დეგრადაციას განიცდიან. თუ შეიძლება ასე ვთქვათ, შეიცვალა ლიტერატურულ-პოლიტიკური მდგომარეობა. ამიტომ პარტიის ც. კ.-ის რეზოლიუცია დღეს ისე არ უნდა წავიკითხოთ, როგორც მისი გამოქვეყნების დროს. ჩვენ სხვანაირად უნდა დავსვათ ამ რეზოლიუციაში სასვენი ნიშნები, სხვადასხვანაირად უნდა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება რეზოლიუციის ამა თუ იმ ადგილზე. ჩემი აზრი რომ გასაგები იყოს, მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს. პარტიის ც. კ.-ის რეზოლიუციის მე-10 პუნქტში ლაპარაკია თანამგზავრებისა და ჩვენი მათდამი დამოკიდებულების შესახებ. გთხოვთ გულდასმით მოისმინოთ ამ პუნქტის რედაქცია.

„პარტიამ უნდა უკუაგდოს ანტი-პროლეტარული, ანტი-რევოლიუციონური ელემენტები (ახლა მეტის-მეტად უმნიშვნელო), უნდა ებრძოლოს ახალი ბურჟუაზიის იმ იდეოლოგიას, რომელიც ყალიბდება „სმენავეხელთა“ ყაიდის „თანამგზავრების“ ერთ ნაწილში; მან უნდა შეიწყნაროს გარდამავალი იდეოლოგიური ფორმები და გულმოთმინებით შეუწყოს ხელი ამ აუცილებელი უამრავი ფორმის აღმოფხვრას კომუნიზმის კულტურულ ძალებთან უფრო მჭიდრო ამხანაგური თანამშრომლობის პროცესში“.

ურთიერთობა ლიტერატურულ მიმდინარეობებთან

სწორად იყო თუ არა, ამხანაგებო, ჩამოყალიბებული ეს პუნქტი პრინციპიალური და კონკრეტულ-პოლიტიკური თვალსაზრისით? დიახ, სწორად იყო ჩამოყალიბებული. სწორია თუ არა იგი დღესაც? დიახ, სწორია, მაგრამ დღევანდელი დღის—საერთო-პოლიტიკური და ლიტარატურულ-პოლიტიკური პირობები ისეთია, რომ გვაიძულებს ცოტა არ იყოს, სხვანაირად მივუდგეთ ამ პუნქტს. რას მიექცა მთავარი ყურადღება 1925 წელში? შეწყნარებას, შერიგებით დახმარებას გარდამავალ იდეოლოგიურ ფორმების აღმოფხვრის საქმეში. ჩვენ კი, ჩვენ რას უნდა მივაქციოთ მთავარი ყურადღება?—შეურიგებლობას ანტი-პროლეტარულ და ანტი-რევოლიუციონურ ელემენტების მიმართ. თუ რეზოლიუციაში ეს ამოცანა ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: მტრის ჩამოშორებით, მასთან ბრძოლით დახმარების აღმოჩენა თანამგზავრისათვის, დღეს ეს ამოცანა ასე უნდა იყოს გაგებული: თანამგზავრისათვის დახმარების აღმოჩენასთან ერთად გარდაქმნა საკუთარი თავის, მტრის ჩამოშორება, შეურიგებელი და დაუზოგავი ბრძოლა მასთან. რად მიმაჩნია აუცილებლად ასე გავიგოთ ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციის აღნიშნული პუნქტის აზრი? მიტომ რომ გამოიცვალა კონკრეტული პირობები. ცენტრალური კომიტეტის ამ რეზოლიუციის გატარების დროს, თუ თქვენ თვალყურს ადევნებდით იმ დისკუსიას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მისი მიღების წინ, მეტად გავრცელებული იყო ეგრეთ წოდებული კომ-ყოყოჩური განწყობილება. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენ პარტიაშიც კი მრავლად მოიპოვებოდა ისეთი ადამიანი, რომელიც აშკარად თუ ფარულად იზიარებდა იმ აზრს, რომ პროლეტარული მშენებლობის საქმეში შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს კულტურულ მემკვიდრეობას.

კულტურული მემკვიდრეობის პრობლემის ასეთ ანტი-კომუნისტურ, ანტი-მარქსისტულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სწყდებოდა გარდამავალ იდეოლოგიურ ფორმების საკითხიც. მათ მიმართ გამოცხადებული იყო შეურიგებლობა. ეს იყო, ამხანაგებო, თავისებური „ლიტერატურული ტროცკიზმი“, თუმცა ტროცკი პირველად კომუნისტ-ლიტერატორების „ულტრა-მემარცხენე“ პოზიციის დაუძინებელი მტერი იყო. (მიუხედავად იმისა, რომ ტროცკის აშკარად ლიკვიდატორული პოზიცია ეჭირა კულტურის საკითხებში, ამჟამად სავსებით თვალსაჩინოა პროლეტარული ლიტერატურის ულტრა-მემარცხენე ფრთის ორგანიული კავშირი ტროცკიზმთან, თუ გინდ იმ ფაქტიდან, რომ „მემარცხენეთა“ „იდეოლოგიური“ პროლეტარულ მწერლების ასოციაციის საკავშირო გაერთიანებაში იყვნენ, ზოგიერთნი კი ეხლაც არიან ტროცკისტულ ოპოზიციაში. ასეთი აუცილებლობით ხდებიან „მემარცხენენი“—მემარჯვენეებად).

ამრიგად, როცა გარდამავალ იდეოლოგიურ ფორმების მიმართ ადგილი ჰქონდა შეურიგებელ დამოკიდებულებას, როცა პროლეტარული ლიტერატურის შიგნით თავს იჩენდა ეგრედწოდებული ულტრა-მემარცხენე განწყობილებანი, მაშინ საჭირო იყო შემარიგებელი გზის აღება გარდამავალი ფორმების მიმართ. გარდა ამისა 25 წელში ანტი-რევოლიუციონური, ანტი-კომუნისტური იდეოლოგია არ იყო ისეთი ძლიერი, როგორიც არის იგი დღეს. ეს ის დრო იყო, როცა კერძო-კაპიტალისტური ელემენტების ზრდას ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ეკვივალენტის გამოღება იდეოლოგიაში. დღეს კი ამას უკვე აქვს ადგილი, ამხანაგებო. დღეს ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მოვლენასთან, რასაც სრული უფლებით შეგვიძლია ვუწოდოთ მემარჯვენე საფრთხის ფრთა ლიტერატურაში. ამის შესახებ მე შემდგომ ვილაპარაკებ და ვეცდები დავამტკიცო კიდეც. (ადროვეი: კაპიტალიზმი გაიზარდა?); „კაპიტალიზმი კი არ გაიზარდა“, არამედ გაიზარდნენ კერძო კაპიტალისტური ელემენტები, გაიზარდნენ აბსოლუტურად, თავის შედარებით შემცირებასთან ერთად.

მომენტის ძირითადი ამოცანა

ამრიგად, ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ დღეს ძირითადი ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ვასწავლოთ ჩვენს პარტიას, ვასწავლოთ ჩვენს კომუნისტებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც ლიტერატურაში მუშაობს, ვასწავლოთ ის აზრი, რომ საჭიროა შევიარაღდეთ მოთმინებით და დავეხმაროთ თანამგზავრებს თავის წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გარდაქმნაში, რომ საჭიროა შევურიგდეთ გარდამავალ ფორმებს. ვფიქრობ, რომ ეს გაკვეთილი ჩვენ საკმაოდ შევითვისეთ, თუმცა ერთი წუთითაც არ შეგვიძლია შევასუსტოთ ჩვენი ბრძოლა კომ-ყოყოჩობასთან, რა სახითაც არ უნდა მოგვევლინოს იგი. ძირითად პოლიტიკურ ამოცანას ამჟამად უნდა წარმოადგენდეს შეურიგებელი ბრძოლა, ანტი-კომუნისტურ, ანტი-პროლეტარულ ელემენტებთან, რომელთა შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ დღეს ისინი ჩვენში მეტად უმნიშვნელონი იყვნენ.

აი ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც ადასტურებს იმას, რომ დღეს სხვა თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციას. ეს რევიზიონიზმი კი არა, არამედ ერთად-ერთი სწორი, ნამდვილად—ბოლშევიკური მიდგომაა პარტიის უმაღლესი ორგანოების რეზოლიუციებისა და დადგენილებებისადმი.

არის მეორე მოსაზრებაც, რომელიც ადასტურებს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სპეციალური რეზოლიუციის აუცილებელ საჭიროებას. ეს მოსაზრება ემყარება იმას, რომ მაშინ, 25 წელში, ცხადია, ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია ვერ გაითვალისწინებდა მთელ რიგ იმ საკითხებს, რომელთაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ამჟამად. ჩემი მოხსენების ბოლოში მე ვილაპარაკებ პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონიის შესახებ, იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონია, რადგანაც მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი, პარტიულ ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, უაღრესი მნიშვნელობის საკითხია, რადგანაც ჰეგემონიის ცნებას ამჟამად პრაქტიკული ინტერესი აქვს. ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციაში მხოლოდ ასეთი სიტყვებია პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონიის შესახებ: „პროლეტარული მწერლობის ჰეგემონია ჯერ არ არსებობს, პარტია უნდა დაეხმაროს ამ მწერლებს მოიპოვონ ისტორიული უფლება ჰეგემონიაზე“-ო. მაგრამ რა არის ჰეგემონია, რომელ სტადიაში იმყოფებოდა მაშინ და იმყოფება ამჟამად პროლეტარული ლიტერატურა თავის ბრძოლაში ჰეგემონიის მოსაპოვებლად? ამ კითხვაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია არ იძლევა პასუხს, ხოლო ჩვენ ეს საკითხი მჭიდროდ უნდა დავსვათ ჩვენს წინაშე და დღესვე უნდა გავსცეთ მასზე სრულიად გარკვეული პასუხი, რადგანაც ბრძოლა ჰეგემონიისათვის პრაქტიკად გადაექცა პროლეტარულ ლიტერატურას, რადგანაც ეს საკითხი, როგორც შემდეგ დაინახავთ, საკმაოდ დახლართულია.

პარტხელმძღვანელობის საზღვრები

მე ვფიქრობ, რომ ამჟამად, პარტიულ ხელმძღვანელობის და მისი ფორმების ფარგლებში, საჭირო არ არის კამათი იმის შესახებ—შეუძლია და მოვალეა თუ არა პარტია მხატვრულ ლიტერატურის დარგშიც გასწიოს ხელმძღვანელობა. მარტო ის გარემოება, რომ 25 წელში ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ზემოაღნიშნული რეზოლიუცია, ფრიად მნიშვნელოვანი და ბევრი რამის მომასწავებელი იყო, ვინაიდან, როგორც თქვენ ალბად გახსოვთ, ჩვენს პარტიაში მოიპოვებოდნენ მთელი რიგი გამოჩენილი და მარქსისტულად განათლებული კომუნისტები, რომელნიც საზოგადოდ უარჰყოფდნენ ლიტერატურულ საქმეებში პარტიული ჩარევის შესაძლებლობას. ეს ამხანაგები ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ ლიტერატურა, რა თქმა უნდა, კლასობრივია, რომ იგი, რა თქმა უნდა, გამოსახავს ჩვენს მატერიალურ ცხოვრებას და მის ძირითად პროცესებს, რომ მისთვის არ არის უცხო პოლიტიკა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი იმდენად სპეციფიურია, მისი განვითარება იმდენად სტიქიურია, რომ შეუძლებელია ლაპარაკი რაიმე პარტიულ ხელმძღვანელობის შესახებ.

დღეს ასეთი ხმები აღარ გაისმის ჩვენი პარტიის შიგნით, ძლიერ იშვიათად გაისმის ისინი ჩვენი პარტის გარეთაც. მაგალითად, იმ დისკუსიაში, რომელიც გადაიშალა „ზარია ვოსტოკა“-ს ფურცლებზე, რეაქციონული ნაწილის წარმომადგენელთა წერილებშიაც კი არ თქმულა არც ერთი სიტყვა პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ცხადია, ზოგიერთ მათგანისათვის სასურველი იქნებოდა, რომ პარტიული ხელმძღვანელობა არ არსებობდეს, მაგრამ მათ ეშინიათ ამის ხმამაღლა თქმა, რადგანაც ამჟამად ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენს წინაშე კლასობრივი მტრები სდგანან.

მართალია, ერთ-ერთ წერილში, რომელიც უნდა დაბეჭდილიყო „ზარია ვოსტოკა“-ში და რომელიც შემთხვევით არ იქნა დაბეჭდილი, გატარებულია ასეთი აზრი (მე არ წავიკითხავ ამ წერილს მთლიანად, თუმცა იგი ფრიად საინტერესოა, როგორც ქართული ინტელიგენციის განსაზღვრული ნაწილის განსაზღვრული განწყობილების მაჩვენებელი)! „განა ეს იმას ნიშნავს, რომ საჭირო არ არის არავითარი ხელმძღვანელობა? (ლიტერატურაზე) არა, **ხელმძღვანელობა აუცილებელია, მაგრამ საჭიროა, რომ იგი ხორციელდებოდეს, როგორც პოლიტიკური, ისე ყოველგვარ სხვა ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებელ საზოგადოებრივ კრიტიკის სახით**“. მე ვფიქრობ, ავტორმა აშკარად გამოთქვა ის, რაც გულში აქვს ჩამარხული მრავალ ქართველ, სომეხ, თურქ და რუს ლიტერატორს. ავტორმა გამოსახა ინტელიგენციის განსაზღვრული ნაწილის დამახასიათებელი აზრები და განწყობილება არა მარტო ლიტერატურის, არამედ მთელ საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართაც. მან გამოსახა ინტელიგენციის იმ ნაწილის განწყობილებანი, რომელსაც სწადია, რომ შესუსტდეს პარტიული ხელმძღვანელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რომ დაიწყოს მთელი საბჭოთა სახელმწიფოს, მთელი ჩვენი საზოგადოებრივობის, მათ შორის პირველ რიგში ჩვენი პარტიის იდეოლოგიური გარდაქმნის პროცესი. ასეთი ხმები ძლიერ იშვიათად გაისმის დღეს არა იმიტომ, რომ მცირერიცხოვანია სათანადო განწყობილებანი, არამედ იმიტომ, რომ მემარჯვენე საფრთხე, თავის აქტივიზაციასთან ერთად, ჩვენთან საბრძოლველად ეძებს გარეგნულად „ლოიალურ“ მეთოდებს.

როგორ არ უნდა გვესმოდეს ხელმძღვანელობა

მაგრამ, თუ ერთის მხრივ, არიან ისეთი პირები, რომლებიც აშკარად თუ ფარულად იბრძვიან იმისათვის, რომ პარტიამ ხელი აიღოს იდეოლოგიურ ბრძოლისათვის ხელმძღვანელობის გაწევაზე, მეორეს მხრივ, არიან ისეთებიც, რომლებიც ავულგარებენ პარტიის ხელმძღვანელობას, რომლებიც ცდილობენ აიძულონ პარტია იმდენად გააფართოვოს თავისი ხელმძღვანელობა, რომ პარტიის ჩარევა ლიტერატურაში უკვე უარყოფითი ხასიათის ფაქტორად გადაიქცევა. მაგალითისათვის მოვიყვან ამხ. დუდუჩავას წერილს „ზარია ვოსტოკა“-ში. ამხ. დუდუჩავა ამბობს შემდეგს: „საკუთარი ლიტერატურულ საშუალებების გარეშე პროლეტარული ლიტერატურა ვერ შესძლებს შექმნას ახალი სტილი და მოიპოვოს ისტორიული უფლება ჰეგემონიაზე. რეზოლიუციის პროექტში ეს მომენტი სრულებით არ არის მიღებული ანგარიშში და სრულებით არ არის გათვალისწინებული შემოქმედების **ფორმალური პრობლემები**. ეს დიდი ნაკლია...“

მეორე წერილში იგი შემდეგნაირად ანვითარებს თავის აზრს: „ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პროექტში, საჭირო იყო **ახალი სტილის კონკრეტული გზების დასახვა პოეზიისა და პროზისათვის**“.

როგორ ესმის ამხ. დუდუჩავას ახალი სტილის კონკრეტული გზები? აქ უკვე იწყება არა მარტო პოლიტიკური, არამედ ლიტერატურული აბდა-უბდაც. იგი სწერს: „ჩემს წერილში მე შევეცადე მეჩვენებია ეს გზები: მუსიკალური პრობლემა პოეზიაში, ე. ი. ბგერისა და აზრის მომენტების ორგანიული სინტეზი, და, პროზაში ფორმალური ლოღიკის მეთოდების უარყოფის ფონზე, ინტერესის თანდათანობით გაძლიერების პრინციპი, რომელიც თავს იჩენს სიუჟეტის მოხერხებულ განვითარებაში, სიუჟეტის მთავარი მომენტისა და დასასრულის აგების წესების თანახმად“.

მისთვის, ვინც სპეციალურად მუშაობს ლიტერატურის საკითხების დარგში, ნათელია, რომ ეს „მეცნიერული“ ფრაზები მოკლებულია ყოველგვარ აზრს. (მახარაძე: სხვებისთვის?). თუ ეს ნათელია იმ ამხანაგებისთვისაც, ვინც სპეციალურად არ მუშაობს ამ დარგში, მით უკეთესი, რადგანაც ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს პარტიაში მოიპოვება ისეთი ამხანაგებიც, რომლებიც სპეციალურად არ მუშაობენ ლიტერატურის საკითხების დარგში, მაგრამ მაინც იცნობენ მის ძირითად საკითხებს.

მაგრამ დავანებოთ თავი, ამხანაგებო, კომიკურ ელემენტს ამხ. დუდუჩავას წერილებში. მისი წერილები საინტერესოა უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ამხ. დუდუჩავა ცდილობს ფორმალური ხასიათის საკითხები შეიტანოს პარტიულ ორგანოს რეზოლიუციაში. იგი ცდილობს პარტიული დისციპლინის წესით გადაჭრას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს პროლეტარული ლიტერატურის სტილი, ან როგორი უნდა იყოს სიუჟეტის მთავარი მომენტი და დასასრული. ეს ნიშნავს პარტიული პოლიტიკის უმაღლესი ვულგარიზაციას. თავის აზრს ამხ. დუდუჩავა ასაბუთებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციით. მაგრამ რას ამბობს ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია ამ საკითხის შესახებ? იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პროლეტარული მწერლობისათვის აუცილებლად საჭიროა იმუშაონ სტილის პრობლემებზე. (შემდეგ მე ვილაპარაკებ იმის შესახებ, რომ სტილის პრობლემებზე მუშაობა ამჟამად ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს ჩვენი პროლეტარული მწერლობისათვის). მაგრამ, მეორეს მხრივ, ცენტრალური კომიტეტის ამავე რეზოლიუციაში ნათქვამია: „თავის ხელმძღვანელობის განხორციელებაში მთელ ლიტერატურაზე, პარტიას ისევე ნაკლებად შეუძლია მხარი დაუჭიროს ლიტერატურის ერთ რომელიმე ფრაქციას (თუ ამ ფრაქციების კლასიფიკაციას ავაგებთ ფორმაზე და სტილზე შეხედულებათა სხვადასხვაობაზე), როგორც არ შეუძლია მან რეზოლიუციებით გადაჭრას ოჯახის ფორმის საკითხები, თუმცა საერთოდ იგი უწევს და უნდა უწევდეს კიდეც ხელმძღვანელობას ახალი ყოფა-ცხოვრების მშენებლობას“.

როგორც ხედავთ, აქ სრულიად გარკვევით არის ნათქვამი, რომ პარტიულ პოლიტიკას ლიტერატურაში უნდა დაედოს გარკვეული და მკაფიო საზღვრები, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტი და მისი პოლიტბიურო ვერ შევლენ იმის განხილვაში, თუ რა სჯობია პროლეტარული ლიტერატურისათვის—რომანტიზმი თუ ნატურალიზმი, როგორ უნდა იყოს აგებული სიუჟეტის მთავარი მომენტი ამა თუ იმ დრამაში და დასასრული ამა თუ იმ რომანში. ეს არის ვულგარიზაცია პარტიის ჩარევისა იდეოლოგიურ ბრძოლაზე ხელმძღვანელობის საქმეში და თუ ჩვენ დავთანხმდებით ამაზე, ჩვენ დავსცემთ ჩვენი პოზიციების პრესტიჟს, ჩვენ გადავიქცევით ხელაღებულ სქემატიკოსებად, რომლებიც დახმარებას კი არ აღმოუჩენდნენ ლიტერატურას, არამედ შეაფერხებდნენ მის განვითარებას.

დღეს პროლეტარული ლიტერატურულ ორგანიზაციების წინაშე როგორც ძირითადი საკითხები, რომლებიც ძირითად სიძნელეებს წარმოადგენენ, სდგანან თეორეტიული ხასიათის საკითხები. ცხადია, თეორეტიულ-შემოქმედებითი ხასიათის საკითხები, უთუოდ ატარებენ პოლიტიკურ ელფერს. დღეს, მაგალითად, ჩვენი ბრძოლა ვორონსკისთან—პროლეტარული ლიტერატურის ძველ მტერთან, სულ უფრო და უფრო მეტად გადადის მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიის დარგში და სულ უფრო და უფრო ნაკლებად ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. ეს ხდება არა იმიტომ, რომ პროლეტარულ-ლიტერატურული ორგანიზაციის მახვილი დაჩლუნგდა პოლიტიკურ ბრძოლაში, არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკური ბრძოლა ლიტერატურაში სულ უფრო და უფრო იქცევა სპეციფიურ ლიტერატურულ ბრძოლად. სხვა სიტყვით „სპეციფიური“ ლიტერატურული საკითხები სულ უფრო და უფრო პოლიტიკურ საკითხებად იქცევიან. მაგრამ თუ ის ხალხი, რომელიც სპეციალურად არის დაყენებული ლიტერატურულ მუშაობაზე და რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ეწევა ამ მუშაობას, ყოველ ღონეს ხმარობს სძლიოს მრავალი აუცილებელი შეცდომა და გადასჭრას სტილის საკითხები, მხატვრული შემოქმედების სტილის საკითხები,—განა შეუძლია პარტიას დღეს, პარტიული რეზოლიუციის ან პარტიული დირექტივის წესით გასცეს დირექტივა შემოქმედებითი და ფორმალური ხასიათის ყველა საკითხში? რა თქმა უნდა არა, ამხანაგებო.

პარტიული ხელმძღვანელობის ფორმები

გადავდივარ იმაზე, თუ რას შეიძლება ვუწოდოთ პარტიული ხელმძღვანელობის ფორმები. რა ხერხი და რა შესაძლებლობა მოეპოვება ჩვენს პარტიას იმისათვის, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს ლიტერატურას? მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ძირითად შესაძლებლობებს წარმოადგენენ ის შესაძლებლობანი, რომლებიც მოეპოვება ჩვენს პარტიას ინტელიგენციის შორის მუშაობაში, ერთის მხრივ, და მშრომელთა ფართო მასებს შორის მუშაობაში, მეორეს მხრივ.

ლიტერატურა არ არის მარტოოდენ მწერალი, იგი ამდენადვე მკითხველიცაა და, თუ ეს მართალია, მაშინ თავისი გავლენა ლიტერატურაზე ჩვენმა პარტიამ უნდა განახორციელოს არა მარტო მწერალზე, არამედ აგრეთვე მკითხველზე მუშაობის შემწეობითაც, ვინაიდან მკითხველი ლიტერატურაში ისეთი ფაქტორია, რომელიც დიდად უწყობს ხელს მწერლის ჩამოყალიბებას, თვით ლიტერატურის ჩამოყალიბებას. ამ წინასწარი პირობებით განისაზღვრებიან ის კონკრეტული შესაძლებლობანიც, რომლებიც არსებობენ მხატვრულ ლიტერატურაზე ხელმძღვანელობის დარგში.

პირველ რიგში ამ შესაძლებლობას წარმოადგენს კრიტიკა, შემდეგ ხელმძღვანელობა მწერალთა და მათთან ახლო მდგომ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე. შემდეგ—ჩვენი ჟურნალ-გაზეთების პერიოდული პრესის მუშაობა, გამომცემლობებისა და მთავლიტების მუშაობა, და, ბოლოს, უდიდესი მუშაობა მკითხველთან, პოლიტ-საგანმანათლებლო ქსელის მეშვეობით, პირველ რიგში, ბიბლიოთეკებისა და თვით იმავ პერიოდული პრესის მეშვეობით.

როგორ უნდა ხდებოდეს პარტხელმძღვანელობის შეფასება

როგორია საერთო შეფასება იმ ხელმძღვანელობისა, რომელიც ტარდება ამჟამად? როგორ უნდა იქნეს შეფასებული ჩვენი ხელმძღვანელობა მხატვრულ ლიტერატურაზე? საოლქო კომიტეტის რეზოლიუციის პროექტი თავის პირველსავე პუნქტის მეორე აბზაცში შემდეგნაირად ახასიათებს პარტიულ ხელმძღვანელობას (მე ვფიქრობ, რომ ეს დახასიათება უთუოდ სწორია და, თუ შესაძლებელია ამ პუნქტის რედაქციის შეცვლა, მხოლოდ მდგომარეობის გაუარესების მიმართულებით):

„ხელმძღვანელობა პროლეტარულ მწერლების ორგანიზაციებზე ჯერ კიდევ არ არის ყოველთვის მოყვანილი სისტემაში და ხანდისხან განისაზღვრება ზოგად, ზერელე დირექტივებით, ან, პირიქით, გადადის წვრილმან მეურვეობაში, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს ამ ორგანიზაციებში მომუშავე პარტიის წევრთა ინიციატივა. ხელმძღვანელობა თანამგზავრ ლიტერატურულ ჯგუფებზე ყოველთვის როდი ხორციელდება სათანადო აქტივობით, არ იყენებენ ყველა იმ შესაძლებლობას, რომელიც პარტიას მოეპოვება. არ აწარმოებენ საკმაოდ მკაფიო და გადამწყვეტ ბრძოლას მტრულ იდეოლოგიის წინააღმდეგ“ (ყარაევი: ეს პუნქტი ძირიან-ფესვიანად უნდა შეიცვალოს). მე შემიძლია მოგიყვანოთ ბევრი მაგალითი, რომლებიც დაგიმტკიცებენ თქვენ, რომ ეს ნამდვილად ასეა. შორს წასვლა არ დაგვჭირდება მაგალითისათვის. ამხ. ყარაევი წინააღმდეგია ასეთი შეფასების, მაშ მაგალითისათვის მოვიყვან თვით ამხ. ყარაევს. აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ უკანასკნელ პლენუმზე ამხ. ყარაევმა გააკეთა მოხსენება იდეოლოგიური ბრძოლის საკითხების შესახებ. ეს იყო მოხსენება, რომელშიაც ამხ. ყარაევი არა მარტო უნდა შეხებოდა მხატვრულ ლიტერატურას, არამედ უნდა მოეცა აგრეთვე ძირითადი მკაფიო დირექტივა ამ ხაზით. მე გულდასმით წავიკითხე ამხ. ყარაევის მოხსენება და უნდა აღვნიშნო, რომ იმ ადგილმა მოხსენებისა, სადაც ლაპარაკი იყო ლიტერატურის შესახებ, მე სრულებით ვერ დამაკმაყოფილა. რითი აიხსნება ეს გარემოება? ეს აიხსნება იმით, რომ აზერბეიჯანის ცენტრალური კომიტეტის პარტიული აპარატის ის ნაწილი, რომელსაც უნდა მიეცა ამხ. ყარაევისათვის სათანადო მასალა, როგორც სჩანს, სუსტად მუშაობდა ლიტერატურის დარგში.

მე მშვენივრად მესმის, რომ ამხ. ყარაევი პერსონალურად არ არის დამნაშავე იმაში, რომ ის ნაწილი მოხსენებისა, რომელიც ლიტერატურას შეეხებოდა, სუსტი გამოვიდა (არ შეიძლება მდივანმა ყოველივე იცოდეს) და ეს „სირცხვილი კი არა, უბედურებაა“, მაგრამ ეს საქმეს როდი შველის. (სიცილი, ადგილიდან: ძალიან არ აგვიხსენი).

ყოველ შემთხვევაში ეს მაგალითი იმას ადასტურებს, რომ ლიტერატურაზე პარტიულ ხელმძღვანელობის დარგში მდგომარეობა სწორედ ისეთია, როგორცაა იგი დასურათებული რეზოლიუციის პროექტში და შეიძლება უარესიც იყოს.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ეხლა მოკლედ შევეხები იმას, თუ რა მოგვეპოვება ჩვენ პარტხელმძღვანელობის მხრივ პარტხელმძღვანელობის ზემოდ ჩამოთვლილ ფორმებსა და დარგებში. უწინარეს ყოვლისა, რამდენიმე სიტყვა კრიტიკის მდგომარეობის შესახებ. იმ ამხანაგებმა, რომლებსაც აინტერესებს ეს საკითხი, ალბათ წაიკითხეს სპეციალური რეზოლიუცია კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის საკითხებზე, მიღებული ამიერ-კავკასიის რედაქტორების თათბირზე და დამტკიცებული პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ. ამ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ კრიტიკა ჩვენში უაღრესად სუსტად არის დაყენებული, რომ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება მტრული, შემომპარველი კრიტიკა... ჩვენში ბევრია უბრალო ხალტურა, ხშირია ვულგარული და უხეირო შეგუება მარქსიზმთან. აღნიშნული იყო რეზოლიუციაში აგრეთვე ისიც, რომ ჩვენს ფრიად მცირერიცხოვან, ზერელე კრიტიკას მრავალი დეფექტი აქვს. მის ძირითად ნაკლს, ზერელობის გარდა, წარმოადგენს მისი თავისებური „პარაზიტობა“—კრიტიკა არ უძღვება ლიტერატურას, იგი ჩანჩალით მისდევს მას, პარაზიტულად „საზრდოობს“, ე. ი. აღმოცენებული ამა თუ იმ მწერლის ლიტერატურული ნაწარმოების ნიადაგზე, იგი არ ცდილობს ამ მწერლის წინ წაწევას, არ უბრუნებს მას მასაზრდოებელ წვენს.

პარტმუშაკები ლიტერატურის დარგში

მე ვფიქრობ, რომ ეხლავე უნდა გამოვიტანოთ აქედან სათანადო დასკვნა. ეს დასკვნა შემდეგი უნდა იყოს: **ლიტერატურულ მუშაობაში პარტიამ უნდა ჩააბას უაღრესად კვალიფიციური მარქსისტები, მაგრამ ისეთები, რომლებსაც სურთ ამ მუშაობაზე წასვლა და რომლებსაც შეუძლიათ ამ დარგში მუშაობა.** სამწუხაროდ ჩვენში კომუნისტები ხშირად ერიდებიან ლიტერატურულ მუშაობას, რადგანაც მას „წვრილმან საქმედ“ სთვლიან. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ლიტერატურულ მუშაობაზე ვაგზავნით ისეთ კომუნისტებს, რომლებიც ხელს უშლიან ლიტერატურულ ორგანიზაციების მუშაობას. ჩემი სიტყვების დასადასტურებლად, მოვიყვან მაგალითებს:

მაგალითი პირველი: საქართველოს ცეკაში მუშაობდა ამხ. მუშიშვილი. ის იყო ბეჭდვითი განყოფილების გამგე. ამ მუშაობის წარმოება მე მიხდებოდა საოლქო კომიტეტში, და ვხედავდი მუშაობის ორ ხაზს: ერთის—ცეკას მდივნის ამხ. კახიანისა, და მეორეს—ბეჭდვითი განყოფილების გამგის ამხ. მუშიშვილისა.

მე უფრო განსაცვიფრებელ მაგალითს მოვიყვან, თუმცა, მართალია, ოდნავ ძველს. აზერბეიჯანის ცეკაში ბეჭდვითი განყოფილების გამგეთ იყო ხანბუდაგოვი. როდესაც საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკასაგან მან შეკითხვა მიიღო იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ლიტერატურული ორგანიზაციების საქმე აზერბეიჯანში, ის ჩიხში მოექცა, რადგანაც ამ მუშაობის არაფერი გაეგებოდა. მან გამოიწვია ერთი ამხანაგი, რომელიც ლიტერატურულ ორგანიზაციაში მუშაობს, და ასეთი კითხვა მისცა: „მითხარით, „ნა პოსტუ“-ელები და ვორონსკი ერთი და იგივეა?“

მე მეორე მაგალითს მოვიყვან, მართალია, მოსკოვისას. ამას წინეთ ლიტერატურულ ორგანიზაციაში ჩვენ გამოგვიგზავნეს ერთი ამხანაგი. ეს თავის დარგში არაა ცუდი მომუშავე, ყოფილი მუშაა, ძველი ბოლშევიკია და სხვ., მაგრამ ლიტერატურის დარგში ვერ გამოდგება, რადგან ლიტერატურის ელემენტარული საკითხები არ გაეგება. ამას წინეთ ფედერაციის ფრაქციის სხდომაზე მან სიტყვა-სიტყვით ასეთი საკითხი დასვა: „მითხარით, გეთაყვათ, კონსტრუქტივისტები და „ლეფ“-ოველები ერთი და იგივეა თუ არა?“ ასეთ კითხვას იძლევა ფედერაციის ერთ-ერთი მდივანი. ვთქვათ, რომ ის ლიტერატურაში ჯერ კიდევ სუსტია, ჯერ კიდევ „ვერ გარკვეულა“, მაგრამ ხომ უნდა აინტერესებდეს მას ეს ლიტერატურა? მას კი ეს ლიტერატურა არ აინტერესებს, რადგანაც მას რომ ფედერაციაში შემავალი ორგანიზაციების მხოლოდ სია გადაეთვალიერებინა, დარწმუნდებოდა, რომ „ლეფ“-ის წარმომადგენლები და კონსტრუქტივისტები ფედერაციაში შედიან, როგორც ორი ორგანიზაცია.

მე შემეძლო მომეყვანა ბევრი სხვა იმის მაჩვენებელი მაგალითი, რომ ჩვენი კომუნისტები, რომლებსაც პარტია მხატვრული ლიტერატურის დარგში სამუშაოდ აგზავნის, ხშირად ისეთ უმწეო მდგომარეობაში გრძნობენ თავს, რომ ბოლოს და ბოლოს ისინი კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ თვითონ მათ უწევენ ხელმძღვანელობას, ისინი კი არ იბრძვიან მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ ლიტერატურაში, არამედ თვით ეს მემარჯვენე საფრთხე ორივე ბეჭით მიწაზე ანარცხებს მათ.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში არც მუშაობა მწერალთა ორგანიზაციებში, არც სხვა მუშაობის დარგი მხატვრულ ლიტერატურაში არ შეიძლება ისე იქნას დაყენებული, როგორც ეს საჭიროა. აიღეთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, აიღეთ გამომცემლობანი—განა ისინი რაიმე **აღმზრდელობითი** მუშაობას აწარმოებენ?

ჩვენმა რედაქციებმა ისწავლეს, თუმცა არა საკმარისად, მავნე ნაწარმოებთა გარჩევა კარგებისაგან. მაგრამ ეს ხომ არ კმარა. არ კმარა მწერალს რომ ვუთხრათ: ეს ცუდი ნაწარმოებია, ეს კი კარგიო. უნდა ისეთი პირობები შეიქმნას რედაქციის შიგნით და გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებისა და სახელმწიფო გამომცემლობათა გარშემო, რომელიც აღმზრდელობითს გავლენას მოახდენს მწერალზე, ორგანიულად ჩაუნერგავს მას იმ აზრს, თუ რატომ არის ერთი ნაწარმოები კარგი, მეორე ცუდი, წაახალისებს გამოსცეს კარგი ნაწარმოებები, გააღვივებს მასში შემოქმედებითს აზროვნებას, ორგანიული და არა მექანიკური დაბრკოლება შეიქნება იმისათვის, რომ მან არ იმუშაოს მავნე და უსარგებლო ნაწარმოებებზე. რომელ აღზრდაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც თვით ჩვენი მუშაკი—კომუნისტები „არ არიან აღზრდილნი“. ეს ხომ სამარცხვინო ამბავია, როდესაც კომუნისტი სახელმწიფო გამომცემლობის მუშაკი ისეთ „რომანებს“ სწერს, რომელიც შემდეგ ჩვენ იძულებული ვართ ავკრძალოთ.

მთავლიტის როლი

მე გაკვრით მოვიხსენიე მთავლიტი, რომელიც პარტიული აპარატის მეტის-მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უნდა იყოს. მაგრამ რას წარმოადგენს იგი ამჟამად, როგორც თავისი მუშაკთა შემადგენლობის მხრივ, ისე იმ ადგილის მხრივ, რომელიც მას განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში უჭირავს? საცოდავი დაწყებულებაა. უნდა პირდაპირ ითქვას (ბოდიშს ვიხდი აქ დამსწრე ამხ. ქურიძის წინაშე, დამსწრეებზე არაა მიღებული ლაპარაკი), რომ მთავლიტში, ჩვეულებრივ, ისეთებს გზავნიან, რომელნიც მეტ ბარგს წარმოადგენენ. აი, მაგალითად, აზერბეიჯანი (ხმები: მართალია!). როდესაც თქვენ თვითონ უნდობლობით ეპყრობით მთავლიტის გამგეს, ის საქმისათვის გამოუდეგარ ადამიანად მიგაჩნიათ და მაინც ანდობთ მას ამ საქმეს, ამ შემთხვევაში შედეგი ერთია: ამხ. კარავაევს უხდება ბაქოს კონფერენციაზე გამოსვლა და აზერბეიჯანის სახელმწიფო გამომცემლობის გაკიცხვა მთელ რიგ დაუშვებელი გამოცემებისათვის. რასაკვირველია, ცუდია, როდესაც სახელმწიფო გამომცემლობის სამუშაო მთავლიტში უნდა გასწორდეს მაგრამ უფრო უარესია, [illegible] ამ სამუშაოს აქაც არ ასწორებენ [illegible] მარტო აზერბეიჯანში არ ხდება). [illegible]ძლია მხოლოდ თანაგიგრძნოთ.

ძველად მეფის ცენზურას ჩვენ მეტად მტრულად ვუყურებდით, ვამბობდით, რომ ეს ცენზურა არა მარტო საზიზღარია, არამედ სულელურიცაა. მომიტევეთ ამ სიტყვისათვის, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ დახასიათების მეორე ნახევარი ჩვენ შეგვიძლია მივაკუთვნოთ თვით ჩვენს საკუთარს ცენზურას. (ხმები: მართალია) ძველად ცენზურის სისულელეს ხანდისხან კარგი ნაყოფი მოჰქონდა: იმით რევოლიუციონერები სარგებლობდნენ. ჩვენს დროში კი სისულელეს მხოლოდ ვნება მოაქვს, რადგანაც იმით მხოლოდ ჩვენი მტრები სარგებლობენ.

აქედან ჩვენ მხოლოდ ერთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: მთავლიტები ნამდვილი „ხანაპირო მცველები“ გახდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი იდეოლოგიური, გონებრივი რესურსები უფრო მაღალ საფეხურამდე აიწევს. თუ ამხ. კარავაევსა და ცეკას სხვა მდივნებს არ ესიამოვნებათ ჩვენი გამომცემლობათა მხილება, ისინი პირველ რიგში უნდა შეეცადონ მთავლიტის ნამდვილი მუშაკებით განმტკიცებას, უნდა ამ გზით დააყენონ მთავლიტი მათ ნამდვილ, მნიშვნელოვან ადგილას.

ლიტერატურის ძირითადი პროცესები

რა ახასიათებს ამჟამად ლიტერატურას, რა ძირითადი პროცესები შეგვიძლია ჩვენ შევამჩნიოთ ამჟამად ამიერ-კავკასიის ლიტერატურაში, რა ძირითადი ამოცანები უნდა იქნას პირველ რიგში დასმული? იმ დროის განმავლობაში, რაც ჩვენ გვაშორებს ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი წლებიდან, ჩვენ, უპირველესად ყოვლისა, ვამჩნევთ ამიერ-კავკასიის მთელი რიგი უდიდესი მწერლების თანდათანი ჩაკვდომის, თანდათანი მოსპობის უდავო პროცესს. ჩვენ ვხედავთ მთელ რიგ მწერლებს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლობენ ფიზიკურად, მაგრამ ლიტერატურაში უკვე მომკვდარან. ეს, უმთავრესად, ძველი დროის ლიბერალურ-ბურჟუაზიული მწერლებია. მაგალითისათვის მე მხოლოდ რამდენიმე სახელს ჩამოვთვლი. ასეთებია სომხეთში—შირვან-ზადე, საქართველოში—კლდიაშვილი. აზერბეიჯანში ჩვენ შეგვიძლია შევჩერდეთ ისეთს პიროვნებაზე, როგორიცაა მამედ-კული ზადე (ყარაევი: ჰუსეინ ჯავიდი და ჯავადი). ჰუსეინ ჯავიდი და ჯავადი მე ლიტერატურაში აქტიურად მომქმედ პიროვნებებად მიმაჩნია. (ადგილებიდან: მამედ-კული ზადე არასოდეს არ ყოფილა მწერალი, ის ჟურნალისტია). არა, ის მარტო ჟურნალისტი არაა, მან დასწერა ისეთი მშვენიერი ნაწარმოები, როგორიცაა „მიცვალებულნი“, (ხმა: ეს მისი ერთად-ერთი ნაწარმოებია).

კარგი, თუ თქვენ ეს სახელები არ გაკმაყოფილებთ, მაშინ მე სხვას დაგისახელებთ—აბვერდოვს (ხმა: ის არასოდეს არ ყოფილა კარგი მწერალი). მაშინ შეიძლება თქვენ დაასახელოთ სხვა „კარგი“ მწერალი? რაც შეეხება ჰუსეინ ჯავიდსა და ჯავადს, მე მათ არ ვსთვლი მკვდარ მწერლებად, მე მათ ვსთვლი ისეთ მწერლებად, რომელნიც აქტიურად მუშაობენ თანამედროვე ლიტერატურაში. არ შეიძლება ჯავადი მკვდარ მწერლად ჩავთვალოთ მხოლოდ იმიტომ, რომ მოკლებულია საშუალებას თავისი ნაწარმოებები ბეჭდოს. ის სცოცხლობს იმიტომ, რომ მასში არის დიდი პოტენციალური შესაძლებლობანი, და თუ მთავლიტმა ძილს მისცა თავი, რაც მას ხშირად ემართება, მაშინ ჯავადი და სხვა ჯავადები დაუყოვნებლივ გაჩნდებიან ლიტერატურულ ჰორიზონტზე. გააკეთებენ, როგორც მავრი, თავის საქმეს, და შემდეგ ისევ წავლენ. ამასთან დაკავშირებით მე მინდა აღვნიშნო ლიტერატურის მეორე უმნიშვნელოვანესი პროცესი—აქტივიზაცია ანტი-პროლეტარული, ანტი-კომუნისტური ძალებისა.

მესამე პროცესია გაძლიერებული დიფერენციაცია თანამგზავრებისა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ლიტერატურის რეაქციონური ფრთისკენ იხრება.

ბოლოს, მეოთხე პროცესია პროლეტარული ლიტერატურის ზრდა და შექმნა და განმტკიცება პროლეტარული ლიტერატურის შიგნით ეროვნებათა შორის კავშირისა.

მემარჯვენე საფრთხე

მართალია თუ არა, რომ ჩვენში ადგილი აქვს მემარჯვენე საფრთხის ზრდას ლიტერატურაში? ფაქტების მთელი რიგი ამტკიცებს, რომ ეს მართალია. უნდა აღინიშნოს, რომ ამას ადგილი აქვს არა მარტო ამიერ-კავკასიაში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში.

სრულიად გასაგებია, რომ ჩვენს პირობებში, ჩვეულებრივ, მემარჯვენე საფრთხე აშკარად ვერ იჩენს თავს. ამიტომ ის მჟღავნდება, უმთავრესად, შეგუების საშუალებით, თავის დასაცველი ნიღაბის აფარებით. მაგალითისათვის მე მოვიყვან „ცისფერი ყანწელები“-ს, ქართველი სიმბოლისტების ჯგუფს, ერთ-ერთმა ცისფერმა ყანწელმა—არსენიშვილმა პარტიის საოლქო კომიტეტის რეზოლიუციის პროექტის შესახებ დასწერა წერილი. წერილი, როგორც სჩანს, გამოხატავს არა მარტო მის პირად თვალსაზრისს, არამედ მთელი ჯგუფის თვალსაზრისს. ამ წერილში არსენიშვილი „რევოლიუციონური“ ფრაზით სცდილობს შემოგვაპაროს უდავო რეაქციონური დებულებები და ტენდენციები.

რას წარმოადგენს „ცისფერი ყანწები“?

მე ვფიქრობ, რომ მარქსისტებ შორის არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს. ქართული სიმბოლიზმი იყო შედეგი თავად-აზნაურული წვრილ-მესაკუთრეობრივი კულტურის დეკადანსისა. რასაკვირველია, „ცისფერი ყანწელების“ ბევრი ნიშანი გაუგებარი და სოციოლოგიურად აუხსნელ-განუმარტავი იქნება, თუ ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ისტორიულ პირობებს, რომლებშიაც მიმდინარეობდა ამ ლიტერატურული ჯგუფის მოღვაწეობა. საქართველო დაჩაგრული იყო. ამ გარემოებამ თავისი ბეჭედი დაასვა მათ. უკვე „ცისფერი ყანწელების“ გამოსვლის დროს საქართველო უეჭველი კაპიტალისტური განვითარების გზაზე იდგა, ე. ი. თავად-აზნაურობის დეკადანსი არ იყო საქართველოს დეკადანსი. ეს გარემოებაც ძლიერ გავლენას ახდენდა ქართულ სიმბოლიზმზე, უღვიძებდა მას ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან შეკავშირების სურვილს.

„ცისფერ ყანწელებს“ რომ სხვა პირობებში ეცხოვრათ და განვითარებულიყვნენ, მათი ბედიც სხვაგვარი იქნებოდა. მაგრამ ეს საკითხი ამჟამად მე არ მაინტერესებს და მე მასზე არ შევჩერდები.

რა ახასიათებდა „ცისფერ ყანწელებს“? უპირველესად ყოვლისა, „წმინდა“ პოეზიის კულტი. ისინი იბრძოდნენ „მოქალაქობრივი შარმანკის“ წინააღმდეგ, ე. ი. წინააღმდეგ ქართული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებისა. შემდეგ მათ ახასიათებს ეროტიზმი, ეროსის თაყვანისცემა, ერთის მხრით, და ბახუსისა, მეორეს მხრით. მესამე ნიშანი იყო ნაციონალიზმი.

მართალია, ამ ჯგუფმა დღეს ძლიერ იცვალა თავისი სახე. დღეს ის სრულიად არ არის ერთნაირი შემადგენლობისა. მასში არიან მწერლები, რომელთაც სურთ ჩვენთან დაახლოვება. მაგრამ ეს გარემოება არ ამართლებს არსენიშვილს, რადგანაც ჩვენთან დაახლოვება შესაძლებელია მხოლოდ წარსულთან გაბედულად კავშირის გაწყვეტის გზით, გადაჭრით თავის-თავის დაძლევის გზით.

არსენიშვილი კი იქცევა პირიქით. ის სცდილობს დაგვიახლოვდეს ჩვენ წარსულის გამართლების გზით, სცდილობს ეს წარსული მოგვაჩვენოს როგორც დამსახურება. სცდილობს მოვიდეს ჩვენთან თავისი უკიდურესად რეაქციონური ტვირთით. სწორედ ესაა მემარჯვენე საფრთხე. სწორედ ესაა საქმე, რომელშიაც ჩვენთვის უშუალო საფრთხე იმალება.

„ცისფერყანწელები“ და თანამგზავრობა

მე არ მოვიყვან ციტატებს. თუ თქვენ გაინტერესებთ, წაიკითხეთ პოლემიკა „ზარია ვოსტოკა“-ში. მე შევჩერდები მისი გამოსვლის არსებითი მხარეზე. პირველი, რასაც ამტკიცებდა არსენიშვილი, ესაა ის, რომ „ცისფერი ყანწები“-ს თანამგზავრობა **უდავოა**. ყოველნაირი ეჭვები—„პარტიის რევიზიაა“ (ლენინიზმისა ხომ არა?), დეზორიენტაციაა. საოცარი რაღაცა გამოდის. არსენიშვილი იცავს პარტიას... კომუნისტებისაგან, რომელთაც (ო, საშინელებავ)! ეჭვი შეეპარათ „ცისფერი ყანწები“-ს თანამგზავრობაში.

მაგრამ არსენიშვილისათვის ცოტაა იმის მტკიცება, რომ „ცისფერი ყანწელები“ თანამგზავრებია დღეს. ის სცდილობს დაამტკიცოს, რომ ისინი **ყოველთვის** იყვნენ რევოლიუციის თანამგზავრნი. თურმე ბრძოლა „სამოქალაქო შარმანკის“ წინააღმდეგ ყოფილა ბრძოლა პუბლიცისტიკის წინააღმდეგ მხატვრულ ლიტერატურაში. თურმე ჰიპერტროფიული სექსუალიზმი ყოფილა მეშჩანობისა და წვრილ-ბურჟუაზიული გარემოცვის საწინააღმდეგო საშუალება. ესეც ნამდვილი ახალი ამბავი! თურმე პორნოგრაფია და ეროტიკა რევოლიუციონერობა ყოფილა. მაშინ გაუგებრად გვეჩვენება ის უდავო ფაქტი, რომ ჩვენს დროში ძირითადი მასა, რომელიც პორნოგრაფიულ და ეროტიულ ნაწარმოებთ ეწაფება, სწორედ მეშჩანობაა, ხოლო ძირითადი მიმწოდებელი—მეშჩანური მწერალი.

ჩვენ თავად-აზნაურები არა ვართ, ამბობს არსენიშვილი, რადგან ჩვენ ჩვენს თავს ვუპირდაპირებთ „უსაძღის“ ლიტერატურას, აკაკი წერეთელსო. საქმეც იმაშია, რომ ისინი თავის-თავს უპირდაპირებდნენ არა თავად-აზნაურობას, საერთოდ, არამედ თავად-აზნაურობისა და მისი ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს.

(დასასრული იქნება)

საბჭოთა მომავალი არჩევნები

სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის მიმართვა

სრ. საქ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის წევრებსა და კანდიდატებს!

ძვირფასო ამხანაგებო!

როგორც თქვენ უკვე იცით,— ამა წლის დეკემბრის 1-დან ადგილებზე იწყება მოსამზადებელი მუშაობა საბჭოების წინასწარი საანგარიშო და საარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის.

საბჭოების არჩევნები არის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ხასიათის მქონე კამპანია; ამ დროს ამომრჩეველთა ფართო მასა,—მუშები და გლეხები, ყოველმხრივ გასინჯავენ და შეამოწმებენ ყველა საკითხს, რომელიც დაკავშირებულია სოციალისტურ მშენებლობასთან.

ამასთან ერთად აღნიშნული კამპანიის წარმატებით ჩატარებამ უნდა უზრუნველყოს საბჭოებში მუშებისა, უღარიბეს გლეხებისა და ბოჯამაგირეების ხელმძღვანელობითი როლი საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირის განმტკიცებით.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ საქმეში უდიდეს მნიშვნელობას იქონიებს ზემდგომი საარჩევნო კომისიების და აღმასკომების მხრივ ქვემდგომ საარჩევნო კომისიებისათვის სწორი ხელმძღვანელობის გაწევის სათანადო განხორციელება. გარდა ამისა, როგორც მოსამზადებელი მუშაობის, აგრეთვე წინასწარ—საანგარიშო და არჩევნების კამპანიის ჩატარებაში ჩაბმული უნდა იქნეს ქალაქისა და სოფლის საბჭოთა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ყველა ორგანიზაციები.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თხოვს მის ყველა წევრებსა და კანდიდატებს, აღნიშნულ კამპანიის ჩატარებაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა, განსაკუთრებით კი ყურადღებით მოეპყრან როგორც მთავრობის მოქმედების, აგრეთვე საბჭოებისა და დეპუტატების საქმიანობის შესახებ ამომრჩეველთათვის ანგარიშის ჩაბარების კამპანიას.

სრულიად საქართველოს ცაკის წევრებმა და კანდიდატებმა ადგილებზე თავის მოქმედებისათვის უნდა იხელმძღვანელონ ს. ს. ცაკ-ის პრეზიდიუმის დირექტივებით (იხ. ს. ს. ცაკ-ის მოწოდება გაზ. „კომუნისტი“-ს 23 ოქტომბ.-სა და „ზარია ვოსტოკა“-ს 24 ოქტ.-ს №№-ში), საარჩევნო ინსტრუქციით და აგრეთვე ცაკ-ისა და ს. ს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დირექტივებით, რომლებიც გამოქვეყნებული იქნება პრესაში.

ს. ს. ცაკ-ის წევრებმა და კანდიდატებმა თავიანთი საქმიანობა უნდა შეუთანხმონ ადგილობრივ საბჭოებსა და აღმასკომებს და ამავე დროს უნდა აცნობონ ხოლმე ს. ს. ცაკ-ის პრეზიდიუმს კამპანიის მიმდინარეობაში მათ მიერ შემჩნეულ ყველა ნაკლულოვანებათა შესახებ.

სრ. საქ. ცენტ. აღმასრულებელ. კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტ. მდივანი **ი. ვარძიელი.**

თათბირი ა.-კ. ცაკში

კამათი ამხ. მელნიკოვის მოხსენების გარშემო

ამხ. მელნიკოვის მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ დელეგატებს დავალებები (ნაკაზი) უნდა მიეცეს ადგილობრივი საჭიროებების მიხედვით, რაც ამომრჩევლებს დააინტერესებს თვალყური ადევნონ საბჭოს წევრების საქმიანობას და უფრო დაახლოებს მათ საბჭოების მუშაობასთან.

საანგარიშო კამპანიაში საერთო ხასიათის მოხსენებები უნდა გააკეთონ საბჭოების დელეგატებმა, რომლებსაც იცნობენ ადგილობრივი ამომრჩევლები, ხოლო ცალკე საკითხების შესახებ მოხსენებები უნდა დაევალოს პასუხისმგებელ ამხანაგებს.

ორატორები საჭიროთ სცნობენ, რომ საარჩევნო რაიონები გამრავლებული იქნეს იმ ვარაუდით, რომ თვითეულ უბანში არჩეული იქნეს არა უმეტეს 2—3 კაცისა. აღნიშნავენ აგრეთვე, რომ თემსაბჭოს სარევიზიო კომისიები ხშირად გამოდიან თავისი კომპეტენციის ფარგლებიდან და იჭრებიან საბჭოების საქმიანობაში, რაც უნდა ჩაითვალოს არანორმალურ მოვლენად.

ორატორები აღნიშნავენ, რომ საანგარიშო და საარჩევნო კამპანიის მსვლელობის შესახებ ინფორმაციის საქმე ვერ არის სწორად დაყენებული, და ზემდგომმა ორგანიზაციამ ხშირად არ იცის, თუ რა გააკეთეს ქვემდგომმა ორგანიზაციებმა.

ორატორების აზრით მომავალ საარჩევნო კამპანიაში მაქსიმალურად უნდა იქნენ გამოყენებული შვებული წითელ არმიელები და წითელი მეთაურები, რომლებმაც უნდა შეცვალონ სოფლის ორგანიზაციებში შეპარული არა საბჭოთა ელემენტები. კომკავშირი დეტალურად უნდა გაეცნოს საარჩევნო ინსტრუქციებს და არჩევნებში მიიღოს უფრო აქტიური მონაწილეობა, ვიდრე წინა წლებში.

ამხ. მელნიკოვის საბოლოო სიტყვა

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. **მელნიკოვი**, რომელმაც აღნიშნა, რომ მომავალ არჩევნებში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის შეუკავშირებელ მშრომელი მოსახლეობის აღრიცხვას და შეკავშირებას, ვინაიდან მოსახლეობის ეს ნაწილი ამ მხრივ აქამდე უყურადღებოდ იყო დატოვებული.

ამხ. მელნიკოვი აღნიშნავს, რომ კამპანიის ვადები საკავშირო და ა.-კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების მიერ დანიშნულია სავარაუდოდ, ხოლო რესპუბლიკებს უფლება აქვს ადგილობრივ განსაზღვრონ კამპანიის ვადები.

დასასრულ ამხ. მელნიკოვი ამბობს, რომ მომავალ საანგარიშო კამპანიისათვის ყოველი საბჭოს მუშაკი ვალდებულია წინასწარ გაითვალისწინოს, თუ რა ანგარიში უნდა წარუდგინოს ამომრჩევლებს, ასწონ-დასწონოს ჩვენი უკანასკნელი წლების მუშაობა-მიღწევები და ყოველივე ეს მომენტი ნათლად განუმარტოს ამომრჩევლებს.

თათბირის დახურვა

ამხ. მელნიკოვის საბოლოო სიტყვების შემდეგ განხილული იქნა საარჩევნო ინსტრუქციები და თათბირი დაიხურა.

ტექნიკურ კულტურათა კოლექტივიზაცია

ჩაის კოლექტივები

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ვითარდება მრავალწლიანი შრომის ტევადი ტექნიკური კულტურები, როგორიცაა ჩაი, მანდარინი, ვენახი, ხილის ბაღები და სხვა.

ის კოლმეურნეობები, რომელნიც ასეთ დარგებს აერთიანებენ, გაცილებით უფრო რთულ ხასიათს ატარებენ, ვიდრე ერთ წლიანი კულტურის მომყვანი მეურნეობანი, როგორიცაა მაგ., მარცვლეულობის მეურნეობანი. ამიტომ კოლმეურნეობრივი მშენებლობა ტექნიკურ კულტურებში შედარებით უფრო ძნელია. ეს გარემოება გვიკარნახებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ტექნიკურ ჯგუფთა კოლექტივიზაციის საკითხებს.

ერთ-ერთი მთავარი ტექნიკური მეურნეობა, რომელიც ვითარდება ჩვენში და მასიურად კავშირდება კოლმეურნეობებში, არის ჩაის კულტურა. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მხოლოდ საქართველოში ხარობს ეს კულტურა. სათანადო ხელმძღვანელ ორგანოების გადაწყვეტილებით, ჩვენში იმდენად უნდა გაიზარდოს ჩაის პლანტაციის ფართობები, რომ რამოდენიმე წლების შემდეგ შესაძლებელი გახდეს ჩვენი ჩაით მთელი კავშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. დღემდე დიდძალი თანხები გადიოდა უცხოეთში ჩაის შესაძენად. ამის ასაცილებლად ჩვენში ჩქარი ტემპით წარმოებს მუშაობა ჩაის ფართობების გასადიდებლად. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი გლეხობამ.

ჩაის მეურნეობაში კოლექტივიზაციის გატარება განსაკუთრებით დიდ ნაყოფს მოგვცემს. ჩაის რაიონებში (ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის მაზრები, აჭარისტანი და აფხაზეთი) მოსახლეობა უმთავრესად ღარიბი ფენებისაგან შესდგება, რომელთაც სახელმწიფოს დაუხმარებლად, ცხადია, არ ძალუძთ ამ მეურნეობის განვითარება. კოლექტიურად შეკავშირებულ გლეხობას ეძლევა მოწყობილ მიწის მსხვილი ნაკვეთები, სადაც შესაძლოა აგრონომიული ზედამხედველობა და მეურნეობის გაუმჯობესებულად წარმოება. მასვე ეძლევათ სესხები, როგორც ფულად, ისე მანქანა-იარაღებით. აი ის დადებითი მხარეები, რომლებიც ახასიათებენ ჩაის კულტურის კოლექტივიზაციას.

მთავრობას ამ საქმისთვის გადადებული აქვს განსაზღვრული კაპიტალი. ყოველ დესეტინა ჩაის პლანტაციის გასაშენებლად გაიცემა 400 მანეთამდე. ეს თანხა საკმაოა, მაგრამ ჩვენ ვსვამთ ერთ საჭირბოროტო საკითხს,—ეს არის პლანტაციის შემოსაღობად სესხების გამონახვა. მაგ., კოლექტივმა გააერთიანა 10—15 ჰექტ. ჩაის პლანტაციის გასაშენებლად. სულ ფუჭად ჩაივლის შრომა, თუ პლანტაციას ღობე (უმთავრესად ეკლის მავთული) არ ექნება შემოვლებული. საჭიროა „საქართველოს ჩაი“-მ იზრუნოს ამ საკითხის უახლოეს დროში მოსაგვარებლად.

შემდეგ: გლეხმა ჩაის მეურნეობაში თავის მუშაობის შედეგს უნდა უცადოს 4—5 წელი. ეს კი ადვილი არ არის. ამიტომ საჭიროა გლეხობა უფრო დავაინტერესოთ კოლექტივებში გაერთიანებით.

ზოგ კოლექტივებში შემჩნეულია, რომ მისი წევრები კოლექტიურ შრომას ერთგულად არ ეკიდებიან: დროზედ არ გამოდიან მეურნეობის დასამუშავებლად, ან გამოდიან ნაწილობრივად და სხვა. ამას შედეგად მოსდევს პლანტაციების გაფუჭება. ასეთ ყოვლად დაუშვებელ მდგომარეობას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. გლეხებს იძულებით კოლექტივებში არავინ მიერეკება, მაგრამ, თუ თვითონ თავისი ნებით, შეადგინეს კოლექტივი და სახელმწიფოსაგან ნასესხი ფულით პლანტაცია გააშენეს, მას სათანადოდაც უნდა მოუარონ. კოლექტ. მეურნეობა თავისი დამუშავებით მაგალითს უნდა აძლევდეს მახლობელ გლეხობას. ამ გარემოებას ჩვენ უნდა მივაქციოთ უდიდესი ყურადღება. სამარცხვინო ბოძზე უნდა გაიკრას ისეთი კოლექტივი, რომელიც უხეიროდ დაამუშავებს თავის მამულს, მას უნდა მოეთხოვოს სასტიკი პასუხი, უნდა მოეწყოს საზოგადოებრივი გასამართლება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „საქართველოს ჩაი“, როგორც გამოირკვა, ინდივიდუალურ სესხებს აძლევს კოლექტივის ცალკე წევრებს, ცხადია, ასეთ პირობებში გლეხი ორ ნაკვეთზე ეწევა მუშაობას ჩაის გასაშენებლად და ამასთან მას აქვს კიდევ თავისი სხვა სახის მეურნეობა. „საქართველოს ჩაი“-მ კოლექტივის წევრებზე კერძოდ სესხების გაცემა უნდა მოსპოს. თუ ეს გაგრძელდა, გლეხი ყოველგან ვერ გაწვდება და პლანტაციების ხარისხი არ ივარგებს.

წელს ჩვენში ეწყობა ჩაის მრავალი კოლექტივი, რომელნიც კონტრაქტაციას ატარებენ საზ. „საქართველოს ჩაის გასაშენებლად და ამასთან მას ნაკისრ ვალდებულებათა მტკიცედ შესრულებაში, ყოველნაირად უნდა შეუწყოთ ხელი.

ვლ. ცაგარელი

მუშ-გლეხკორთა სრულიად საკავშირო მეოთხე თათბირის წინ

როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა საქართველოში

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციის ბინაზე შესდგა მუშგლეხკორთა სრულიად საკავშირო მეოთხე თათბირის მოსამზადებელი მუშაობის ჩამტარებელი საქართველოს რესპუბლიკანური კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ყველა ცენტრალური გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები.

სხდომამ პირველად მოისმინა ამხ. გალკინის მოხსენება თბილისის კედლის გაზეთების გამომკვლევ კომისიის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუშგლეხკორთა სრ. საკავშირო მეოთხე თათბირის მოსამზადებელ მუშაობის ჩამტარებელმა თბილისის ქალაქისა და მაზრის კომისიამ შედარებით გვიან დაიწყო მუშაობა. მიუხედავად ამისა კომისიამ მაინც შესძლო როგორც თბილისის, ისე მისი მაზრის კედლის გაზეთებისა და მუშგლეხკორთა წრეების საფუძვლიანად გამოკვლევა და მუშკორთა მოძრაობის შესწავლა თბილისის მაზრაში. კომისია, მუშაობას მასიურად აწარმოებდა. კედლის გაზეთების გამოკვლევაში ჩაბმული იყო ოთხმოცამდე მუშა კორესპონდენტი, რომლებიც მიმაგრებულნი იყვნენ წარმოება-დაწესებულებებთან არსებულ კედლის გაზეთებზე და ადგილობრივად შემდგარ სამეულთან ერთად იკვლევდნენ კედლის გაზეთებისა და მუშკორთა წრეების საქმიანობას. გამოკვლეული იქნა სულ 72 კედლის გაზეთი. აქედან წარმოების კედლის გაზეთი არის დაახლოებით 40, დანარჩენები დაწესებულებებისა და შრომის სკოლებისა.

კედლის გაზეთებისა და მუშკორთა წრეების გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ კედლის გაზეთებზე ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. ზოგიერთი ადგილობრივი პარტუჯრედები ვერ უწევენ მუშკორთა მოძრაობას სწორ და მიზანშეწონილ ხელმძღვანელობას. ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სარედაქციო კოლეგიების გამოყოფას ან დანიშვნას, მუშკორთა დევნას და სხ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კედლის გაზეთების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს გამოწერილი აქვს მუშგლეხკორთა მოძრაობის სახელმძღვანელო ჟურნალი. კედლის გაზეთები წარმოებაში შერეულ ენებზე გამოდის.

რაც შეეხება იმას, თუ რომელი წარმოების კედლის გაზეთია საუკეთესოდ დაყენებული, წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ ასეთი გაზეთები ძალიან ცოტაა. სულ რამოდენიმე კედლის გაზეთი მოიძებნება თბილისში, რომლებიც სანიმუშოდ გამოდგება.

ამხ. გალკინის მოხსენების შემდეგ მოკლე ინფორმაციული მოხსენებები გააკეთეს რესპუბლიკანური კომისიის მიერ პროვინციაში გაგზავნილ ინსტრუქტორებმა; ამხ. იტრიევმა ძაბილაშვილმა და მარტინმა. ინსტრუქტორები გაგზავნილი იყვნენ: თელავში, გურჯაანში, გორში, ხაშურში, შორაპანში, მარელისში, ტყიბულში, ქუთაისში, ჭიათურაში, სამტრედიაში, ფოთში, ოზურგეთში, ზუგდიდში და სხვ. გარდა ამისა გაგზავნილი იყვნენ ინსტრუქტორები აგრეთვე ცალკე ავტონომიურ რესპუბლიკებშიაც; აჭარისტანში, აფხაზეთში და სამხრ. ოსეთში.

ამხ. ძაბილაშვილმა აღნიშნა, რომ კედლის გაზეთების მუშაობა ბევრ ადგილას ვერ არის დამაკმაყოფილებელი; თელავში, მაგალითად, სარედაქციო კოლეგიები ინიშნება. აქ კლუბთან არსებულ კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია გამოყოფილია გამგეობის მიერ და საკუთარი ბეჭდის დასმით დამტკიცებულია თელავის პროფბიუროს მიერ, რაც ეწინააღმდეგება მუშკორთა მუშაობის იდეას და პრაქტიკას. შედარებით კარგია ხაშურის კედლის გაზეთი. აქ დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მუშკორთა შენიშვნების გამოკვლევის საქმე.

ამხ. მარტინი ამბობს, რომ სამხრეთ-ოსეთში კედლის გაზეთები აგრეთვე მოისუსტებენ. კედლის გაზეთები აქ ჯერ კიდევ პარტიული უჯრედების, ან პროფბიუროს ორგანოს სახელწოდებით გამოდის.

ამხ. იტრიევის სიტყვით ბევრ ადგილას პარტიულ ორგანიზაციებში მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგებმა ზოგჯერ არ იციან პარტიის ხაზი მუშკორთა შორის მუშაობის დარგში. ბევრგან ასე წარმოუდგენიათ, რომ პარტიული ხელმძღვანელობა განისაზღვრება მუშკორთა შენიშვნების ცენზურის გაწევით ასე იყო, მაგალითად, ტყიბულში და ზოგიერთ სხვა ადგილებში.

მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში ამხანაგებმა აღნიშნეს ჩატარებულ მუშაობის ზოგიერთი ნაკლი და მოითხოვდნენ მოსამზადებელ მუშაობის უფრო გაფართოებას.

დასასრულ რესპ. კომისიის სხდომამ თბილისის კომისიის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და წინადადება მისცა თბ. კომისიას ახლო მომავალში დაამთავროს მთელი მუშაობა. რაც შეეხება ინსტრუქტორების მუშაობას პროვინციაში, კომისიამ გამოჰყო სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომლებსაც დაევალა პროვინციის კედლის გაზეთების გამოკვლევის მასალების დამუშავება და საუკეთესო კედლის გაზეთის გამოყოფა.

X.

რა მოგვცა კედლის გაზეთების გამოკვლევამ

(წერილი სენაკიდან)

მუშგლეხკორთა სრულიად საკავშირო მეოთხე თათბირის მომზადებელი მუშაობა ჩვენშიაც დაიწყო. ამ მუშაობის ჩასატარებლად სენაკში ჩამოვიდა რესპუბლიკანურ კომისიის წარმომადგენელი ამხ. იტრიევი. რომელმაც სენაკის მუშგლეხკორთა კრებაზე გააკეთა მოხსენება მუშგლეხკორთა საკავშირო თათბირის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. თათბირზე არჩეულ იქნა კედლის გაზეთების გამომკვლელი სამაზრო სამეული. სამეულმა განიხილა სულ 7 კედლის გაზეთი, რომელთა გამოკვლევამ ნათელი სურათი მოგვცა მუშკორთა მოძრაობის შესახებ სენაკის მაზრაში. გაზეთების გამოსაკვლევად მიმაგრებულ იქნენ 7 აქტიური მუშკორი.

რა მოგვცა ამ გამოკვლევამ? გამომკვლევ ამხანაგებისათვის ცხადი შეიქნა, რომ არც ერთ ორგანიზაციის მხრივ მაზრაში არავითარი ხელმძღვანელობა არ არის მუშკორთა მოძრაობაზე. მართალია, აქა იქ თითქოს ხანდისხან ყურადღებას აქცევენ პარტიული და პროფუჯრედები კედლის გაზეთებსა და მუშკორთა ორგანიზაციებს მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოუცია. პირიქით, მათი ყურადღება უფრო წერილების გაშინჯვაში გამოიხატებოდა, რაც ყოვლად დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

მაზრის სააგიტ. საპროპ. განყოფილებამ ვერ შესძლო გაეწია მუშკორისათვის საჭირო ხელმძღვანელობა და გაეუმჯობესებინა კედლის გაზეთების გამოცემის საქმე.

პოლიტგანის მიმართ საყვედურიც კი გამოითქვეს ადგილებზე. ის ძალზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს, სამკითხველოებთან არსებულ კედლის გაზეთების მუშაობის სწორ წარმართვას. ის არავითარ ზომებს არ იღებს კედლის გაზეთების ირგვლივ გაერთიანებულ მუშ-გლეხკორთა შორის სამუშაოდ. ამიტომ ხშირია შემთხვევები, როცა სამკითხველოს გამგე თითონ ავსებს მთელ გაზეთს. გარდა ამისა, სარედაქციო კოლეგიები ვერ ერკვევიან თავიანთ უფლება-მოვალეობებში. ხშირად რედკოლეგიებს, ან მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე ირჩევენ ან გამგეობები გამოყოფენ, ან პროფუჯრედი ნიშნავს. არსად არ ყოფილა შემთხვევა, რომ სარედაქციო კოლეგია მუშკორთა საერთო კრებას აერჩიოს. სარედაქციო კოლეგია არ ზრუნავს მუშკორთა წრის დასაარსებლად და მასზე ხელმძღვანელობის გასაწევად.

ამ გარემოებამ თავისი დაღი დაასვა მთელს მუშკორთა მოძრაობას სენაკის მაზრაში.

მუშკორთა დევნა ბევრგან არ ყოფილა, მაგრამ მუშკორის ვინაობის ძებნას კი მარნის ქარხანაში ჰქონია ადგილი. ამას ადმინისტრაციაც უწყობდა ხელს. ყოფილა მუშკორის დატუქსვაც ადმინ. პ.-მგ. მომუშავის მიერ. სამაზრო აღმასკომში თანამშრომლებისათვის გამოუცხადებიათ; „თუ რამე წერილი შეამჩნიოთ, სხვაგან კი ნუ ამბობთ და სწერთ, მე მითხარით პირდაპირ. თუ ასე არ მოიქცევით დაგითხოვთ სამსახურიდანო. ამ გარემოებამ დააშინა მუშკორები და ზოგიერთებმა თავიც გაუნებებია წერისათვის.

გამოკვლევისა და სამაზრო აპარატში მოკალათებული მუშკორთა მდევნელების მაზრიდან გაყვანის შემდეგ, ისევ დაიწყო გაცხოველებული მუშაობა და ბევრმა მუშკორმაც განაახლა გაზეთში თანამშრომლობა.

კედლის გაზეთებში მოთავსებულ შენიშვნებს ზოგიერთი ადმინისტრაცია განგებ არ აქცევდა ყურადღებას. ზოგან კი ცდილობდნენ განზრახ გაემტყუნებინათ მუშკორი. (სამაზრო აღმასკომი).

რაა საჭირო შემდეგისათვის? რომ, მუშკორთა მოძრაობამ უფრო მეტი ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა: პარტიის სამაზრო კომიტეტის საგ. საპრ. განყოფილებამ აიღოს მტკიცე კურსი მუშკორთა მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის, ყველა კედლის გაზეთებთან მოეწყოს მუშგლეხკორთა წრეები და მათი მუშაობა ჩაყენებულ იქნას ნორმალურ კალაპოტში. სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს მუშკორთა მდევნელს და საერთოდ მიღებულ იქნეს ზომები მუშ-გლეხკორთა მოძრაობის გასაფართოებლად.

ბ. უჩანეიშვილი.

სახელმწ. უნივერსიტეტის კედლის გაზეთი

ამჟამად სწარმოებს თბილისის კედლის გაზეთების გამოკვლევა. სხვა კედლის გაზეთებთან ერთად გამოკვლეული იქნა სახ. უნივერსიტეტის და დეპოს კედლის გაზეთებიც.

დეპოში გაზეთი სისტემატიურად გამოდის. კედლის გაზეთი თვალყურს ადევნებს წარმოებას და აშუქებს ყოველგვარ საჭირბოროტო საკითხებს, მაგრამ ნაკლიც აქვს, რომელიც ვფიქრობთ ახლო მომავალში გამოსწორდება.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლის გაზეთი ძალზე მოიკოჭლებს. შეიძლება ითქვას, რომ აქ კედლის გაზეთი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არ არსებობს. იგი უფრო დიდი, ნამდვილი. აკადემიური გაზეთია, ვიდრე კედლის გაზეთი. გაზეთი იბეჭდება 500 ცალი და ურიგდება სტუდენტებს და პროფესორებს ხელზე. ამავე დროს კედელზეც არის გაკრული. (ალბათ ამიტომ ატარებს ის კედლის გაზეთის სახელწოდებას). გაზეთი კარგია სამკითხველოში და ხელზე წასაკითხავად. შიგ მოთავსებულია შინაარსიანი წერილები წვრილი ასოებით, ძალან ცოტაა კარიკატურა. სრულებით არ ეხება გაზეთი იმ აუარება საჭირბოროტო საკითხებს, რომელიც არსებობს უნივერსიტეტის ცხოვრებაში. მის დიდრონ წერილებს კი სურვილიც რომ ჰქონდეს კაცს, კედელზე ვერ წაიკითხავს. გამონაკლისს შეადგენს საოხუნჯო-სახუმრო „სიზმრის ახსნის" და „უცხო სიტყვათა ლექსიკონის" განყოფილება, რომელსაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი ასეთ დიდ და კულტურულ დაწესებულების კედლის გაზეთში.

ვიმეორებთ—გაზეთი კარგია, ის საჭირო და სასარგებლოა, მასში აღძრულია მრავალი საყურადღებო საკითხები მაგრამ მას არ შეიძლება უწოდოთ კედლის გაზეთი. ის ვერ ასრულებს კედლის გაზეთის დანიშნულებას. უნივერსიტეტში კი საჭიროა გამოდიოდეს ნამდვილი კედლის გაზეთი, მით უმეტეს, რომ უნივერსიტეტი წარმოადგენს უდიდეს ქარხანას, სადაც მზადდება კულტურული ძალა.

უნივერსიტეტში დღეს 10 პროც. - მდე მუშები არიან. ესენი არც გაზეთში ჩანან და არც კრებებზე. ეს მიუტევებელი დანაშაულია. შეგნებულმა მუშამ თავისი მოვალეობა არსად არ უნდა დაივიწყოს. ადგილობრივი კედლის გაზეთი უნდა იყოს მათი მუშაობის ცენტრი. უნივერსიტეტში მომუშავე ამხანაგებს ეს საკითხი ვერა აქვთ სათანადოთ შეთვისებული.

საჭიროა უნივერსიტეტის ამხანაგებიც გაეცნონ საბჭოთა კავშირში კედლის გაზეთების მუშაობას. გაეცნონ ამ დარგში მუშაობის ფორმებს, მიღწევებს და ასე გააჩაღონ თავიანთი მუშაობა, კედლის გაზეთის გამოსაცემად. მხოლოდ ამის შემდეგ ექნება უნივერსიტეტს ნამდვილი კედლის გაზეთი.

ს. დოლიძე.

რა გამოირკვა

მუშგლეხკორთა სრულიად საკავშირო მეოთხე თათბირის მომამზადებელ რესპუბლიკანურმა კომისიამ მოახდინა რკინის გზის მთავარ პუნქტებში არსებულ მუშკორთა წრეებისა და კედლის გაზეთების გამოკვლევა. გამოკვლევამ ნათელჰყო კედლის გაზეთების და მუშკორთა წრეების ნაკლი და მიღწევები. კედლის გაზეთი არის კოლექტიური მუშაობის ნამდვილი ორგანიზატორი, მათი მითითებით და წინადადებით წარმოებამ თავიდან აიცილა მრავალი ნაკლი და მოსალოდნელი ზარალი.

სად. ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა კედლის გაზეთის „ნაპერწკალი"-ს მოთხოვნით, დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშებს მოემატათ ხელფასი. მისივე მითითებით, ინტრიგანობისა და ლოთობისათვის სამუშაოდან მოხსნილი იქნენ სად. წიფას ადგილკომის და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეები. საერთოდ კედლის გაზეთმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა შრომის დეზერტირობას და ასწია მუშებში შრომის დისციპლინა.

სად. შორაპანში, ადგილობრივი კედლის გაზეთ „გრიგალი"-ს მითითებით შეკეთებულ იქნა წყალსადენის მილები და მუშების საცხოვრებელი ბინები. გაზეთში მოთავსებულმა წერილმა ლოთობის წინააღმდეგ დიდი გავლენა იქონია ლოთ მუშებზე. თითქმის ყველა ლოთობაში შემჩნეულმა მუშამ ღვინის სმას თავი გაანება. სამუშაოზე მთვრალ მუშას ვეღარ ნახავთ. ამ მხრივ საკმაო მიღწევები აქვს აგრეთვე სად. გურჯაანის კედლის გაზეთ „წითელ ცოცხსაც". უკანასკნელმა წამოაყენა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რამაც დიდი გამოძახილი ჰპოვა მუშებში. გაზეთის წინადადებით გამოსწორდა და მოგვარდა რკინის გზაზე არსებული მრავალი საჭირბოროტო საკითხები. დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს სად. გორის კედლის გაზეთიც. ამ გაზეთის წინადადებით მოხსნილი იქნა შპალის ქარხნის გამგე, როგორც გაუსწორებელი ბიუროკრატი; ლოთობისათვის მოხსნეს ოთხი მემანქანე; გაფლანგვისათვის და დაუდევრობისათვის მოხსნილ იქნა კოოპერატივის გამგე და მისი ნოქარი.

კედლის გაზეთების მუშაობაში უდიდეს გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს შენიშვნებზე გამოხმაურებათა საქმის მოწესრიგება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხაშურის, გურჯაანის და შორაპნის კედლის გაზეთები. ამ გაზეთებში მოთავსებულ თითქმის ყველა შენიშვნებზე გაცემულია ოფიციალური პასუხები. შენიშვნებზე გამოხმაურებაა ორგანიზაციის მოწესრიგებაში კედლის გაზეთებს სათანადო დახმარებას უწევენ ადგილკომები და მათ მიერ მოწყობილი გამომკვლევი კომისიები. ამ კომისიებში შედიან, როგორც ადმინისტრაციის ისე მუშათა ორგანიზაციის და კედლის გაზეთის წარმომადგენლებიც. საჭიროა ამ მაგალითს სხვა ადგილკომებმაც მიბაძონ.

მიღწევებთან ერთად კედლის გაზეთებს ნაკლიც აქვთ. ზოგიერთი კედლის გაზეთი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. მაგალითად სადგ. მარელისის კედლის გაზეთი ყოვლად უვარგისი და უშინაარსოა. გაზეთი თვიური ორგანოა, მაგრამ სისტემატიურად მაინც არ გამოდის. დღიდან არსებობისა, იგი სულ 7 ნომერი ყოფილა გამოსული, ხოლო გამოკვლევის დროს სამი ნომერიც არ აღმოჩნდა. გაზეთში მოთავსებული წერილები სრულიად განყენებულ თემებს ეხება. ასეთი კედლის გაზეთების არსებობას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.

მუშგლეხკორთა მოძრაობის ძირითადი პრინციპების დარღვევას დღესაც მასიური ხასიათი აქვს. კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიას უნდა ირჩევდეს მუშკორთა წრე, მაგრამ ბევრგან ასე არ ხდება. სარედაქციო კოლეგიები ბევრ ადგილას ირჩევა და მტკიცდება ადგილკომებისა და კომუჯრედების მიერ (ხაშურში და გორში). თელავში კი სარედაქციო კოლეგია აურჩევია კლუბის გამგეობას და ეს დადგენილება, ბეჭედის დასმით დაუდასტურებია პროფბიუროს. ეს ნაკლი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოსწორდეს. უნდა შევებრძოლოთ კედლის გაზეთების შესახებ არსებულ დებულებათა დარღვევას, რადგან ეს მდგომარეობა მთელ რიგ დაბრკოლებებს ჰქმნის და დიდ საფრთხის წინაშე აყენებს კედლის გაზეთების და მუშკორთა შორის მუშაობას.

კედლის გაზეთების, ზოგიერთი სარედაქციო კოლეგიების შემადგენლობაც არაა დამაკმაყოფილებელი. ბევრ სარედ. კოლეგიაში თავი მოუყრიათ ადმინისტრატორებს და მოსამსახურეებს. მუშათა რიცხვი კი ძალზე მცირეა: თელავის კლუბთან არსებული კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში არც ერთი მუშა არ არის შეყვანილი. ამ მხრივ არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სად. გურჯაანში და ხაშურშიაც. ასეთივე მდგომარეობაა პარტიული კადრის მხრივაც. ზოგიერთ სარედაქციო კოლეგიებში მხოლოდ პარტიული და კომკავშირელები არიან. უპარტიო მუშების რიცხვი კი ან ნაკლებაა, ან სრულიად არაა. ზოგან წინააღმდეგი მდგომარეობაა; სარედაქციო კოლეგიაში მხოლოდ უპარტიოები არიან. ამ ნაკლის გამოსწორებას მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

დასასრულ მუშკორთა ბიუროების შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი სრულიად ზედმეტ ბარგს წარმოადგენენ მუშკორთა ორგანიზაციაში. დღეს მთელ მუშაობას მუშკორთა შორის აწარმოებენ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები. თვითეული წრე, თვითეული კედლის გაზეთი და მისი სარედაქციო კოლეგია უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს ცენტრალური გაზეთების რედაქციას, საიდანაც ისინი მიიღებენ სწორ ხელმძღვანელობას. რაც შეეხება მუშკორთა სარაიონო თუ სამაზრო თათბირების მოწვევას, ამას უნდა ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი პარტორგანიზაციები და არა მუშკორთა ბიუროები, როგორც ეს ხდება ზოგიერთ ადგილებში.

კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებმა მთელი ყურადღება უნდა მიაქციონ ქალკორთა შორის მუშაობას და გააფართოვონ თავიანთი საქმიანობა ამ მიმართულებით.

ბ. ძ—ლი.

როგორ სდევნიან მუშკორებს

(თბილისის მაუდის ქარხანა).

თბილისის მაუდის ქარხანაში ამ ორი თვის წინად შედარებით კარგი ღირსების კედლის გაზეთი გამოდიოდა, იგი ამჟღავნებდა როგორც ადგილობრივ მშენებლობის, ისე მუშათა ყოფა-ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებსაც. კედლის გაზეთთან პატარა მუშკორთა წრეც არსებობდა. მუშკორთ წრის საქმიანობა იმედს იძლეოდა, რომ მომავალში უფრო გაფართოვდებოდა მუშაობა და მეტ სამსახურს გაუწევდა ადგილობრივ ნაკლის გამოსწორებას.

მაგრამ ეს მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩა მაუდის ქარხნის ადმინისტრაციას. მათ მუშკორთა კალამი და შენიშვნების წერა ნაკლის შესახებ არ ესიამოვნათ, ამიტომ მიზანში ამოიღეს თითქმის ყველა მუშკორები და დაიწყეს მათი შევიწროება. პირველი იერიში მიიტანეს ამხანაგ მაიერზე, რომელიც სრულიად უმიზეზოდ მოხსნეს სამუშაოდან და რომელმაც გაჭირვებას გამო თავი მოიკლა. შემდეგ ჯერი მიდგა ალექსი თხინვალელზე. ბოლოს ისიც მოხსნეს და მას მიაყოლეს ამხ. ჯმუხაძე, ცალმუდოვი და სხვები. ამით დიდუბის მაუდის ქარხნის ადმინისტრაციამ თავის მიზანს მიაღწია. მას შემდეგ გამოუშვეს გაზეთის ერთი ნომერი, მაგრამ იგი არც შინაარსით და არც გარეგნულად არაფრად ვარგა.

საჭიროა საუკეთესო ძალების მობილიზაცია, რათა აღნიშნული კედლის გაზეთის გამოცემა განახლდეს. ამისათვის კი აუცილებელი საჭიროა ფაბრიკაში შეიქმნას ისეთი პირობები, როდესაც მუშას არ ექნება შიში იმაზე, რომ გაზეთში წერილის მოთავსების გამო მოხსნიან მას სამსახურიდან.

სათანადო ორგანომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

მუშკორი ნ. მ-ლი.

ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის ხელმძღვანელთა თათბირი

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე აფხაზეთის სას.-სამ. კოოპერაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბიგვავამ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის სასოფლო მეურნეობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მეთამბაქოებას, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი ორგანიზაცია და რომელიც ჯერ გაერთიანებული არ არის უნივერსალურ სას.-სამ. კოოპერაციასთან.

აფხაზეთის სას.-სამ. კოოპერაცია შედარებით ახალი ორგანიზაციაა და მის უფრო მეტის წარმატებით განვითარებას აფერხებს ის გარემოება, რომ მას ჯერ არა ყავს მომზადებულ მუშაკების კადრი და არ მოეპოება საკმაო საკუთარი თანხები. აფხაზეთის „სოფლის კავშირში" შეკავშირებულია 14 სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა, რომლებშიაც 1928 წლის 1 ივლისისათვის გაერთიანებული იყო 18.229 გლეხური მეურნეობა (მეურნეობათა მთელი რაოდენობის 53 პროცენტი).

აფხაზეთის სას.-სამ. კოოპერაციის ბალანსი 1927 წლის 1 ოქტომბერს შეადგენდა 167.548 მანეთს, 1928 წლის 1 ივლისისთვის 648.323 მან. კოლმეურნეობათა მშენებლობა აფხაზეთში ჯერ მხოლოდ ჩანასახის ხასიათს ატარებს. ამ საქმის წარმატებისთვის აუცილებელია მიწადმოწყობის საქმის დაჩქარება და თვითოეულ მაზრაში სამაგალითო კოლმეურნეობის მოწყობა.

სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობები უკანასკნელი წლის განმავლობაში საგრძნობლათ გამოჯანსაღდნენ. ამ ამხანაგობათა საპაიო თანხა 1926 წლის 1 ოქტომბერს უდრიდა 91.560 მანეთს; 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის 119.582 მანეთს, ხოლო 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის ეს თანხა გაიზარდა კიდევ 30 პროცენტით. სუსტათ არის დაყენებული ანაბარების მოზიდვის საქმე. 1928 წლის 1 აპრილისათვის ანაბარების ჯამი ამხანაგობებში შეადგენდა 317.983 მანეთს, რაც უდრის მათი ბალანსის 9,7 პროცენტს.

მიუხედავათ იმისა, რომ აფხაზეთის სას.-სამ. კოოპერაციას სავსებით შეუძლია დამოუკიდებლათ ჩაატაროს სასოფლო მეურნეობის პროდუქციის დამზადება მთელ აფხაზეთში, ამ საქმეში მაინც ერევიან სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციები, ქმნიან პარალელიზმს მუშაობაში, რითაც საგრძნობლათ აფერხებენ სას.-სამ. კოოპერაციის ნორმალურ განვითარებას.

მესამე სხდომა

თათბირის მესამე სხდომაზე მიმდინარეობდა კამათი მოსმენილ მოხსენების გარშემო. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ სას.-სამ. კოოპერაციის მუშაობაში არ არის დაცული გეგმიანობა, რაც საგრძნობლათ აფერხებს მუშაობის ნაყოფიერებას. მაგალითად, აქსტაფის ახლო მდებარე ამხანაგობას გამოწერილი აქვს რაიმე მანქანა რუსეთიდან. ეს მანქანა მოდის ბაქოში, შემდეგ თბილისში, აქედან ბრუნდება ისევ აქსტაფაში და ამხანაგობა მანქანას იღებს მაშინ, როდესაც მანქანის გამოყენების სეზონი თითქმის გასულია. ასეთივე მდგომარეობაა სესხების განაწილების საქმეში. თესვის კამპანიისთვის გადადებული სესხის განაწილება გრძელდება რამოდენიმე თვე და ამ თანხას ამხანაგობა ღებულობს მაშინ, როდესაც თესვა უკვე დამთავრებულია და მიმდინარეობს მოსავლის აკრეფა. სუსტათ არის დაყენებული აგრიკულტურული დახმარების საქმე. ხშირათ ადგილებზე იგზავნებიან ისეთი აგრონომები, რომლებიც სრულიათ არ შეეფერებიან თავიანთ მოწოდებას. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა აგრო-დახმარების გაფართოება და მომზადებულ აგრონომების შერჩევა ადგილებზე გასაგზავნათ.

ავტონომიურ ერთეულებსა და ცენტრებს შორის კავშირი ვერ არის ცოცხალი. ამიერკავკასიაში საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება კოოპერატიულ მუშაკების მომზადებული კადრები.

ამასთანავე აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკანური ცენტრები მუშაობენ დამოუკიდებლათ და შეუთანხმებლათ, რის გამოც შეუძლებელი ხდება გეგმიანობის დაცვა; ამიტომ ორატორები საჭიროთ სცნობენ, რომ რაც შეიძლება მალე მოეწყოს ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის ცენტრი, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს ა.-კ. რესპუბლიკებში მომქმედ სას.-სამ. კოოპერაციის როგორც მომარაგება-რეალიზაციის ოპერაციების, ისე საკრედიტო ოპერაციების გეგმიანათ წარმოებას.

კოლმეურნეობათა მშენებლობის გაფართოებას მეტად აფერხებს მიწადმოქმედების საკითხის მოუგვარებლობა. ამიტომ მიღებული უნდა იქნეს ზომა, რომ მიწადმოწყობა ჩატარდეს და დამთავრდეს დაჩქარებით. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკურ კულტურათა კოლექტივიზაციას.

მეოთხე სხდომა

თათბირის მეოთხე სხდომაზე მოსმენილი იქნა მომხსენებლების საბოლოო სიტყვები, რის შემდეგაც გამოყოფილი იქნა კომისია, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს დასკვნები იმ მოხსენებების ირგვლივ და თეზისები იმ მოხსენებებისათვის, რომელიც უნდა წარედგინოს სას.-სამ. კოოპერაციის საკავშირო საბჭოს მეორე სესიას. კომისიაში არჩეული არიან ამხ. აბაევი, ფარაჯ-ზადე, არუტიუნიანი, ლაშქუბიანი, პიჩიკიანი, ქართველიშვილი და ქანთარია.

უკანასკნელი სხდომა

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე განხილული და დამტკიცებული იქნა კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლუცია. ვინაიდან მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ სას.-სამ. კოოპერაციის საკავშირო საბჭოს მეორე სესია 9 ნოემბრიდან გადატანილია დეკემბრის დამლევისათვის. თათბირმა დაადგინა დელეგატების არჩევა მიენდოს რესპუბლიკანურ ცენტრს. მომხსენებლათ საკავშირო საბჭოს მეორე სესიაზე არჩეული იქნა ამხანაგი ფარაჯ-ზადე.

დასასრულ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. აბაევი, რომელმაც აღნიშნა, რომ მიუხედავად ზოგიერთ დეფექტისა ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციას აქვს საგრძნობი მიღწევები, რაც ნათლად მტკიცდება თათბირზე წარმოდგენილ მასალებით. შემდეგისათვის ამხ. აბაევი საჭიროდ სთვლის მიღწეულ მდგომარეობის განმტკიცებას და კოოპერატიულ მშენებლობის უფრო სწორი გზით წარმართვას.

ამხ. აბაევის საბოლოო სიტყვის შემდეგ თათბირი დაიხურა.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის მდივნების თათბირი

უკანასკნელი სხდომა

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ვ. გიორგაძის მოხსენება ადგილობრივი ორგანიზაციების ამოცანების შესახებ საჰაერო-ქიმიურ თავდაცვის საქმის ორგანიზაციაში.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა საჰაერო-ქიმიური თავდაცვის საქმის ორგანიზაციის მნიშვნელობაზე თანამედროვე პირობებში და აღნიშნა, რომ თავდაცვა-ავიაქიმმა ამ საქმის მოწყობაში უნდა მიიღოს უახლოესი მონაწილეობა.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა თავის მხრივ უნდა ითავონ საჰაერო-ქიმიური თავდაცვის საქმის მოწესრიგება და ამ საქმეში უნდა ჩაბან ყველა დაინტერესებული უწყებები.

არქეოლოგიური განძების აღმოჩენა

სოფ. ჟინვალში და ბარისახოში

განათლების კომისარიატში მიღებული ცნობებით, სოფ. ჟინვალიდან მალაროს-კარისაკენ ახალი გზის გაყვანის დროს გზის მშრომელი მუშები წააწყდნენ უძველესი დროის სამარხს, რომელშიაც აღმოჩნდა სხვადასხვა ძვირფასი განძეულობა. სამარხი, რომელიც პირველხანებში საწნახელი ეგონათ, აგებულია ქვისაგან და წააგავს უფრო აკლდამას. აღმოჩენილი განძეულობა შეკრებილი და დაცულია.

აღნიშნული არქეოლოგიური აღმოჩენის ადგილი დაშორებულია სოფ. ჟინვალიდან კილომეტრნახევრის მანძილზე. საქართველოს მუზეუმმა გადასწყვიტა სამარხის შესასწავლად მიავლინოს არქეოლოგი გ. ნიორაძე, რომელსაც თან გაჰყვება განათლების კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს წარმომადგენელი.

მეორე განძი აღმოჩენილ იქნა სოფ. ბარისახოში (ხევსურეთშია) სკოლის აშენების დროს. ბარისახოში სკოლის შენობისათვის ქვის მასალის შეკრების დროს მიაგნეს ქვების დიდ მარაგს სოფლის ეკლესიის მახლობლად, ქვების ამოღებისას მიადგნენ ოთახისებურ შენობას, რომელშიაც დაყრილი იყო სხვადასხვა რკინის იარაღები და მასალები. ასეთ იარაღებს, მოხუცი ხევსურების გადმოცემით, ხმარობდნენ ძველ დროში კოშკებიდან მტრებთან ბრძოლის დროს.

აღნიშნული აღმოჩენა დაათვალიერა განათლების კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ზაუტაშვილმა, რომლის გადმოცემითაც უფრო შესაძლებელია, რომ ამ ადგილას მოთავსებული იყო რკინის იარაღების სახელოსნო.

ნაპოვნი რკინის იარაღები და შენობა დაცულია და მასზე მეთვალყურეობის გაწევა მინდობილი აქვს ტეხნიკოსს, რომელიც ხელმძღვანელობს სკოლის აგებას ბარისახოში.

მუშკორთა საყურადღებოდ

ოთხშაბათს. 31 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება თბილისის ყველა გაზეთების მუშკორებისა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების საქალაქო კრება.

დღის წესრიგში სდგას მოხსენება თბილისის კედლის გაზეთების გამოკვლევის შედეგების შესახებ. მუშკორებისა და კედ. გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრთა დასწრება აუცილებელია.

ახალი გენ. კოლხელშეკრულება რკინის გზაზე

მიმდინარე წლის 31 დეკემბერს უთავდება ვადა რკინის გზაზე მომქმედ გენერალურ კოლექტიურ ხელშეკრულებას. ამავე დროისათვის დადებული იქნება ახალი კოლექტიური ხელშეკრულება რკინის გზათა კავშირის ცენტრალურ კომიტეტსა და გზათა სახალხო კომისარიატს შორის. ახალი გენერალური კოლხელშეკრულებების დადებამდე რკინისგზელთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია მისი დადების საკითხი გადააქციოს რკინისგზელთა ფართო მასების მსჯელობის საგნად. ამ მიზნით ცენტრალურმა კომიტეტმა რკინისგზელთა პროფორგანიზაციებს მისცა დირექტივები ცხოველი კამპანიის ჩასატარებლად.

კამპანია მიზნად ისახავს გამოარკვიოს მუშა-მოსამსახურეთა შეხედულება ამჟამად მომქმედ გენერალურ კოლხელშეკრულებაზე, რადგან მასები უშუალოდ არიან დაკავშირებული გენკოლხელშეკრულებასთან, მათ უკეთ იციან, თუ რა ნაკლოვანებანი აქვს ამჟამად მომქმედ კოლხელშეკრულებას. ეს ნაკლოვანებანი ამთავითვე უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში მათი გამოსწორების მიზნით. ჩვენი რკინის გზის ტრანსპორტის მდგომარეობასთან შეფარდებით, მასებმა უნდა წამოაყენონ ისეთი მოთხოვნები, რომელთა გათვალისწინება ახალ კოლხელშეკრულებით სასურველია. ამიტომ კოლხელშეკრულების საკითხი აუცილებლად უნდა იქნეს გადატანილი განსახილველად რკინისგზელთა ფართო მასაში, საერთო და სადელეგატო კრებებზე.

რასაკვირველია, მომქმედ გენხელშეკრულების ზოგიერთ მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ მოსაზრებები, თანახმად ჩვენი კავშირის ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებისა, უნდა შეესაბამებოდეს ჩვენი რკინის გზის ფინანსიურ შესაძლებლობას. ჩვენი მოთხოვნები უნდა იყოს არსებითი და რეალურად შესასრულებელი.

რკინის გზის ტრანსპორტის შესაძლებლობანი და სახსრები მეტის მეტად განსაზღვრულია. გასავალი აღემატება შემოსავალს და ყოველწლიურათ ადგილი აქვს მნიშვნელოვან დეფიციტს. 1925-26 წ. ა.-კ. რკინის გზის დეფიციტი შეადგენდა 6.790.255 მან., რადგან რკინის გზის შემოსავალი ხსენებულ წელში შეადგენდა 44.940.599 მან., ხოლო ფაქტიური გასავალი 51.730.855 მან., 1926-27 წელში დეფიციტი უდრიდა 5.882.275 მანეთს, შემოსავალი შეადგენდა 56.957.562 მ., ხოლო გასავალი 62.839.838 მანეთს.; დაახლოებით ასეთივე დეფიციტს აქვს ადგილი 1927-28 წელშიც, როგორც ამას წინასწარი გამოანგარიშება გვიჩვენებს.

მიმდინარე საბიუჯეტო წელში ს. ს. რ. კ. რკინის გზების მთელი ქსელის დეფიციტის დასაფარავათ, გზათა სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს გამოითხოვოს დოტაცია 87 მილიონი მანეთის რაოდენობით; რკინისგზელთა ც. კ.-ის აზრით კი, დეფიციტის დასაფარავათ საჭიროა 104 მილიონი მანეთის დოტაცია.

ა.-კ. რკინის გზაზე დეფიციტი საექსპლოატაციო ხარჯთაღრიცხვის მიხედვით მიმდინარე საბიუჯეტო წელში უნდა შეადგენდეს დაახლოვებით 10 მილიონ მანეთს: გასავლის ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია ხარჯები 75.764.000 მანეთის რაოდენობით, ხოლო შემოსავლის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 65.630.000 მანეთს. ამ გარემოებას მიაქცევს საკავშირო ხელმძღვანელ ორგანოების ყურადღებას რკინის გზის კავშირის ცენტრალური კომიტეტი და წინადადებას იძლევა გენკოლხელშეკრულების დამუშავების დროს საერთო და სადელეგატო კრებებზე საკავშირო მასებმა მხედველობაში იქონიონ ზემოხსენებული ფინანსიური მდგომარეობა, რათა ჩვენს მიერ გამომუშავებული სასურველი დამატებები არ დარჩეს შეუსრულებელი და ამით არ გამოიწვიოს მშრომელ მასებს შორის იმედის გაცრუება.

არც ისეთი დიდი ხანია (მ. წ. 1-ლ აპრილიდან), რაც ახალი ხელშეკრულება დავდევით გზათა სახალხო კომისარიატთან, ამიტომ ა.-კ. რკინის გზის კავშირის საგზაო კომიტეტი, ისე როგორც რკინის გზის ცენტრალური კომიტეტი, იზიარებს იმ აზრს, რომ ამჟამად მომქმედი ხელშეკრულების უფლებრივი მხარე შეიძლება საერთოდ იქნეს დატოვებული უცვლელად მომავალ წლისათვის, ხოლო რაც შეეხება ხელშეკრულების მატერიალურ მხარეს, ეს უკანასკნელი შეიძლება იქნეს შეცვლილი ჩვენი ტრანსპორტის შესაძლებლობის მიხედვით.

როგორც ვსთქვით, საკავშირო ორგანოებს ევალებათ ახალი ხელშეკრულების დადების საკითხი გადაიტანონ საჩქაროდ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა სადელეგატო და საერთო კრებებზე, განუმარტონ კავშირის წევრებს, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობს რკინის გზის ცენტრალური კომიტეტი, როცა აღნიშნული საკითხი გადააქვს მშრომელთა ფართო მასის მსჯელობის საგნათ. საკავშირო ორგანოებმა ფართოდ უნდა გააცნონ კავშირის წევრებს ჩვენი რკინის გზის ზემოაღნიშნული ფინანსიური შესაძლებლობანი, რომლებიც უნდა იქონიონ მხედველობაში ხელშეკრულების მატერიალური მხარის დამუშავების დროს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენათ ასრულებენ ადგილობრივ არსებულ კოლხელშეკრულებას. როგორც პრაქტიკიდან ვიცით, არსებული კოლხელშეკრულების ზოგიერთი მუხლები ადგილობრივ არ სრულდება, ან ცუდათ ხორციელდება ცხოვრებაში. ამას უნდა მიაქციონ ყურადღება საკავშირო ორგანოებმა და საერთო კრებებზე წამოაყენონ საკითხი გენერალური ხელშეკრულების შესრულებაზე მტკიცე მეთვალყურეობის დაწესების შესახებ მომავალში. ამისათვის კი საჭიროა ადგილკომებმა გამოყონ წარმოებებში დროებითი საკონტროლო კომისიები მუშებისაგან, რომლებმაც უნდა გამოარკვიონ, თუ როგორ სრულდება ხელშეკრულება ჩვენი რკინის გზის წარმოებებში; ამ კომისიების დასკვნები უნდა მოხსენდეს საერთო კრებებს და აგრეთვე ეცნობოს უმაღლეს საკავშირო ორგანოებს.

გენერალური კოლხელშეკრულების დადება უდიდესი საკითხია ჩვენს რკინისგზის მეურნეობაში, ამიტომ სათანადო კამპანიის ჩატარებას ჩვენმა საკავშირო ორგანოებმა უნდა მიაქციონ მთელი თავისი ყურადღება. მის დასამუშავებლად ჩვენ ცოტა დრო გვაქვს და ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივ ორგანიზაციებს ევალებათ ზემო თქმულის მიხედვით დაამუშაონ საკითხი და წარმოადგინონ უმაღლეს ორგანოებში, თუ რა ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი გენხელშეკრულებაში, ცვლილებები, რომლებიც უნდა დაედონ საფუძვლად ჩვენი რკინის გზის წარმოების ამაღლებას და რკინისგზელთა ნივთიერ და ყოფა-ცხოვრების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პარმენ საბაშვილი.

საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში

კვირას, 28 ოქტომბერს, ინჟ. ვ. კაკაბაძის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ინჟ. ვ. ავალიანის მოხსენება „ტყის მრეწველობის მდგომარეობა ჩვენში და მისი განვითარების პერსპექტივები".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთელი სივრცის 30 პროც. ტყეებს უჭირავს და ამ მხრივ ის საკმაოდ მდიდარია; მარტო ყოველწლიური ნაზარდი უდრის 50 მილიონ კუბ. ფუტ. ხე-ტყის მასალას. მაგრამ გამოყენება მისი ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილობრივია: წლიურად ვიყენებთ სულ რკინისგზის ჩართვით 10 მილიონამდე კუბ. ფუტს.

ხის ჯიშებიდან ჩვენში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს (ძვირფას ჯიშების გარდა) წიფელს და სოჭს. წიფლიდან ამზადებენ კასრებს კარაქისთვის, გრეხილ ავეჯეულობას, შპალებს, საფეიქრო წარმოებისთვის საჭირო ნაწილებს, ხოლო სოჭი უმთავრესად იხმარება საყუთე მასალად და ძალიან გამოსადეგია აგრეთვე ქაღალდის წარმოებაში. ყველა ამ საგნებზე მოთხოვნილება ერთობ დიდია: რუსეთის კარაქისთვის ამჟამად საჭიროა 1.500.000 კასრი (5 წლიანი პერსპექტიული გეგმით ეს მოთხოვნილება გაიზრდება 3 მილიონამდე), გრეხილი ავეჯეულობა ფართოდ ვრცელდება, შპალებზე დიდი მოთხოვნილებაა, ყუთებზე მოთხოვნილება დიდია არა მარტო საქართველოში, არამედ პალესტინაში და ხმელთაშუა ზღვის სანაპირო სახელმწიფოებში; დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე კაპიტის მასალაზე ავიაციის და საზიდრების წარმოებაში (თვლები და სხვ.).

სატყეო მრეწველობა ჩვენში უკანასკნელ დრომდე მეტად დაბალ საფეხურზე იდგა; ხე-ტყის დამუშავება ხდებოდა უმთავრესად შინამრეწველურად, ტეხნიკურად მოწყობილი და ნაყოფიერი იყო ერთად-ერთი საჭილაო ქარხანა. ბოლო დროს ამ დარგს ყურადღება მიექცა და მისი ხვედრითი წონა დანარჩენ დარგებზე გაცილებით მეტია; ამჟამად სატყეო მრეწველობაში მექანიური ძრავების სიმძლავრე 2.246 ცხენის-ძალას უდრის, მაშინ, როდესაც 1913 წელს ის შეადგენდა მხოლოდ 817 ცხენის ძალას. აშენდა მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ქარხანა, ბორჯომის საკასრე ქარხანა, შამგონის ხე-ტყის ქარხანა, თბილისის სადურგლო სადგური და სხვ. მაგრამ ეს სატყეო მრეწველობის განვითარების მხოლოდ დასაწყისია. უახლოეს მომავალში განზრახულია ქარხნების აგება: ფოთში, ოზურგეთში (საკასრე), ბაღდადში და ახმეტაში (საკასრე და სხვ.), ნარჩენების გადასამუშავებლად (ბორჯომის ქარხანა 80 პროცენტამდე ნარჩენებს იძლევა) განზრახულია ქიმიური ქარხნების აგება ბორჯომში და ახმეტაში.

სატყეო მრეწველობის სათანადოდ განვითარებას ჩვენში ხელს უშლის საკმაო საბრუნავი თანხების უქონლობა (სატყეო მრეწველობას თავისი სპეციფიური ხასიათის გამო დიდძალი საბრუნავი თანხები სჭირია); დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს აგრეთვე კვალიფიციურ მომუშავეთა მეტის-მეტი სიმცირე და სხვ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მეცნიერება და ტეხნიკა

ელექტრო-ენერგიის გადაცემა რადიოთი

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგს ჯემს უატის (1736—1819) მიერ გაუმჯობესებულმა ორთქლის მანქანამ და იმავ საუკუნეში შემოღებულმა სხვადასხვა სამუშაო მანქანებმა (განსაკუთრებით სართავ-საქსოვი მანქანებმა) ევროპის და შემდეგ მის გარეშე ქვეყნებს ეკონომიკაში სამრეწველო რევოლიუცია მოახდინეს. და ამ მანქანების სამშობლომ—ინგლისმა „მსოფლიო სახელოსნო"-ს სახელწოდება დაიმსახურა იმ ხანად.

ჯემს უატის სიცოცხლეშივე ორთქლის ენერგია და ორთქლის მანქანა ფართო გამოყენებას პოულობს ტრანსპორტში. 1807 წელს რობერტ ფულტონმა ჯემს უატის მიერ სპეციალურად დამზადებულ ორთქლის მანქანით პირველათ აამუშავა ორთქლის ენერგიით მავალი გემი მდინარე გუდზონზე (შეერთებულ შტატებში). 1814 წელს კი გეორგ სტეფენსონმა მოაწყო პირველი ორთქლმავალი. ამ ორმა გამოგონებამ, რომელთაც საფუძვლად ორთქლის ენერგიის გამოყენება ედვა, მართალაც, რომ ნამდვილი რევოლიუცია მოახდინეს მიმოსვლის საქმეში.

საუკუნეზე მეტი დროის განმავლობაში ორთქლი განუსაზღვრელად ბატონობდა, ის მრეწველობის და განსაკუთრებით სატრანსპორტო ტეხნიკის საუკეთესო ბაზა იყო, მაგრამ წარსული საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც გამოგონებულ იქნა ელექტრო-ენერგიის წარმომშობი მანქანები და ორთქლის ენერგიას გაუჩნდა ძლიერი მეტოქე—ელექტრო ენერგიის სახით, უკანასკნელი უკვე სრულ გამარჯვებას ზეიმობს ორთქლზე. ორთქლი ჯერ კიდევ მაგრადაა მხოლოდ რკინის გზაზე.

ორთქლის ენერგიის საუკუნე ელექტრო-ენერგიის საუკუნემ შესცვალა.

ამ მრავალ უპირატესობათა შორის, რომელთა მეოხებით ელექტრო-ენერგიას წილად ხვდა გამარჯვება. ერთი მთავარი ადგილი უკავია იმ გარემოებას, რომ მაშინ, როდესაც ორთქლის ენერგიის გამოყენება ენერგიის წყაროდან დაშორებულ მანძილზე შეუძლებელია, ელექტრო-ენერგია შეიძლება გადაცემული იქნეს რამდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზე.

ელექტრო-ენერგიის გადაცემის პირველი ცდა ფრანგმა ფონტენმა მოახდინა ვენაში 1873 წ. გადაცემის მანძილი რამდენიმე ასს მეტრს უდრიდა. 10 წლის შემდეგ მარსელ დეპრემ ენერგიის გადაცემის ცდა მოახდინა ქ. მისბახსა და ფრანკფურტს შუა 75 კილომეტრის მანძილზე. მარსელ დეპრე ამის შემდეგ კვლავ განაგრძობს ცდებს. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ქ. გრენობლის თვითმმართველობის დავალებით შესრულებული მუშაობა ელექტ.-ენერგიის მანძილზე გადაცემის საკითხის გამოსაკვლევად. ტრანსფორმატორების გამოგონების და მუდმივ დენის ცვალებად დენით შეცვლის შემდეგ 1891 წელს ფრანკფურტის ელექტრო-ტეხნიკურ გამოფენის დროს წარმოებულმა ცდებმა საბოლოოთ ცხადჰყვეს ელექტრო-ენერგიის დიდ მანძილზე გადაცემის ტეხნიკური შესაძლებლობა და ხელსაყრელობა.

ამის შემდეგ ელექტრო-ენერგია ფართო გამოყენებას პოულობს მრეწველობის და ტეხნიკის ყოველ დარგში. ელექტრო-ენერგიის უპირატესობა ორთქლის ენერგიასთან შედარებით მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შესაძლებელია მისი გადაცემა რამდენიმე ასეულ კილომეტრის მანძილზე, არამედ ელექტრო-ენერგიის კიდევ იმ საკვირველ თვისებაში, რომ მისი გადაცემა ხდება უმავთულოთაც. ასეთი გადაცემა განხორციელებულია რადიო-ტეხნიკაში. ყოველმა ჩვენთაგანმა იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია რადიო-ტეხნიკამ უკანასკნელ ხანებში. რადიო-ტეხნიკის, რადიო-ტელეგრაფის გარდა განხორციელებულია რადიო-სურათების გადაცემა და რადიო-ტელემექანიკა, ე. ი. სხვადასხვა მანქანათა, მექანიზმების მართვა შორიდან.

რადიო-გადაცემის დროს მართალია მავთულები არ იხმარება და გადაცემა ათას კილომეტრების სიშორეზე სწარმოებს. მაგრამ ასეთ გადაცემის დროს. ენერგიის ოდენობა იმდენად მცირეა, რომ ჯეროვანად ლაპარაკიც არ შეიძლება მის სამრეწველო მნიშვნელობის შესახებ.

სწავლულნი და ტეხნიკოსნი მიზნათ ისახავენ ისეთ საშუალებათა და მოწყობილობათა გამოგონებას, რომელთა წყალობით შესაძლებელი გახდება სამრეწველო მიზნებისათვის საკმაო ელექტრო-ენერგიის გადაცემა უმავთულოდ. ამ დარგში მუშაობდნენ და მუშაობენ ისეთი ცნობილი გამომგონებელნი, როგორიც არიან: **ედისონი, ტესლა** და სხვანი. ელექტრო-ენერგიის რადიო-გადაცემის საკითხი ამ უკანასკნელ ხანებში თეორიულ შესწავლა-კვლევიდან უკვე ცდებზე და ზოგიერთ პროექტთა დემონსტრაციაზე გადავიდა. ნიუ-იორკის ელექტრო საზოგადოებაში ორმა ინჟინერმა **ტომასმა** და **რენტშლერმა** ელექტრო ენერგიის რადიო-გადაცემის დემონსტრაცია მოახდინა. მათი ცდა მდგომარეობდა იმაში, რომ დიდ სიხშირის რადიო-ტალღების საშუალებით შორ მანძილიდან აანთეს ელექტრო-ლამპები. ინჟინერმა **რენტშლერმა** მოაწყო რადიო-ღუმელი, რომელშიაც ყველაზე ძნელად გასადნობი ლითონი—ვოლფრამი მყის ხურდება რადიო-ტალღათა საშუალებით. მსგავს ცდებს აწარმოებენ არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებშიაც.

ელექტრო-ენერგიის გადაცემა რადიოთი რომ არც ისე შორეული მომავლის საქმეა და სავსებით განსახორციელებელი, ამის თავდებად ისეთ ავტორიტეტთა მოწმობა და მუშაობა, როგორიც **მარკონი** და **ტესლაა**.

და როდესაც სამრეწველო მიზნებისათვის საკმაო ელექტრო-ენერგიის რადიოთი გადაცემის პრობლემა პრაქტიკულად გადაიჭრება, როდესაც სადღაც შორს მდებარე ელექტრო-სადგურიდან რადიოთი გადაცემული ელექტრო-ენერგიით ამუშავდებიან ასეული კილომეტრის მანძილზე მდებარე ფაბრიკა-ქარხნები, ეს იქნება ადამიანის გონების უდიდესი გამარჯვების დღე და მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბუნების ძალთა შემდგომი დამორჩილება-გამოყენების საქმეში.

პ. გ—ძე.

სინათლე უჩრდილოთ

საოპერაციო დარბაზი—ყველაზე ნათელი ოთახი უნდა იყოს ყველა საავადმყოფოებში. დიდი ფანჯრები და ზოგჯერ მთელი კედლები მინიდან (ზოგან კიდევ მინის ჭერი) მიზნათ ისახავენ იმას, რომ ქირურგიისათვის რაც შეიძლება უკეთ იყოს განათებული „საოპერაციო არე", ე. ი. სხეულის ის ნაწილი, რომელიც ოპერაციას საჭიროებს.

ოპერაციებისათვის, რომელსაც საღამოს ან ღამით აკეთებენ, შემოღებულია ძლიერი ელექტრონული განათება, მაგრამ უკანასკნელი ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მისი მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ექიმებს მუშაობის დროს დახრა უხდებათ და ამ დროს ფარავენ სინათლეს.

ცეისის ცნობილმა ფირმამ (გერმანიაშია) საოპერაციო დარბაზებისათვის გამოუშვა სპეციალური ლამპა, რომელიც არ იძლევა ჩრდილს.

ლამპის მოქმედების პრინციპი ასეთია: იგი (ლამპა) მოთავსებულია მოვერცხლილი რეფლექტორის (სარკის) შუაგულში, რომელსაც ნახევარ სფეროს ფორმა აქვს. მეორე აბაჟური უფრო ნაკლები ზომისაა, რომელიც ქვევით მიმართულ სხივებს ზევით ისვრის. დიდი რეფლექტორის მიერ განატყორცნი ყველა სინათლის სხივები წარმოშობენ კონუსს, რომლის წვერი ქვევით არის მიმართული. ეს სხივები გროვდება პატარა სივრცეზე. რომელიც, ამგვარად, ძლიერ არის განათებული. ექიმი, რომელიც ოპერაციას აკეთებს, თავისი ტანით შეუძლია დაფაროს სინათლის მხოლოდ ნაწილი, მაგრამ დანარჩენი სხივები მაინც ანათებენ საოპერაციო ადგილს, რადგან ისინი არ იფანტებიან, არამედ ერთ ადგილისაკენ არიან მიმართული.

ცეისის ფირმის მიერ დამზადებულმა ლამპამ გადასჭრა უჩრდილო სინათლის მიღების ამოცანა, მაგრამ წარმოიშვა ახალი დაბრკოლება. აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივი ლამპა ამ მიზნისათვის გამოუსადეგარია. სინათლის სხივებთან ერთად ლამპა გამოჰყოფს სითბოს სხივებსაც, რომელნიც, ერთ წერტილში შეკრებილნი რეფლექტორის მიერ, ძლიერ აღიდებენ ტემპერატურას, რაც სრულიად დაუშვებელია ღია ჭრილობის დროს.

ამიტომ ცეისის სპეციალური საოპერაციო ლამპა დამზადებულია შუშიდან, რომელშიც შედის რკინის ჟანგი. ასეთი შუშა გამჭვირვალეც არის და მთლიანად აკავებს სითბოს სხივებს. ცდების დროს ასეთი ლამპის ქვეშ საოპერაციო მაგიდაზე მოთავსებულმა თერმომეტრმა 3 საათის განმავლობაში უჩვენა ტემპერატურის გადიდება მხოლოდ 6 გრადუსით, რაც სავსებით მისაღებია. ჩვეულებრივი (თანაბარი სიძლიერის) ლამპა ასეთივე დროის განმავლობაში ტემპერატურას გაადიდებდა 42 გრადუსით.

„გრაფ ცეპელინი"-ს გადაფრენა ამერიკაში

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან გერმანიის ახალმა უდიდესმა დირიჟაბლმა „გრაფ ცეპელინ"-მა წარმატებით დაასრულა გადაფრენა ევროპიდან შეერთებულ შტატებში. სურათზე—„გრაფ ცეპელინი" ბოდენის (გერმანია) ტბაზე გადაფრენის დროს.

ელექტრონის „ადამიანი"

ამ რამდენიმე ხნის წინათ გაზეთებმა მოიტანა ცნობა, რომ ამერიკელმა ინჟინერებმა შესძლეს დამზადება ელექტრონის „ადამიანის", რომელსაც ესმის ადამიანის სიტყვა, ე. ი. ასრულებს ზოგიერთ იოლ განკარგულებებს, რომელთაც მას აძლევს „მისი პატრონი". გასაგებია ინტერესი, რომელიც ამ ცნობამ გამოიწვია, ბევრს ფანტაზია აუთამაშა და გადაჭარბებული იმედები დაუბადა. ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები ისეთ აბსურდამდისაც კი მივიდნენ, თითქო ელექტრონის „ადამიანების" საშუალებით შეიძლება ბოლოს მოღება გაფიცვებისათვის—გაფიცულ მუშების შეცვლა მექანიკურ შტრეიკბრეხერებით. სინამდვილეს კი არაფერი საერთო არა აქვს რევოლიუციის აჩრდილით დამფრთხალ ბურჟუაზიული გაზეთების ამ ფანტაზიასთან. ელექტრონის „ადამიანი" წარმოადგენს ჩვეულებრივ ავტომატს, რომელსაც შეუძლია მხოლოდ იმ განკარგულებების შესრულება, რომელთა მექანიზმი ჩადგმულია მის შიგნით. ელექტრონულ ადამიანის მთელი განსხვავება სხვა ავტომატებიდან იმაში მდგომარეობს, რომ მას „ესმის" ზოგიერთი ფრაზები. ხდება ეს იმის წყალობით, რომ მექანიკურ ადამიანის შიგნით მოთავსებულია სპეციალური მოწყობილობანი, რომლებიც იღებენ (რადიო-მიმღების მსგავსად) განსაკუთრებული სიმაღლის ხმებს. ახლა ამერიკული გაზეთები იუწყებიან ელექტრონული „ადამიანის" ახალი „მიღწევების" შესახებ. ამერიკული გაზეთების ცნობით, ელექტრონულ „ადამიანს" უკვე „ასწავლეს" ლაპარაკი, ე. ი. მის შიგნით მოათავსეს ფონოგრაფი შესაფერი ფირფიტებით, რომელთა წყალობით ელექტრონის „ადამიანი" „გონიერ" პასუხს იძლევა განსაზღვრულ კითხვებზე.

ასეთი ელექტრონული ადამიანი, სახელწოდებით „ტელევოკს" „მსახურობს" შეერთებული შტატების ერთი დიდი ქალაქის წყალსადენზე. მისი „სამსახური" იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ ორ საათში ატყობინებს წყალსადენის სამმართველოს წყლის დონისა და შემჩნეულ უწესოების შესახებ. ასე მაგალითად, წყალის შეჩერების ან რეზერვუარების გავსების შემთხვევაში „ტელევოკსი" იღებს ტელეფონის მილს და ამ ამბავს ატყობინებს სამმართველოს. გარდა ამისა, „ტელევოკსი" იძლევა პასუხს ტელეფონით მიცემულ კითხვებზე—წყლის დონის, საერთო მდგომარეობის და სხ. შესახებ.

პირველ ხანებში „ტელევოკსი" ტელეფონით შეერთებული იყო ქალაქთანაც, ისე რომ ელექტრონის „ადამიანი" პასუხს აძლევდა ყველას, ვინც მის გამოძახებას მოინდომებდა, მაგრამ ჩქარა საჭირო შეიქნა ამ წესის გაუქმება. ქალაქში აღმოჩნდა იმდენი ცნობისმოყვარე, დაინტერესებული იმით, რომ გაეგონა „ტელევოკსის" პასუხი: „ალლო! გიპასუხებთ „ტელევოკსი" ნომერი ესა და ეს, წყლის დონე ამ დროისათვის ასეთი იყო" და სხვ., რომ ელექტრონული „კაცი" გაფუჭდა. ახლა „ტელევოკსი" ტელეფონით შეერთებულია მხოლოდ ცენტრალურ სამმართველოსთან და მუშაობს უნაკლოთ, როგორც „ავტომატი".

ნიუ-იორკის ქალაქის თვითმმართველობას განზრახული აქვს რამდენიმე „ტელევოკსი" მოათავსოს მიწის ქვეშა რკინის გზაზე—მოძრაობის მოსაწესრიგებლად.

აერომობილი

ამ რამდენიმე ხნის წინათ ინგლისში დამზადეს ახალი ტიპის აერომობილი, ე. ი. ავტომობილი, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს პროპელერს (საჰაერო ხრახნილს). ამ ავტომობილის მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის არ არსებობს ცუდი გზები: იგი თავისუფლად დადის ატალახებულ გზებზეც და ყინულზეც. აერომობილს შეუძლია დიდი სისწრაფის განვითარება.

პროფ. გოგენაუს აღმოჩენა

საერთაშორისო ენერგეტიულ კონფერენციაზე (ლონდონში) ბრაზილიის დელეგატმა პრ. გოგენაუმ გააკეთა მოხსენება მის მიერ აღმოჩენილ საშუალების შესახებ, რომელიც შესაძლებლად ხდის მჟავბადის გადაქცევას წყალბადათ. მომხსენებელმა განაცხადა, რომ წყალზე მაღალი ძაბვის ცვალებადი ელექტრო დენის საშუალებით ზეგავლენის მოხდენის წყალობით მოხერხდა იმ მჟავბადის გადაქცევა წყალბადათ, რომელსაც წყალი შეიცავდა. მომხსენებლის სიტყვით მან მოახერხა 16 ატომ წყალბადის მიღება ერთ ატომ მჟავბადიდან, რაც სავსებით ეთანხმება ატომურ თეორიას, რადგან მჟავბადის ატომური წონა 16-ჯერ აღემატება წყალბადის ატომურ წონას. წყალის მოლეკულა, როგორც ცნობილია, შესდგება წყალბადის ორი ატომისა და მჟავბადის ერთი ატომისაგან. ამრიგად წყალის ერთი ატომიდან პროფ. გოგენაუს მოუხერხებია წყალბადის 18 ატომის მიღება.

თეორიულად გოგენაუს აღმოჩენაში არაფერი არ არის არაჩვეულებრივი, ქიმიაში უკვე დიდი ხანია დამკვიდრებულია შეხედულება, რომლის თანახმად ყველა ე. წ. უმარტივესი ქიმიური ელემენტი წარმოადგენს ერთი ძირითადი ნივთიერების სხვადასხვა სახეობას. ბუნებაში ხდება ნივთიერების ნელ-ნელა დაშლისა და მისი სხვა მდგომარეობაში გადასვლის პროცესი. მაგრამ მკვლევარების ყველა ცდები, მიმართული ერთი ნივთიერების გადაქცევისკენ მეორე ნივთიერებათ, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ცდები ერთი ელემენტის გადაქცევისა მეორე ელემენტად, განუწყვეტლივ მარცხით თავდებოდა.

თუ პროფ. გოგენაუს ცნობა სწორია, მაშინ ამ აღმოჩენას ეპოქიური მნიშვნელობა ექნება. ღრმა თეორეტიულ ინტერესს გარდა, ეს აღმოჩენა დიდ პრაქტიკულ გამოყენებას ჰპოვებდა. საკმაოა მხოლოდ გავიხსენოთ, რომ კაცობრიობა იმყოფება სათბობ მასალების წყაროების დაშრეტის წინაშე, პროფ. გოგენაუს აღმოჩენა კი ჰქმნის ენერგიის დაუშრეტელ წყაროს — წყლიდან მოპოვებულ წყალბადის — უდიდესი თვისების

კინო-სურათების გადაღება მექანიკურად

მერილენდის უნივერსიტეტის (შეერთ. შტატებში) სტუდენტმა **კარლ კლარკმა** გამოიგონა აპარატი, რომელიც თავისით, ადამიანის მონაწილეობის გარეშე იღებს მცენარის ზრდის, ბაქტერიების ცხოვრების და სხვ. ამგვარ სურათებს.

აპარატი შესდგება კინო - აპარატიდან, მძლავრ მიკროსკოპიდან და ელექტრონულ საათიდან, რომელიც კვირაში ერთჯერ საჭიროებს მომართვას. ფოტო-კამერის ობიექტივი მიმართულია მიკროსკოპისკენ, რომლის გამადიდებელი შუშის ქვეშ მოთავსებულია ის, რისი გადაღებაც სურთ.

ელექტრონული საათი იმგვარად არის შეერთებული კინო-აპარატთან, რომ უკანასკნელის ობიექტივი იხსნება და იხურება განსაზღვრული დროის განმავლობაში და თითეულჯერ ერთ სურათს იღებს. კვირის დამლევისათვის, როცა საათი კვლავ უნდა მოიმართოს, უკვე გადაღებულია დიდი კინო-სურათი, რომელზედაც არაჩვეულებრივი თანამიმდევრობით არის აღბეჭდილი განვითარების ყველა ეტაპები, რომელიც გაიარა მცენარემ ან ბაქტერიამ.



ავიაციის განვითარება შეერთებულ შტატებში

ავიაციის განვითარებას შეერთებულ შტატებში შემდეგი ციფრები ახასიათებს. ამჟამად ბაზარზე გამოშვებულია 90 ტიპის აეროპლანები, დამზადებული 60 სხვადასხვა საავიაციო ფირმების მიერ. აეროპლანები ღირს 695 დოლარიდან (1.400 მანეთამდე) 60.000 დოლარამდე (120.000 მანეთამდე). 33 ტიპის აეროპლანებს გაკეთებული აქვს სპეციალური მუხრუჭები მიწაზე დაშვების დროს გასარბენი მანძილის შესამცირებლად. პატარა ზომის აეროპლანებს შორის ყურადღებას იპყრობს ჩიკაგოს ერთი საავიაციო ფირმის მიერ დამზადებული ერთი ადგილიანი აეროპლანი, რომელიც (უმგზავროთ) იწონის 275 ინგლისურ გირვანქას (ინგლისური გირვანქა შეიცავს 453 გრამს). მისი ფრთების სიგრძე სულ 7 მეტრს უდრის, მოტორის ძალოვნება—18 ცხ. ძალას. მიუხედავად მოტორის მცირე სიმძლავრისა აეროპლანს შეუძლია საათში 100 კილომეტრის გავლა. მეორე ასეთივე ტიპის აეროპლანის ფრთების სიგრძე 6 მეტრს უდრის, მასზე დადგმულია 25 ცხ. ძალიანი მოტორი და საათში შეუძლია 140 კილომეტრის გავლა. ასეთი აეროპლანი 1.165 დოლარი (2.320 მან.) ღირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების მუშაკთა მეშვიდე ყრილობა

მეორე დღე

27 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე განათლების მუშაკთა კავშირის სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. იობიძემ, რომელმაც ყრილობას მოკლეთ გააცნო სარევიზიო კომისიის მიერ ცენტრალური გამგეობის მუშაობის შემოწმების შედეგები. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ არავითარ შეუსაბამობას ცენტრალური გამგეობის საფინანსო მუშაობაში და ანგარიშწარმოებაში ადგილი არ ქონია, და მისი მუშაობა შეიძლება ჩაითვალოს სავსებით დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ დაიწყო კამათი ცენტრალურ გამგეობის მუშაობის გარშემო. სამი ორატორის გამოსვლის შემდეგ რიგ გარეშე სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა ამხ. ფ. მახარაძეს, რომელსაც ყრილობა ფეხზე ადგომით, მქუხარე ტაშის ცემით ეგებება.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

— მთავრობის სახელით გულწრფელ სალამს უძღვნი საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობას. მე არა ერთხელ მხვდომია წილათ გამოვსულიყავი თქვენს ყრილობაზე და მომეხსენებია ყრილობისათვის პარტიისა და მთავრობის აზრი განათლების მუშაკთა მდგომარეობასა და მუშაობაზე. ჩვენ შევხვედრივართ ერთმანეთს ისეთ დროსა და გარემოებაში, როცა ჩვენი ქვეყნის საერთო მდგომარეობა მეტათ მძიმე იყო. მიუხედავათ გაჭირვებისა, ჩვენ გამოგვინახავს ერთმანეთს შორის საერთო ენა. ეს იყო ურთიერთის გაგების ენა საბჭოთა ხელისუფლებისა და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს შორის. ცხადია, დღეს, როცა საერთო მდგომარეობა გაუმჯობესებულია, ქვეყანა ეკონომიურად და კულტურულად მოღონიერებულია; როცა საბჭოთა მთავრობას და მასწავლებლობას ერთი-მეორესთან აკავშირებს შეთანხმებული მუშაობისა და საერთო თანამშრომლობის რამოდენიმე წელი, დღეს ერთი-მეორის გაგება და მოსმენა უფრო ადვილია.

ადვილია, რადგან, მასწავლებლობა ხედავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების ერთი მთავარი საზრუნავი საგანთაგანი იყო და არის სახალხო განათლება და ამ განათლების გამტარებელი მასწავლებლობა. მთავრობას არაფერი არ დაუზოგავს, რომ აემაღლებია ჩვენი ხალხის განათლების დონე და გაეუმჯობესებია მათი ნივთიერი მდგომარეობა, ვინც ამ განათლების საქმეს ემსახურება. აშკარაა, რომ განათლების საქმეს წინსვლა ეტყობა, მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა წინ მიდის, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ამ დარგში ჯერ უფრო მეტია გასაკეთებელი, ვიდრე გაკეთებული. სახალხო განათლებაზე დღეს ჩვენში იხარჯება საკმაოდ დიდი თანხა, რომლის რაოდენობა 16-17 მილიონს აღწევს წლიურათ დ რომლის ხვედრითი წონა სახელმწიფო ბიუჯეტში 35-37 პროცენტს შეადგენს. მიუხედავათ ამისა, ჩვენი სახალხო განათლება არ არის ნივთიერად სავსებით უზრუნველყოფილი, ხოლო განათლების მუშაკთა ხელფასი დამაკმაყოფილებელი. ეს იმიტომ, რომ მოთხოვნილება განათლების მხრით განუზომელია, ხოლო სახსარი კი მეტათ განსაზღვრული. ჩვენ ყოველწლიურათ ვადიდებთ განათლებისთვის საჭირო ხარჯებს, მაგრამ ასი-ათასობით გადიდება შეუმჩნეველი რჩება იქ, სადაც მილიონებია საჭირო.

განათლებას ფართო განვითარების გზას გაუხსნის ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ზრდა, მისი ეკონომიური მოღონიერება. რამდენათაც ჩვენი მეურნეობა მაღალ დონეზე ავა, იმდენათ უფრო მტკიცე ნიადაგზე დადგება სახალხო განათლება, იმდენათ უფრო გაუმჯობესდება განათლების მუშაკთა მდგომარეობა. ვიდრე ჩვენი ხელისუფლება ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდის, ვიდრე იგი უძლურია სავსებით დააკმაყოფილოს ჩვენი ხალხის კულტურულ საგანმანათლებლო საჭიროებანი, იგი საჭიროებს თქვენის მხრით დახმარებას და ხელის შეწყობას.

განათლების საქმეში ბევრი რამ არის ისეთი გასაკეთებელი, რომელსაც იმდენათ ფული არ სჭირია, რამდენათ სოფლის კულტურულ მუშაკის—მასწავლებლის ყურადღება. ჩვენი მასწავლებლების დიდი უმრავლესობა სოფლად მოთავსებულია დანგრეულ—უვარგის შენობებში, სადაც ხშირათ მეცადინეობა დიდ გასაჭირს წარმოადგენს.

რასაკვირველია, შენობების აგება, მათი კაპიტალური შეკეთება, მასწავლებლების პირადათ მოვალეობას არ შეადგენს, ჩვენ ვერ მოვსთხოვთ მათ ამას, მაგრამ დღევანდელი მასწავლებელი—არაა ძველებური ჩინოვნიკი; მასწავლებელი—საზოგადო მუშაკი ვალდებულია ჩვენი სკოლის საქმე, ჩვენი სასწავლებლების შენობებით უზრუნველყოფის საქმე გახადოს მოსახლეობის—გლეხობის საზრუნავ საგნათ. მასწავლებლების თვითმოქმედებით, მისი თაოსნობით ბევრი რამ ისეთი შეიძლება გაკეთდეს, რითაც საჭიროა მხოლოდ დაინტერესება და მონდომება. მაგრა დიდი თანხაა საჭირო მინების ჩასასმელად ფანჯრებში, ჩამონგრეულ ჭერ-იატაკის შესაკეთებლად, ან სასწავლებლისათვის შეშის მოსამარაგებლათ. ასეთი პატარა საქმის გაკეთება ყოველთვის შეუძლია მასწავლებელს, თუ მას სურვილი ექნება.

მაგრამ არც ის არის საკმაო, რომ მასწავლებლობამ მხოლოდ თავის სკოლაზე ზრუნვით განსაზღვროს თავისი საქმიანობა.

ჩვენი გლეხობის დაბალი კულტურული დონე, წერა-კითხვის მასიური უცოდინარობა მის წინაშე დიდ სამოქმედო ასპარეზს შლის. კულტურული რევოლიუცია, რომლისთვისაც ჩვენ ვიღწვით, შეუძლებელია, თუ ჩვენმა გლეხობამ თავი არ დააღწია იმ ძველ ჩვეულებებს, რომელიც მის წინსვლას ბორკავს და ძირშივე კლავს ყოველგვარ კულტურულ თაოსნობას.

დღეს სოფლად ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება იხსნება, ეწყობა მრავალგვარი კუთხეები და წრეები, მაგრამ ხშირათ ეს გარეგნულ ხასიათს ატარებს. ეს კუთხეები-წრეები მორთულია ათასნაირათ, მაგრამ ამავე დროს ის ბინა, სადაც ეს კულტურული დაწესებულებებია მოთავსებული, მტვერითა და ტალახით არის სავსე. წიგნთსაცავ-სამკითხველოებში ხშირათ უხვათაა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ უქმათ მიყრილ-მოყრილს მხოლოთ სქელი მტვერი ფარავს. ცხადია ყველაფერი ეს არის არა მარტო ჩვენი გლეხობის გაუნათლებლობის, არამედ სოფლად მომუშავე ინტელიგენციის უყურადღებობის შედეგი. ამას შეიძლება ბოლო მოეღოს მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლობა თავის ამოცანათ დაისახავს ფართო საზოგადოებრივ მუშაობას სოფლათ. თუ იგი თავის გარშემო დარაზმავს, შემოკრებს სოფლის კულტურულ და მოწინავე ელემენტებს; თუ ჩვენი მასწავლებლობა გამსჭვალება იმ აზრით, რომ კულტურული რევოლიუციის მოხდენა იმდენათ ფულს არ მოითხოვს, რამდენათაც თავის მოვალეობის მტკიცე შეგნებას, პასუხისმგებლობას და დაუზარელ საქმიანობას.

თქვენი კავშირი მრავალრიცხოვან ორგანიზაციას წარმოადგენს. 20 ათასზე მეტი შეგნებული ინტელიგენტი არა დაქსაქსული, არამედ ერთ მთლიან ორგანიზაციაში ერთი საერთო მისწრაფების გარშემო გაერთიანებული—უდიდესი ძალაა, რომელსაც შეუძლია ადვილათ დასძლიოს მრავალი დაბრკოლება, რომელიც კულტურულ რევოლიუციის საქმეს აფერხებს. ეს დიდი ძალა ვალდებულია დაეხმაროს ხელისუფლებას ჩვენი მშრომელი ხალხის კულტურული და ეკონომიური აღორძინების საქმეში. იგი მოვალეა გვერდში ამოუდგეს მას, და უვიცობის, მავნე ზნე-ჩვეულებების, ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრით გასწმინდოს გზა კულტურული რევოლიუციისათვის. იგი მოვალეა დაუნდობლათ შეებრძოლოს ჩვენი ცხოვრების ყოველგვარ უარყოფით მოვლენებს და თვითკრიტიკის ძლიერი იარაღით ხელი შეუწყოს მთავრობის მიერ გაჩაღებულ კულტურულ და სამეურნეო აღმშენებლობას. მხოლოდ ასეთი თანამშრომლობით შეგვიძლია ავაყვავოთ და გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყანა (მქუხარე ტაში).

შემდეგ სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა ამხ. ლ. ღოღობერიძეს.

ამხ. ლ. ღოღობერიძის სიტყვა

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალე მივესალმები განათლების მუშაკთა ყრილობას და ნებას მივცემ ჩემს თავს შევჩერდე ზოგიერთ ისეთ საკითხებზე, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ყრილობის მუშაობასთან.

უდავოა, რომ კულტურის ფრონტზე ჩვენ გვაქვს ბევრი მიღწევები. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ არც ერთ დროს, არც ერთ რეჟიმში კულტურის ფრონტზე არ გაკეთებულა იმდენი, რამდენიც თავის ხანმოკლე არსებობის დროს გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში, მაგრამ ჩვენ ეს არ გვეყოფნის საკმარისათ და ვაღიარებთ, რომ ჩვენ ნახევარიც არ გაგვიკეთებია იმისა, რასაც ჩვენგან მოითხოვს ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარება.

იმასაც, რაც ჩვენ გაგვიკეთებია ახასიათებს მრავალი ნაკლი, რომლის დაფარვა ჩვენთვის მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა. სასაცილოა იმის მტკიცება, თითქოს ჩვენ ნაკლი არ მოგვეპოვებოდეს, განსაკუთრებით სოფლად, სადაც მთავრობის სწორი პოლიტიკა ზოგჯერ მრუდეთ ტარდება. ჩვენი მოვალეობაა ყურადღებით შევჩერდეთ ამ ნაკლოვანებებზე.

პირველი, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს ეს არის ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის კვალიფიკაციის ძალზე ჩამოქვეითება. საშუალო სასწავლებელდამთავრებულთა მომზადების დონე იმდენათ დაბალია, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს სრულიად ელემენტარულ მოთხოვნილებებს. უკანასკნელმა გამოცდებმა სახელმწიფო უნივერსიტეტში მეტათ დამაფიქრებელი შედეგები მოგვცა. ახალგაზრდობას არა თუ რუსული ენა არ ემარჯვება, იგი ვერ ერკვევა უბრალო არითმეტიკულ წესებში. დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ წელს გარდა თბილისისა და ორიოდე ქალაქისა სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული უვიცობის გამო ვერ მოხვდნენ ჩვენი დაბა-ქალაქების 9 წლედდამთავრებულნი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ჩვენს სკოლებში სწავლების საქმე სასურველათ ვერ არის დაყენებული.

რა არის ამის მიზეზი? უპირველეს ყოვლისა ის, რომ ჩვენი სასწავლებლების მოწაფეთა შორის დისციპლინა ძალზე დაეცა, ახალგაზრდობამ თავი აიშვა, გათამამდა, ანგარიშს არ უწევს და არ ემორჩილება სასკოლო წესებს.

ეს ითქმის არა მარტო უპარტიოებზე, არამედ კომკავშირელებზედაც, რომელთაც პარტიული ბილეთი ჯიბეში მიაჩნიათ ყველაფრად და სწავლა-მეცადინეობას ზედმეტ ბარგად სთვლიან. ამ უდისციპლინობას, ახალგაზრდობის ურჩობას და თვითნებობას ბოლო უნდა მოეღოს.

ამიერიდან ჩვენ ვავალებთ სოფლად და ქალაქად მომუშავე პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს დაეხმარონ მასწავლებლობას დისციპლინის შემოღებასა და განმტკიცებაში.

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის მოუმზადებლობის მეორე მიზეზი არის თვით მასწავლებელთა კვალიფიკაციის ჩამოქვეითება. მაშინ, როცა საშუალო სასწავლებლების რიცხვი საქართველოში გაორკეცდა, მომზადებულ კვალიფიციურ მასწავლებელთა რაოდენობა შემცირდა. ბევრმა რუსმა პედაგოგმა, რომელიც ჩვენს საშუალო სასწავლებლებში მუშაობდა, სასწავლებლების ნაციონალიზაციის შემდეგ დასტოვა ჩვენი ქვეყანა. ამის გამო ძველი საშუალო სასწავლებლები და აგრეთვე ახლად გახსნილი, ჩვენ შევავსეთ ახალი პედაგოგიური ძალებით, რომელთაც რასაკვირველია, არა აქვთ საკმაო მომზადება და გამოცდილება.

მეორე მხრივ არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის, რომ ჩვენ ვატარებთ ჩვენი სკოლების კომუნიზაციას. ჩვენ იქ ვგზავნით კომკავშირელ ახალგაზრდობას, რომელნიც თავის პედაგოგიური მომზადებით ჩამორჩებიან ძველ გამოცდილ პედაგოგებს. სამწუხარო ის არის, რომ ძველი მასწავლებლები არ ეხმარებიან, არ შველიან ახალგაზრდა პედაგოგებს, რომელნიც პირველ ხანებში მაინც აუცილებლად საჭიროებენ გზის გაკვლევას. ასეთი გულგრილობა ახალგაზრდა პედაგოგებისადმი, რომელნიც ჩვენს სასწავლებლებში წარგზავნილნი არიან ახალი კომუნისტური პრინციპების განსამტკიცებლად, არ ეპატიებათ ძველ მუშაკებს. ძველი პედაგოგ-მუშაკებს მეორე დიდი ნაკლიც ახასიათებს: ეს არის ნაკლებ დაინტერესება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებით. მასწავლებელი, რომელიც ვერ ერკვევა ყოველდღიურ საჭირბოროტო პოლიტიკურ საკითხებში და გულგრილად ხვდება საზოგადოებრივ მოვლენებს, ჩვენი სკოლისთვის შეუფერებელია.

მეორე საკითხი, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს, არის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება მასწავლებლობასთან. უდავოა, რომ მასწავლებლობის დიდი უმრავლესობა პატიოსნათ და სრული შეგნებით მუშაობს განათლების ფრონტზე, მაგრამ მასწავლებლებს შორის არიან ჯგუფები. რომელნიც დღემდე ვერ შერიგებიან საბჭოთა ხელისუფლებას და ისევ შავი ზღვისკენ იცქირებიან. ეს მცირე ჯგუფი მასწავლებლობისა კუდში მისდევს ანტისაბჭოთა ელემენტებს ქალაქში, კულაკობას სოფლად და ხშირად ხდება მისი ზრახვების გამომხატველი.

არის მეორე ჯგუფიც ჩვენს მასწავლებლობაში,—ჯგუფი, რომელიც განზეა გამდგარი: მას ჩვენი კარგი არ ახარებს, ჩვენი შეცდომა არ აღონებს. ჩვენ ასეთი ტიპის მასწავლებლებს ვერ ჩავაბარებთ ჩვენს ახალ თაობას. ჩვენ ისინი ვერ მოგვცემენ მუშაკებს ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის. ჩვენ მათ დაუნდობლათ შევებრძოლებით და ვაიძულებთ დასტოვონ სასწავლებელი.

ჩვენ ვერ შეურიგდებით მასწავლებელს, რომელიც განზე უდგას იმ დიდ მოძრაობას, რომელსაც სოფლად აქვს ადგილი.

რად ღირს ის მასწავლებელი, რომელსაც არაფრად მიაჩნია ჩვენი სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია, ჩვენი გლეხობის კოოპერატიული შეკავშირება, მშრომელთა მასების კულტურული დაწინაურება?

ჩვენ მასწავლებელს ვთხოვთ, რომ იგი ამავე დროს საზოგადო მუშაკიც იყოს, რომელიც გლეხს უნდა დაეხმაროს არა ვისიმე დავალებით, არამედ საკუთარი ინიციატივით, საკუთარი მოწოდებით.

საბჭოთა ხელისუფლება მასწავლებელს თვლის საუკეთესო დამხმარე ძალათ სოფელში და ეს ნდობა მან უნდა გაამართლოს.

ჩვენ მოუწოდებთ მასწავლებლობას გააკრიტიკოს, ამხილოს და გამოაშკარავოს ჩვენი მუშაობის ყველა ცუდი მხარეები, მოურიდებლათ გვითხრას ჩვენი შეცდომები და ნაკლოვანებანი. ჩვენ ყურადღებით მოვისმენთ მას, მის კრიტიკას, რომელიც გამოწვეული იქნება ერთად-ერთი სურვილით, გაუმჯობესდეს და განვითარდეს ჩვენ მიერ წარმოებული მუშაობა ჩვენი ქვეყნის კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის (ტაში).

ამხ. ლ. ღოღობერიძის სიტყვით დამთავრდა საღამოს სხდომა.

მესამე დღე

კვირას, 28 ოქტომბერს, განათლების მუშაკთა ყრილობის სხდომა, პროფკავშირთა სამხედრო ლაშქრობის და კომკავშირის ათი წლის თავის დღესასწაულის გამო, არ შედგარა.

ორშაბათს, დილით დაიწყო კამათი ცენტრალურ გამგეობის საანგარიშო მოხსენების გარშემო.

კამათი ცენტრ. გამგეობის მოხსენების გარშემო

კამათში გამოსული ამხანაგები შეეხენ ცენტრალურ გამგეობის საორგანიზაციო და სატარიფო-ეკონომიური მუშაობის ნაკლოვანებებს, მასწავლებელთა უფლებრივ მდგომარეობას, მასწავლებელთა კულტურულ საზოგადოებრივ მუშაობის საკითხებს და სხვ.

ამხ. ვლ. ზამბახიძე

ამხ. ზამბახიძე აღნიშნავს რა ც. გ. მიღწევებს საორგანიზაციო დარგში, ამბობს: საკავშირო მასის გულგრილობა პროფმუშაობისადმი ამჟამად უკვე დაძლეულია. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ პროფმუშაობამ განათლების მუშაკთა შორის მასიური ხასიათი მიიღოს. მასის დაინტერესება პროფმუშაობით შეიძლება ერთი მხრივ მასწავლებლობის ნივთიერი უზრუნველყოფით და მეორე მხრივ მასის ჩაბმით საწარმოო თათბირებში. თუ მასწავლებლობა ხელფასით იმდენად იქნება უზრუნველყოფილი, რომ მან თავის სამსახურის გარეშე სხვა სამუშაოს ძებნა არ დასჭირდება, იგი ხალისით მიიღებს მონაწილეობას, როგორც პროფესიონალურ, ისე სხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში. განსაკუთრებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ოთხ წლედის მასწავლებელთა ხელფასის გადიდებას, რადგან უფრო ხშირად საპროფკავშირო მუშაობა მათ უხდებათ. შემდეგ, ორატორი აღნიშნავს კოლხელშეკრულებათა დარღვევის ფაქტებს, ხელფასის დარიგების დაგვიანებას, კულტმუშაობის სისუსტეს ადგილებზე და ბოლოს ვრცლად ჩერდება მასწავლებლების უფლებრივ მდგომარეობაზე, რომელიც, მისი აზრით, ბევრ ადგილას დამაკმაყოფილებელი არ არის. მასწავლებლობის უფლებების დაცვის საქმეში ორატორის აზრით, აქტივობა გამოიჩინა ჟურნალმა „განათლების მუშაკმა", რომელმაც რამოდენიმე მამხილებელი ხასიათის წერილი მოათავსა. ამავე ჟურნალმა გამოაშკარავა მეთოდბიუროს მუშაობის ნაკლოვანებანი. ერთი სიტყვით, ჟურნალს სწორი ხაზი აქვს აღებული და საკავშირო მასის მოვალეობაა ხელი შეუწყოს მის გავრცელებას. შემდეგ ორატორი ეხება მასწავლებელთა უბინაობას და კავშირისგან მოითხოვს ენერგიული ზომების მიღებას მასწავლებელთა საბინაო კოოპერატიული შეკავშირებისთვის.

ამხ. წვერავა

ორატორი მოითხოვს, რომ განათლების მუშაკთა კავშირმა თვალყური ადევნოს საგამომცემლო საქმეს და ხმა აღიმაღლოს, როცა სახელგამი ჩვენი სოციალისტური მოძრაობისათვის მიუღებელ ნაწარმოებს სცემს, ხოლო განსახკომს ასეთი ნაწარმოები სკოლის სახელმძღვანელოთა სიაში შეაქვს.

ამხ. ბახტაძე
(ქუთაისის მაზრა)

ორატორი აღნიშნავს, რომ პროფკავშირის მიზნები და ამოცანები ნათლად წარმოდგენილი არა აქვს არა მარტო კავშირის უბრალო წევრს, არამედ ხშირად თვით ადგილკომებმაც არ იციან, თუ რა უნდა აკეთონ. საჭიროა პროფუცოდინარობის ლიკვიდაცია. შემდეგ, ორატორი მოითხოვს, რომ განათლების განყოფილებებს დაეკისროს განსაზღვრული თანხის გაღება კულტმუშაობისათვის.

ამხ. ფარქოსაძე
(შორაპნის მაზრა)

ორატორის აზრით განათლების მუშაკთა პროფკავშირი მცირერიცხოვანია და საჭიროა მუშაობის გაძლიერება ახალი კადრების მოსამზადებლად. პროფმოძრაობის ხელმძღვანელად მაზრაში ერთი პირი საკმაო არ არის. საჭიროა ხელმძღვანელთა გადიდება, რომ მასწავლებლობა აქტიურად ჩაებას როგორც პროფმუშაობაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ამხ. ჯატიევი
(სამხრეთ-ოსეთი)

მასწავლებლობის ნაწილს აკლია პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მომზადება. ჩვენი ახალგაზრდობის კულტურული დონე გაიზარდა და ხშირად ძველი მასწავლებელი, რომელიც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებში ვერ ერკვევა, ახალგაზრდობის ცნობისმოყვარეობას ვერ აკმაყოფილებს. ასეთი მასწავლებლები უძლურია აგრეთვე, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ მუშაობაში და უხელმძღვანელოს გლეხობას სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების გადაჭრის დროს.

ამხ. ბოკერია
(თბილისი)

ორატორი ეხება მასწავლებლის საზოგადოებრივ როლს დღევანდელი სოფლის ცხოვრებაში. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, გლეხობის კოოპერატიული შეკავშირება და მისი პოლიტიკურ-კულტურული დონის ამაღლება ვერ მოხდება მასწავლებლის მონაწილეობის გარეშე, მაგრამ მასწავლებელს აკლია მომზადება. საჭიროა თვითგანვითარების გაძლიერება. მასწავლებლის ცოდნის ამაღლება აუცილებელია აგრეთვე იმისთვის, რომ მან მონაწილეობა მიიღოს ანტი-რელიგიურ პროპაგანდისა და სხვა მავნე ჩვეულებების აღმოფხვრაში. მხოლოდ გათვითცნობიერებული მასწავლებელი შეძლებს ინიციატივის გამოჩენას საზოგადოებრივ საკითხებში.

ამხ. ხუციძე
(კახეთის მაზრა)

ორატორი ეხება რა კახეთის ადმინისტრატიულ გაერთიანებას, საჭიროდ სცნობს, რომ შემდგომისათვის პროფორგანოების მოწყობა-ორგანიზაცია სწარმოებდეს ახალ ადმინისტრატიულ დაყოფასთან შეფარდებით.

ჩერდება რა მასწავლებლის საზოგადოებრივ მუშაობაზე, ორატორი საჭიროდ სცნობს, რომ მასწავლებლობას ამ დარგში ხელმძღვანელობა გაუწიოს კავშირმა. მისი აზრით, საჭიროა მოხდეს საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმულ მუშაკთა აღრიცხვა და მათი საზოგადოებრივ საქმიანობის გამოკვლევა. დასასრულ ორატორი მოითხოვს, რომ მეტი ყურადღება მიექცეს მასწავლებელთა დაწინაურების საკითხებს.

ტრ. ხუნდაძე
(თბილისი)

აღნიშნავს რა მიღწევებს, ორატორი ამბობს, რომ კავშირის მუშაობას ადგილებზე ახასიათებს მრავალი ნაკლი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ადგილკომებს ხშირად ირჩევენ შემთხვევით და შემთხვევითი პირებისაგან, რომელნიც ვერ ერკვევიან პროფმოძრაობის ელემენტარულ საკითხებში. ამის გამო ადგილკომს, განსაკუთრებით სოფლად, არა აქვს ავტორიტეტი არც ადმინისტრაციის და არც პროფკავშირის წევრებს შორის. ამით აიხსნება ის, რომ სულ უბრალო საქმის მოსაგვარებლად წევრი ან მაზრის პროფორგანოს მიმართავს, ან ცენტრს.

საზოგადოებრივ მასიურ მუშაობას ორატორის აზრით, აქვს კაზიონური, დავალებითი ხასიათი. მასწავლებლობა თავისი ინიციატივით ასეთ მუშაობაში მონაწილეობას არ ღებულობს. ამას ყურადღება უნდა მიექცეს და მასწავლებლებისათვის უნდა შეიქმნას სათანადო პირობები. საჭიროა მასწავლებელი ჩაებათ საწარმოო თათბირებში. შემდეგ ორატორი აღნიშნავს კოლექტიურ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევებს, მასწავლებლების უფლებრივ მდგომარეობის შელახვას და სხვ.

ამხ. გალასიანი
(თბილისი)

ორატორი მოითხოვს, რომ ხელფასის მომატების დროს ყურადღება მიექცეს ყველა საფეხურის მასწავლებლებს, და იგი იმ დონემდე იქნეს აყვანილი, რომელიც საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებში არსებობს. შემდეგ ორატორი საჭიროდ სცნობს, რომ კავშირმა იზრუნოს მასწავლებლობისათვის საბინაო საკითხის მოსაგვარებლად და გადადგას ნაბიჯი საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა მოსაწყობად.

ამხ. თაგვაძე
(რაჭის მაზრა)

ორატორის აზრით, პროფმუშაობის გასაცხოველებლად ადგილებზე საჭიროა ადგილკომების ხშირი გამოკვლევა და პრაქტიკული ხელმძღვანელობა. ეხება რა მასწავლებელთა უფლებრივ მდგომარეობას, ორატორი ამბობს, რომ მასწავლებელთა მოხსნა-გადაყვანა ხშირად ხდება არა რაიმე პრინციპიალური მოსაზრებით, არამედ ადმინისტრატიული თანამდებობის პირთა სიმპატია-ანტიპატიით.

კოლექტიური ხელშეკრულება იდება ძალიან გვიან და შემდეგ არც სრულდება. მასწავლებლობა არაა წინააღმდეგი, რომ ხელფასი გაუდიდდეს მეორე საფეხურის სკოლის სასწავლებლებს, მაგრამ ერთი და იგივე კვალიფიკაციის პირი, განურჩევლად იმისა, მსახურობს იგი პირველი თუ მეორე საფეხურის სკოლაში, თანაბარ ხელფასს უნდა ღებულობდეს.

ამხ. გვარამია
(სენაკის მაზრა)

პროფმუშაობის ღირსების ასაწევად ორატორს საჭიროდ მიაჩნია ცოცხალი კავშირის გაძლიერება ძირითად ორგანოებთან და პროფაქტივის წინასწარი მომზადება. არა ცირკულიარების გადაგზავნა, არამედ ხანგრძლივი გამოკვლევა და ნაკლოვანების აღნიშვნა ადგილებზე გამოასწორებს ძირითად ორგანოების სუსტ მუშაობას. ორატორს ნაკლად მიაჩნია, რომ უმუშევართა ფონდი დღემდე გამოუყენებელია. მაშინ, როცა კავშირს ჰყავს ბევრი უმუშევარი წევრი, რომელიც სამსახურიდან მოხსნილია დაბალი კვალიფიკაციის გამო. მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ეს ფონდი მათ გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას მოხმარებოდა.

ამხ. ნინო ძიძიგური

ორატორს სწორათ არ მიაჩნია მასწავლებლობის უმრავლესობის საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების შეფასება ამხ. ლ. ღოღობერიძის მიერ, რომელიც აღნიშნავდა, თითქოს ძველი გამოცდილი მასწავლებლები გაურბოდნენ ახალგაზრდა პედაგოგების ხელმძღვანელობას. პირიქით ყოველი ძველი პედაგოგი სიხარულით ეგებება სოციალისტური მსოფლმხედველობით გამსჭვალულ ახალგაზრდობას მოსვლას სკოლაში და შეძლებისდაგვარათ ხელმძღვანელობს მის პედაგოგიურ მუშაობას.

შემდეგ ეხება რა მასწავლებელთა უფლებრივ მდგომარეობას, ორატორი ამბობს, რომ ხშირათ ინსტრუქტორები მასწავლებლების მიმართ ასრულებენ არა ინსტრუქტორის, არამედ რევიზორის როლს. კავშირის ც. გ. ღებულობს ზომებს მასწავლებელთა უფლების დასაცავათ, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა თვით მასების ამოძრავება და ამ საკითხის მასწავლებელთა საერთო კრებებზე გამოტანა.

თურქეთის რესპუბლიკის არსებობის 5 წლის თავი

საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს მისალმება

თურქეთის რესპუბლიკის არსებობის 5 წლის თავის შესრულების გამო საქ. ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ თურქეთის ვიცე-კონსულს თბილისში ბ. ხუსეინ-ბეის გაუგზავნეს შემდეგი შინაარსის მილოცვის წერილი.

ვიზიარებთ თქვენი ხალხის სიხარულს და ვუსურვებთ მას ბრწყინვალე მომავალს. გილოცავთ ბ-ნო ვიცე-კონსულო თურქეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკის არსებობის 5 წლის თავს და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქ. სახალხო კომისართა საბჭოს სახელით გთხოვთ გადასცეთ გულწრფელი სალამი ჩვენს მეგობარ თურქეთის ხალხს და თქვენს მთავრობას. ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ ორივე ქვეყნის შორის დამკვიდრებული მეგობრობა შემდეგისათვის კიდევ უფრო განმტკიცდება და გაღრმავდება.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

მეტეოროლოგიური ექსპედიცია მყინვარ-წვერზე

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ყაზბეგი, 29 ოქტომბერი

მეტეოროლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც გამოვიდა სტეფან-წმინდიდან 26 ოქტომბერს ორი ღამის თევის შემდეგ, 3000 და 4000 მეტრის სიმაღლეებზე. სცადა ასვლა მყინვარ-წვერზე და მიაღწია 4.800 მეტრის სიმაღლემდე, საიდანაც, მიუხედავად კარგი ამინდისა, მოგვიხდა დაბრუნება. მიზეზი ამისა ის იყო, რომ მზიდავებმა ვერ შესძლეს გზის გაგრძელება, იძულებული გავხდით მეტეოროლოგიური ბუდრუგანა დაგვეტოვებია იქვე დროებით და ასვლა კი გადაგვედო შემდეგი დღისათვის, მზიდავების ახალი შემადგენლობით. ტემპერატურა ჩვენი აქ ყოფნის განმავლობაში 14 გრადუს ყინვაზე მეტი არ ყოფილა. საღამოს ამინდი გაფუჭდა. დავიცდით ერთ დღეს.

ს. ჯაფარიძე.

სანავთსადგურო აღმშენებლობა

მოსკოვიდან დაბრუნდა ა.-კ. ნავთსადგურთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე და მთავარი ინჟინერი ნ. ნ. ჟუნკოვსკი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ ბათომის, ფოთის და სოხუმის ნავთსადგურებში ახალ სამუშაოების შესასრულებლად 1928—29 წლისათვის გადადებულია 2.068.000 მანეთი

ამ თანხებით შესრულებული იქნება შემდეგი სამუშაოები: ბათომის ნავთსადგურში, დამთავრდება ნავთის ჩასასხმელ გემების მისადგომი ჯებირის მოწყობა, რაზედაც დაიხარჯება 500.000 მანეთი; გარდა ამისა გაფართოებული იქნება მშრალი ტვირთების დასატვირთავი სანაპირო ხაზი, ამაზე დაიხარჯება 85.000 მანეთი; ბაქოს ქუჩის გადატანაზე ნავთსადგურის რაიონიდან დაიხარჯება 35.000 მან. 75.000 მანეთი გადადებულია ნავთსადგურის მუშა - მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელ სახლის ასაშენებლად. გადადებულია აგრეთვე თანხები ბურუნ-ტაბიეს რაიონში ჯებირის ასაგებათ.

100.000 მანეთი გადადებულია ფოთის ნავთსადგურის ჩრდილოეთის ჯებირის სააღმშენებლო სამუშაოების გასაგრძელებლად და 25.000 მანეთი მდ. რიონის ნაპირების გასამაგრებლად ფოთის რაიონში.

გზათა კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს გადადოს 100.000 მან. და საბჭოთა სავაჭრო ფლოტის სამმართველო კი გადადებს 150.000 მან.

ეს თანხა დაიხარჯება მისადგომის დასამთავრებლად. ეს სამუშაოები დასრულდება 1929 წლის 1 იანვარს.

გარდა ნავთსადგურებისათვის გადადებულ თანხებისა, შინა წყლებზე მიმოსვლის ცენტრალურ სამმართველოს მიერ გაცემულია 300.000 მანეთზე მეტი თანხა ა.-კ. შინა წყლებზე მიმოსვლის გაძლიერებისათვის.

აღნიშნულ კრედიტების მიღების გამო ა.-კ. ნავთსადგურების და შინაწყლებზე მიმოსვლის სამმართველოსთან მოწვეულ იქნა ნავთსადგურების უფროსების და მთავარი ინჟინრების თათბირი. თათბირზე შემუშავებულ იქნა ცალკე სამუშაოების წარმოების დეტალური გეგმები.

იაპონიის პარლამენტის წევრი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა იაპონიის პარლამენტის წევრი და იაპონიის ჩაის მრეწველთა ასოციაციის პრეზიდენტი **მაცუურა**. მასთან ერთად ჩამოვიდა ჩაის მრეწველთა ასოციაციის მდივანი **ა. საიგონო**.

იაპონიის პარლამენტის წევრმა **მაცუურამ**, იაპონია - საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ, ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— საბჭოთა კავშირში ჩემი ჩამოსვლის უმთავრეს მიზანს შეადგენს შევისწავლო ყველა ის მიზეზი, რომლებიც ხელს უშლიან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. ორივე ქვეყანას შორის. საჭიროა ითქვას, რომ გეოგრაფიულად იაპონია-საბჭ. კავშირს შორის განვითარებას არაფერი არ დაბრკოლებს, რომ ვაჭრობა ორივე ქვეყნებს შორის სწარმოებდეს მიუხედავათ იმისა, რომ სავაჭრო ხელშეკრულება არ არის დადებული. ჩემის აზრით, საჭიროა ორივე ქვეყნების სახელმწიფოს მოღვაწეებმა გადადგან შესაფერი ნაბიჯი, რომ სავაჭრო ხელშეკრულება დადებულ იქნეს რაც შეიძლება მოკლე დროში.

მე მაინტერესებს გავეცნო ახალ სამრეწველო მშენებლობას თქვენში და მის მოთხოვნილებებს. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ საბჭოთა კავშირში გაცილებით უფრო დიდი მასშტაბით სწარმოებს სამრეწველო აღმშენებლობა, ვიდრე ამაზე გვქონდა წარმოდგენა აქ გამომგზავრებამდე.

კერძოთ საქართველოში მე მაინტერესებს ჩაის მრეწველობასთან გაცნობა, რისთვისაც საზოგადოება „საქართველოს ჩაის" წარმომადგენლებთან, ერთად დავათვალიერებ ჩაის მეურნეობის ყველა რაიონებს.

ოქროს და ტყვიის მადნები საქართველოში

საქართველოს ცენტრ არქივის ქუთაისის განყოფილებაში აღმოჩნდა მასალები ოქროს, ვერცხლისა და ტყვიის მადნების და სხვათა შესახებ, საქართველოს ტერიტორიაზე.

ამ ცნობების შესახებ საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლ. საბჭოს სამთო განყოფილებაში შემდეგი განუცხადეს ამიერ - კავკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს:

„მასალები მადნეულობის ბუდობების შესახებ დიდ ინტერესს წარმოადგენენ, რადგან ამ მასალებში შეიძლება იყოს ცნობები წარსულ საუკუნეებში წარმოებულ დამუშავებათა შესახებ. რაც შეეხება ოქროს ქვიშნარების, ტყვიის მადნების და მთის ცვილის ადგილებს, ისინი აღნიშნულნი არიან იმ ცნობებში, რომლებიც შეეხება კავკასიისა და ამიერკავკასიის მადნეულობას და რომლებიც შედგენილია 1915 — 16 წლებში, და საქ. სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს სამთო განყოფილების უკანასკნელ ნაშრომებში.

ოქროს ქვიშნარები საქართველოში მდინარე ენგურზეა, მდ. მაშავერის აუზში და ლიუქსემბურგ - ვორონცოვკის რაიონში. პირველ ბუდობებს, უეჭველია, პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვთ, მეორე — ლუქსემბურგის რაიონში — დაწვრილებით გეოლოგიურად უნდა იქნას გამოკვლეული. ტყვიის მადნები, რომლებიც ძვირფას ლითონებს შეიცავენ, მდინარე დანბლუტის აუზშია. (მდ. მაშავერის შენაკადი, ბორჩალოს მაზრა); მათი დამუშავება სწარმოებდა საქართველოს მეფეების დროს.

მთის ცვილი ქუთაისის მაზრაშია, მისი ამოღება სწარმოებდა ომამდე შინაურული წესით.

გეოლოგიურ-საგამომკვლევო ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ყველა ამ რაიონის დეტალური გამოკვლევა.

რიონჰესის მშენებლობა

ამ დღეებში ქუთაისიდან დაბრუნებულმა საქ. სახ. მეურნეობის უმაღლ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ინჟ. ჭიჭინაძემ** შემდეგი განაცხადა რიონჰესის მშენებლობის შესახებ:

„მთავარი მუშაობა რიონჰესზე უკვე გაჩაღებულია. მშენებლობაში ჩაბმულია დაახლოებით 2.000 კაცი, რომლებიც სამ წყებად მუშაობენ. გვირაბის გათხრა სწრაფის ტემპით სწარმოებს ორივე მხრიდან და უკვე 100 მეტრზე მეტია გათხრილი. დაწყებულია მუშაობა მომწესრიგებელი აუზის მოსაწყობად.

პროექტით აუზის მარჯვენა ნაპირი უნდა დამთავრდეს ზაფხულის პერიოდამდე, რადგან წყალდიდობას შეუძლია ზარალი მიაყენოს მშენებლობას.

მიღებულია ზომები, რომ მშენებლობა უზრუნველყოფილ იქნას სამშენებლო მასალით. მიმდინარე წელს ნოვოროსიისკიდან უნდა მოვიდეს 50.000 კასრი ცემენტი.

მიმდინარე წელიწადი გადამწყვეტი წელიწადია რიონჰესის მშენებლობაში, რადგან წელს გაიმართება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოწყობილებანი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველა ადგილობრივი პირობა შესწავლილია, პროექტი ყველა დეტალს ითვალისწინებს და არავითარი საფრთხე არ მოელის მშენებლობას.

ცემენტის ქარხანა კასპში

22 ოქტომბერს საქართ. ს. მ. უ. ს. საბჭომ და ქარხნების მშენებლობის და პროექტების შედგენის საკავშირო სააქციო საზოგადოებამ („სტრომსტროი") დასდეს ხელშეკრულება სადგურ კასპში ცემენტის ქარხნის აგებისა და მოწყობის შესახებ. ხელშეკრულებით ქარხნის აგების ღირებულება განსაზღვრულია 4.200.000 მანეთით. 31 ოქტომბერს სადგურ კასპში მიემგზავრება კომისია „სტრომსტროი"-ს წარმომადგენელთა—ამხ. ივანოვის, სვიალეს, კოტიკის და ინჟ. მალოვის შემადგენლობით. კომისია საბოლოოდ შეადგენს ქარხნის აგების დეტალურ გეგმას დამტკიცებული პროექტის თანახმად.

ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით „სტრომსტროი"-ს გამგეობის თავმჯდომარემ, „ნოვოროსცემენტ"-ის გამგეობის ყოფილმა თავმჯდომარემ ამხ. **ივანოვმა** ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„ცემენტის ქარხნის მშენებლობა საქართველოში ამჟამად სავსებით უზრუნველყოფილია ცემენტის მიერ ამ მიზნისთვის გადადებული კრედიტებით და, რაც უმთავრესია, მთელი საჭირო მოწყობილებით. იმპერიალისტური ომის შემდეგ ეს იქნება ცემენტის პირველი ახალი ქარხანა საბჭოთა კავშირში".

ამხ. ივანოვი ამ ერთი თვის წინად ჩამოვიდა გერმანიიდან და დანიიდან, სადაც მონაწილეობას იღებდა მოწყობილების დაკვეთაში.

ამხ. ივანოვის სიტყვით, მოწყობილების მთავარი ნაწილი შეძენილია სმიტის ცნობილი ფირმისაგან (კოპენჰაგენი) და მისი მიღება დაიწყება 1929 წლის გაზაფხულიდან. მოწყობილების ზოგიერთი ნაწილი შესყიდულია ამლიუტერის ფირმისაგან (გერმანია). ბოგირის გზა შესყიდულია ცნობილი ბლეიხერის ფირმისაგან.

„მთელი ეს მოწყობილება—სთქვა ამხ. ივანოვმა—წარმოადგენს ცემენტის მრეწველობის ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას. ცემენტის ქარხანა კასპში საუკეთესოდ მოწყობილი წარმოება იქნება მთელ საბჭოთა კავშირში.

მუშაობა დაიწყება გაზაფხულიდან ისეთი მასშტაბით, რომ მთელი მშენებლობა დამთავრდეს არა უგვიანეს 1930 წლის 1 აპრილისა.

ქარხნის მშენებლობაში გაზაფხულიდან ჩაბმული იქნება 600-მდე მუშა. ქარხანა წლიურად დაამზადებს 600000 კასრ პორტლანდის ცემენტს. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ უახლოეს დროში ქარხნის ნაყოფიერება არა თუ მიაღწევს ამ ციფრს, არამედ რამდენამდე გადააჭარბებს კიდეც".

პროფკავშირების სამხედრო ლაშქრობა

როგორ ჩატარდა ლაშქრობა

28 ოქტომბერს პროფკავშირების ლაშქრობის დროს „წითლებისა" და „ლურჯების" მიერ ჩატარებულ იქნა ე. წ. შეხვედრითი ბრძოლა.

ლაშქრობის ხელმძღვანელების მიერ ბრძოლის ეს სახე იმიტომ იქნა ამორჩეული, რომ მოლაშქრენი უფრო ახლო და დაწვრილებით გასცნობოდნენ თანამედროვე ომის წარმოებას და სხვადასხვა ტეხნიკურ საშუალებების გამოყენებას ომში.

მონაწილენი დაყოფილი იქნენ ორ რაზმად, სახელწოდებით—„წითლები" და „ლურჯები". „წითლების" რაზმი შესდგებოდა ორი ქვეითი ლეგიონისაგან, „ლურჯების" რაზმი—ერთი ქვეითი ლეგიონისაგან, ცხენოსან ლეგიონის და ჯავშნიან ავტომობილების დამატებით.

ორივე მხარის შემადგენლობაში შედიოდა არტილერია.

მთელი ლაშქრობა დაყოფილი იყო რამდენიმე ეტაპად, როგორიც არის სალაშქრო მოძრაობა, დაახლოება, შეტევა და იერიში. მეცადინეობის დროს ნაჩვენები იქნა პარტიზანების და ავიაციის მოქმედება.

„წითლების" ლეგიონებმა 28 ოქტომბერს, დილის 6 საათსა და 30 წუთზე თავი მოიყარეს ა.-კ. ქვეითი სკოლის ეზოში და „დინამოს" სტადიონზე. დილის 8 საათისათვის დასრულდა ორგანიზაციული მუშაობა და ლეგიონები გაემგზავრნენ იმ პუნქტისაკენ, საიდანაც უნდა დაეწყოთ „საომარი" მოქმედება.

ალექსანდერდორფის გასწვრივ „წითლების" მესამე ლეგიონმა აიღო მიმართულება აღმოსავლეთით, მეორე ლეგიონი მოძრაობდა იმავე მიმართულებით, მთლად დაშორებული იყო მესამე ლეგიონიდან განსაზღვრული მანძილით.

ვინაიდან მოსალოდნელი იყო „შეტაკება" პარტიზანებთან, ამიტომ მოძრაობა სწარმოებდა ფრთხილად, ყველა საჭირო ზომების დაცვით.

მოძრაობის დროს მოხდა ცხენოსან პარტიზანების სამი „თავდასხმა". პარტიზანები ჩასაფრებულნი იყვნენ ახლო გორაკებში და უეცრივ მოახდინეს თავდასხმა „წითლების" ლეგიონზე.

როგორც პარტიზანების, ისე ლეგიონების მოქმედებები იყო საუკეთესო, მიუხედავათ იმისა, რომ პარტიზანების თავდასხმა იყო მოულოდნელი და სწრაფი, ლეგიონების არტილერიამ და ტყვიამფრქვევებმა დროზე გააჩაღეს ცეცხლი და მოიგერიეს პარტიზანები, რის შემდეგ განაგრძეს გზა სათანადო მიმართულებით.

სიმაღლიდან 297,1 დაიწყო დაახლოება, რისთვისაც ლეგიონების მიერ მიღებული იქნა საჭირო ზომები, წინ გაგზავნილი იქნა ძიება, თვით ლეგიონი დაიყო სამ ეშელონად. მოძრაობა სწარმოებდა შემდეგი წესით: თავში მიდიოდა დამცველი რაზმი, შემდეგ მოთავე რაზმი და მთავარი ძალები, რაზმის ბოლოში კი—სასურსათო ქარავანი, დამცველი რაზმი გაძლიერებული იყო ტყვიამფრქვევებით და არტილერიით.

დაახლოება შესრულებულ იქნა სათანადოთ. მოლაშქრეებს მეთაურებმა აუხსნეს დაახლოების ტეხნიკის ჩატარება, ძიების წარმოება და ჩატარებულ მეცადინეობის სხვა დამახასიათებელი თვისებები.

როდესაც ძიების მიერ აღმოჩენილი იქნა „მოწინააღმდეგე", „წითლებმა" დაიწყეს მზადება შეტევისათვის. ძეძვის მთის (სიმაღლე 299,5) ჩრდილოეთით ლეგიონები დანაწილდენ და დაიკავეს სათანადო ზღუდეები.

შეტევის დროს „ბრძოლაში" უახლოეს მონაწილეობას ღებულობდნენ არტილერია და მძიმე ტყვიამფრქვევები, რომლებიც უშენდენ ყუმბარებს აღმოჩენილ „მოწინააღმდეგს".

დღის 5 საათზე, როდესაც „წითლები" და „ლურჯები" მოუახლოვდნენ ერთი მეორეს მოკლე მანძილზე, დაიწყო იერიში.

„წითლები" დიდათ სჭარბობდნენ „ლურჯებს". მარჯვენა ფრთაზე „წითლებს" ჰქონდათ წარმატება და მოიგერიეს „ლურჯები". „ლურჯებმა" გამოიყენეს ცხენოსანი ნაწილები და ჯავშნიანი ავტომობილები და შესძლეს მდგომარეობის გამოსწორება და მიაღწიეს კიდეც საგრძნობ წარმატებას.

იერიში შესწყდა მთავარ ხელმძღვანელის მიერ ნიშანის მიცემით.

* * *

ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ჰაეროპლანები. მათ მიერ შესრულებულ იქნა საჰაერო ძიება, აერო-სურათების გადაღება და სხვა ამოცანები.

* * *

ლაშქრობას ხელმძღვანელობდა კავკ. წით. დრ. არმიის შტაბის უფროსი ამხ. **ალაფუზო**. პოლიტიკური ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა არმიის პოლიტსამმართველოს უფროსს ამხ. **ვასილიევს**.

ლაშქრობას დაესწრნენ ამხ. **მამია ორახელაშვილი, მიხა ცხაკაია, მარიამ ორახელაშვილი** და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრები.

ლაშქრობის დამთავრების შემდეგ ქალაქში რუსთაველის პროსპექტზე რაზმებს მიესალმენ ამხ. **მიხა ცხაკაია**, ამხ. **რუბენი**, ამხ. **ქართველიშვილი**, ამხ. **სუხიშვილი** და სხვ.

ს. ხ.

საუბარი ხელმძღვანელებთან

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში ლაშქრობის მსვლელობის და შედეგების შესახებ ლაშქრობის მთავარმა ხელმძღვანელებმა შემდეგი განაცხადეს:

ლაშქრობის დაწყებიდანვე „წითლებისა" და „ლურჯების" ძალები დიდათ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. „წითლების" რაზმში შედიოდა ორი ლეგიონი, მაშინ, როდესაც „ლურჯების" რაზმი შესდგებოდა მხოლოდ ერთი ლეგიონისაგან. ამ ძალებით მათ მოაწყვეს შეხვედრითი ბრძოლა.

„წითლებმა" თავისი უპირატესობა ქვეითი ჯარის სიმრავლის მხრივ გამოიყენეს მარჯვენა ფრთაზე და იერიშის დროს მათ მიაღწიეს დიდ წარმატებას.

„ლურჯებმა", მიცემული ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის, გამოიყენეს ცხენოსანი ჯარი და ჯავშნიანი ავტომობილები, რომ ამით დაეფარათ ქვეითი ჯარის სიმცირე. მათ აგრეთვე გამოიყენეს ბოლის ფარდა.

მარჯვენა ფრთაზე მათ მოიხმარეს ცხენოსნები და ავტო-ჯავშნიანი დივიზიონი, მოხერხებული და სწრაფი მოქმედებით მოიპოვეს წარმატება და სავსებით აღადგინეს თავისი შერყეული მდგომარეობა.

ნიშანმა „ბრძოლის" დამთავრების შესახებ ორთავე მხარეს მოუსწრო იმ მომენტში, როდესაც უაღრესად იყო დაძაბული მათი მატერიალური საშუალებები და მორალური ძალები.

ჩატარებულმა ტაქტიკურ-საჩვენებელმა მეცადინეობამ, რომლის მიზანი იყო საქართველოს პროფკავშირების გასამხედროება, თანამედროვე ომის ბუნების გაცნობა და შემოწმება ჩვენი სამხედრო მომზადებისა, მოგვცა დადებითი შედეგები.

თავისი სურვილით ლაშქრობაზე გამოსულმა სამიათასიანმა მასამ გამოიჩინა განსაკუთრებული ენერგია და დისციპლინა, როგორც ლაშქრობაზე გამოცხადების, ისე თვით სწავლების ჩატარების საკითხებში.

გამოცხადება ლაშქრობაზე საერთოდ იყო დროული და წესიერი.

სწავლების დროს გამოიჩინეს უდიდესი ინტერესი როგორც თვით მებრძოლებმა, ისე წითელი არმიის მეთაურებმა, რომლებიც მეთაურობდნენ და ხელმძღვანელობდნენ სწავლებას.

ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად მთელი სწავლებისა იყო განსაკუთრებული მჭიდრო კავშირი მშრომელთა და წითელი არმიის მეთაურთა შორის.

ის გარემოება, რომ ლაშქრობის დროს არ ჰქონია ადგილი არც ერთ უბედურ შემთხვევას, მოწმობს იმას, რომ პროფკავშირების წევრები სავსებით შეგნებულად მოქმედებდნენ.

ნაწილების პოლიტიკურმა აპარატმა გამოიჩინა დიდი უნარიანობა, მოაწყო რა 15 წუთის განმავლობაში პარტ. და კომკავშირის უჯრედები, რომელთა გავლენა მებრძოლებზე საგრძნობი იყო ლაშქრობის ყველა მომენტების დროს.

უნდა ვისურვოთ, რომ ასეთ ლაშქრობებს, რომლებსაც აქვთ უდიდესი მნიშვნელობა გასამხედროების დარგში, თავდაცვა-ავიაქიმმა მიიღოს უფრო ცხოველი მონაწილეობა.

ამხ. მიხა ცხაკაია ლაშქრობის შესახებ

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ა.-კ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **მიხა ცხაკაიამ** შემდეგნაირად შეაფასა ლაშქრობის მნიშვნელობა:

„თბილისის პროფკავშირების 8.000-მდე წევრის სამხედრო ლაშქრობა, რომელიც ჩატარებულ იქნა ამიერ-კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის მოღვაწეთა ხელმძღვანელობით, საუკეთესოდ ანხორციელებს **თავისებურ** კავშირს თბილისის მუშებისას, რომლებიც „ბრძოლის ველზე" დაიყვნენ „წითლებად" და „ლურჯებად". 28 ოქტომბერი წარმოადგენს უდიდეს განხორციელებას **მომავალი ნამდვილი ბრძოლისათვის** საბჭოების მტრების წინააღმდეგ. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს გამოცდილება სამხედრო გაწაფვას შესძენს ყველა ეროვნების ახალგაზრდა და უფროს მუშებს, ხელს შეუწყობს, რომ, ასე ვსთქვათ, ახლანდელი საჩვენებელი გასამხედროება გადაიქცეს მომავალი ბრძოლების გენერალურ რეპეტიციად, ხელს შეუწყობს, რომ განხორციელდეს ერთსულოვანი დახმარება ჩვენი სახელოვანი წითელი არმიისათვის. დღეს ლენინური კომკავშირის დემონსტრაცია პოლიტიკურადაც დააგვირგვინებს ამ ღირსშესანიშნავ დღეს. ახალგაზრდა მუშები, რომლებმაც თბილისის გორებთან თოფის წამლის სუნი იყნოსეს, მომავალში, როდესაც საჭირო იქნება, დაიცავენ დიდი ოქტომბრის მონაპოვარს და იტყვიან: „გაუმარჯოს პროლეტარიატის კავშირს ჩვენს სახელოვან წითელ არმიასთან".

მშრომელთა ლაშქრობა

მშრომელთ ლაშქარი
მხნე და აშკარი,
სახე ცინცხალი
მოედვა ფიცხლავ
მლაშე ტბის ნაპირს..
დაჰკრეს საყვირი
და გასაკვირი
გაჩაღდა „ბრძოლა"
ცა მოსჩანს ბროლად
მზით მოვარვარე.
დაფარა არე
ზარბაზნის ბოლმა...
ხალხმა მებრძოლმა
გზები გაკვალა—
სურს სცადოს კვალად
მკლავი და თოფი
მტრის დაუნდობი.
... ფრთებს ვასხამთ ზრახვებს,
ძალა გვაქვს მეხის. -
და დაანახვებს—
მტრებს მოსულს გუნდათ,
ხალხი უტეხი
და განალომი:
თუ როგორ უნდა
შრომა და ომი.

რაჟდენ გვეტაძე.

მლაშე ტბა, 28 ოქტომბერი.

მოწინავე პოზიციებზე

საუბარი მაჩაიძესთან

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. მაჩაიძემ** ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ლაშქრობის შედეგების შესახებ განაცხადა შემდეგი:

ლაშქრობის წინასწარი სამზადისი წარმატებით ჩატარდა. მოლაშქრეთა მთელი რაოდენობა, გარდა მცირე გამონაკლისისა, დანიშნულ დროზე და დაუგვიანებლათ შეიკრიბა მიჩნეულ ადგილებზე. აღსანიშნავია ის მტკიცე დისციპლინა, რომელიც გამოიჩინეს მოლაშქრეებმა.

ჩატარებული ლაშქრობა იყო საჩვენებელი ხასიათის და ამოცანა მიღწეულად უნდა ჩაითვალოს. როგორც „ბრძოლების", ისე მოძრაობის დროს დაცული იყო ყველა ის წესები, რომლებიც აუცილებელია ომში ტაქტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით.



ტყვიამფრქვევი მუშაობს

კავშირის წევრთა შორის ადგილი ჰქონდა ენტუზიაზმს და მოლაშქრეებს არ ეტყობოდა არავითარი დაღლილობა, პირიქით, ლაშქრობის დროს გავლილი მანძილი ეჩვენებოდათ ძლიერ მცირედ.

არ შეიძლება კმაყოფილებით არ აღინიშნოს აგრეთვე ჩვენი სამხედრო ნაწილების ენერგიული მონაწილეობა. სამხედრო ხელმძღვანელობამ თავისი ენერგიულ მუშაობით გადააჭარბა ყოველივე მოლოდინს.

სამოქალაქო ორგანიზაციათა ცხოვრებაში პირველ მაგალითად უნდა ჩაითვალოს სალაშქრო გაზეთის გამოცემა. ლაშქრობის დროს როგორც „წითლების", ისე „ლურჯების" მხრივ გამოცემული სალაშქრო გაზეთები სრულიად ამართლებენ თავის დანიშნულებას, ხაზი უნდა გაესვას აგრეთვე, როგორც გაზეთის რედაქციების, ისე სტამბის თავდადებულ მუშაობას მინდვრად.

ჩატარებულ ლაშქრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კავშირების წევრთათვის საომარ პრაქტიკულ გამოცდილებათა შეთვისებაში. ამ მხრივ ეს ლაშქრობა უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ საუკეთესო მიღწევად.

ლაშქრობის პროცესში თბილისის პროლეტარიატი კიდევ უფრო მჭიდროთ შეკავშირდა პროლეტარულ სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ.

სასურველია, რომ მომავალში ასეთი ლაშქრობები ტარდებოდეს რაც შეიძლება ხშირად, ვინაიდან, როგორც დავინახეთ გამოცდილებამ ასეთ ლაშქრობებს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ პროფკავშირის წევრთა გასამხედროების საქმეში.

მომავალი ლაშქრობების წარმატებით ჩასატარებლად, ჩვენმა პროფორგანიზაციებმა საჭიროა აღნუსხონ ყველა ის ნაკლოვანებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ჩატარებულ ლაშქრობაში. სასურველია, რომ ჩვენმა სამეურნეო ორგანიზაციებმა მეტი მატერიალური და საგნობრივი დახმარება გაუწიონ პროფორგანიზაციებს ლაშქრობების მოწყობის დროს.

სალაშქრო გაზეთები

ლაშქრობის დროს როგორც „წითლების", ისე „ლურჯების" მიერ გამოშვებული იქნა სალაშქრო გაზეთები.

საბარგო ავტომობილზე მოწყობილ იქნა სტამბა. ავტომობილზევე ხდებოდა მასალის აწყობა და გაზეთების ბეჭდვა.

ლაშქრობაზე გამგზავრებამდე გამოყოფილ იქნა სარედაქციო კოლეგიები და გაზეთის თანამშრომლები. ლეგიონების პოლიტ აპარატმა თავის მხრივ მიიღო ზომები გაზეთების უზრუნველსაყოფად მასალით.

„წითლების" გაზეთის სახელწოდება იყო „საბჭოთა დროშა", „ლურჯების"—„საბჭოებისათვის".

ლაშქრობის დროს გამოვიდა „საბჭოთა დროშის" სამი ნომერი და „საბჭოებისათვის"—ორი ნომერი.

გაზეთები აშუქებდნენ ორივე რაზმის მოძრაობა-მოქმედებას, მდგომარეობას „ფრონტებზე", ათავსებდნენ მოლაშქრეთა და ხელმძღვანელების წერილებს ლაშქრობის შესახებ.

გაზეთებში მოთავსებული იყო შესაფერისი ხასიათის სურათები.

აღსანიშნავია იმ ამხანაგების მუშაობა, რომლებიც მუშაობდნენ სტამბებში. მიუხედავათ იმისა, რომ მუშაობა სწარმოებდა ფრიად არა ხელსაყრელ პირობებში, თავისი მოვალეობა მათ ჩინებულად შეასრულეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშაობა შოფერების, რომლებიც თავგანწირვით ებრძოდნენ უგზოობას.

ელ.

მუშკოოპი ლაშქრობაზე

მუშკოოპმა ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა მოძრავი დუქნების მოწყობით, სადაც შეიძლებოდა სურსათ-სანოვაგის და პაპიროსების შეძენა.

ეტყობა, რომ მუშკოოპს ჯერ არა აქვს საჭირო გამოცდილება და არ არის მიჩვეული ოპერაციების წარმოებას „საომარ" გარემოებაში.

მუშკოოპს სჭირია გასამხედროება.

საჭიროა მეტი მოქნილობა და ისეთი სანოვაგის წამოღება ლაშქრობაზე, რომელიც საჭიროა ამ დროს.

კავშირი გაბმულია

მუშკოოპის დუქნებს მრავლად მოეპოვებოდათ შაქარი და პური. ცოტა იყო ამ დუქნებში სასმელი წყლები. მაშინ, როდესაც ჩამოცხა და მოლაშქრეებს მოუსწყურდათ წყალი, დუქნებს სასმელი წყლების მარაგი გამოლეული ჰქონდა.

შემდეგისათვის საჭიროა ამ ლაშქრობის გაკვეთილების გამოყენება.

ხ.

კითხულობენ ლაშქრობის დროს გამოშვებულ გაზეთს

ა.-კ. გეოდეზიურ სამმართველოს მოწყობა

ა.-კ. საგეგმო კომისიამ დაამუშავა და განსახილველად წარადგინა ა.-კ. სახკომსაბჭოში ამიერ-კავკასიის გეოდეზიური სამმართველოს დებულების პროექტი. ა.-კ. გეოდეზიური სამმართველო დაარსებული იქნება, როგორც ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ორგანო. იგი შეასრულებს საკავშირო ს. მ. უ. ს. - თან არსებულ მთავარ გეოდეზიური კომიტეტის დავალებებს და იმუშავებს მისი ხელმძღვანელობით.

ა.-კ. გეოდეზიური სამმართველო თავის მუშაობას აწარმოებს ა.-კ. ყველა რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქებში. იგი უხელმძღვანელებს და ჩაატარებს სახელმწიფო ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ სამუშაოებს, შეაგროვებს, სისტემაში მოიყვანს და დაამუშავებს ასტრონომიულ და გეოდეზიურ მასალებს და სხვა.

სამმართველოს ექნება სამი განყოფილება: ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, კარტოგრაფიული და ფოტო-ლაბარატორია. მასთანვე მოეწყობა გეოდეზიურ ცნობათა ბიურო და სამმართველოს კანცელარია.

ქრონიკა

ამხ. ს. ჯუღელის დაბრუნება

საქ. მიწსახკომ. სახ. კომისარი ამხ. ს. ჯუღელი დაბრუნდა მოსკოვიდან და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

გერმანელთა საავადმყოფოს დახურვა

გერმანელთა საავადმყოფოს დახურვის გამო თბილისის აღმასკომმა დაადგინა საავადმყოფოს შენობა გადაეცეს მეშვიდე შრომის სკოლას, ხოლო მეშვიდე შრომის სკოლის შენობა თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმს. ამ უკანასკნელის გაფართოების მიზნით.

აღმასკომის დადგენილებითვე გერმანელთა ამბულატორიის შენობაში მოთავსებული იქნება საბავშო ბაღი.

თბილისის მაუდის ფაბრიკისათვის უცხოეთიდან მიღებული მანქანები დაიწუნეს

ახალშენებათა კომიტეტმა შეამოწმა გერმანიიდან თბილისის მაუდის ფაბრიკისათვის მიღებული მანქანები და ისინი უვარგისად სცნო. ამის შესახებ ეცნობა ფირმას გერმანიაში და „ტექსტილიმპორტის" სამმართველოს მოსკოვში. ახალშენებათა კომიტეტის შუამდგომლობით „ტექსტილიმპორტმა" თბილისში გამოგზავნა თავისი სპეციალისტი — ინჟ. ვასილიევი, რომელიც ციმერმანის ფირმის წარმომადგენელთან და ახალშენებათა კომიტეტის სპეციალისტთან ერთად მოახდენს მიღებული მანქანების ხელახალ შემოწმებას.

თბილისის აღმასკომში

◆ **უბინაოთა თავშესაფარი.** თბ. აღმასკომმა დაადგინა ყოფ. ვენერიულ საავადმყოფოს შენობაში მოაწყოს უბინაოთა თავშესაფარი.

◆ **საბორტო განყოფილება.** ჯანმრთელობის განყოფილება სადგურის ქუჩაზე ხსნის საბორტო განყოფილებას.

სხვადასხვა

◆ **აღმშენებელთა ყრილობა.** 30 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მუშათა სასახლის მცირე დარბაზში გაიხსნება აღმშენებელთა კავშირის სრ. საქართველოს მე-7 ყრილობა.

◆ **პროფ. პოკროვსკის იუბილეს აღსანიშნავად** დღეს, საღამოს 8 ს. განათლების მუშაკთა სახლში მოხსენებებს წაიკითხავენ: პროფ. გ. ნათაძე—„პოკროვსკი, როგორც ისტორიკოსი" და პროფ. შ. ნუცუბიძე—„პოკროვსკი როგორც მეცნიერი". შესვლა თავისუფალია.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ერევნიდან—არუთინოვს, კამარლუდან—მანუკიანს, ბაქოდან—არაქელიანს, სოხუმიდან—ვალთუსკის.

ა.-კ. ჯანმრთელობის კომისარიატების წარმომადგენელთა თათბირი

ბაქოდან დაბრუნდა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური განყოფილების გამგე ექ. ლ. **ნაზარეტიანი,** რომელიც დაესწრო ა.-კ. რესპუბლიკების ჯანმრთელობის კომისარიატების წარმომადგენელთა თათბირს ამიერ-კავკასიაში ეპიდემიებთან ბრძოლის და კეთროვანთა ახალშენის მოწყობის შესახებ.

თათბირზე გაკეთებულ მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ამჟამად ამიერ-კავკასიაში ადგილი აქვს ქუნთრუშისა და ხუნაგის ეპიდემიას. ეპიდემიები უფრო გავრცელებულია სომხეთში, ნაკლებათ აზერბეიჯანში ხოლო საქართველოში ეპიდემიებს ჯერ-ჯერობით არ ეტყობა გავრცელება. თათბირზე საჭიროდ იქნა ცნობილი სასწრაფო ზომების მიღება სომხეთში და აზერბეიჯანში ეპიდემიების მოსასპობათ.

კეთროვანთა ახალშენი მოწყობილი იქნება შემახიდან 25 კილომეტრის მანძილზე—ფაკრაგიუში.

თათბირი დაიხურა 27 ოქტომბერს.

სას.-სამ. გადასახადი

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სას.-სამეურნეო გადასახადის განყოფილების ცნობით, 15 ოქტომბრისათვის სას. სამ. გადასახადი მთელ—ამიერ-კავკასიაში აკრეფილი იყო 2938176 მანეთის რაოდენობით. აქედან საქართველოში აკრეფილია 687.489 მან., აზერბეიჯანში—1548811 მან. და სომხეთში—701.884 მან. გასული წელს 15 ოქტომბრისათვის სას.-სამ. გადასახადი მთელ ამიერ-კავკასიაში აკრეფილი იყო მხოლოდ 876.732 მან. რაოდენობით. ამრიგად წელს სას.-სამ. გადასახადის აკრეფა გაცილებით უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე გასულ წელს.

საქართველოში სას.-სამ. გადასახადი გაწერილი იყო 3.962.482 მან. რაოდენობით, როგორც გამოირკვა, გადასახადის გამონაგარიშების დროს დაშვებული იყო შეცდომები, რომელთა გამოსწორების შემდეგ გაწერილ გადასახადის ჯამი შემცირებული იქნა 495.361 მანეთით. ამრიგად სას.-სამ. გადასახადი საქართველოში გაწერილია მხოლოდ 3.467.121 მან. რაოდენობით.

15 ოქტომბრისათვის საქართველოში აკრეფილი იყო მთელი გაწერილი გადასახადის 19,8 პროც.

გადასახადის აკრეფა განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს ყოფილ დუშეთის (აკრეფილია მთელი გადასახადის 68,2 პროც.), გორის და ახალქალაქის მაზრებში გადასახადის აკრეფა სუსტად მიმდინარეობს, სამხრეთ-ოსეთში (აკრეფილია მთელი გადასახადის 0,5 პროც.) და სენაკის მაზრაში, სადაც 15 ოქტომბრისათვის აკრეფილი იყო მთელი გადასახადის—1,8 პროცენტი.

ახალი ინჟენერების გამოშვება

ამას წინედ მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა ინჟენერთა მეორე გამოშვება.

ფაკულტეტის საჯარო სხდომაზე სადიპლომო შრომები დაიცვეს და ინჟენერ-სპეციალისტის სახელწოდება მიიღეს—მ. ხუცურიანმა (ელექტრო-ტეხნიკოსი), პ. ჯიქიამ (აღმშენებლობის სპეციალისტი), კ. ფერაძემ (აღმშენებელი) და მ. ბრეგვაძემ (სამთამადნო საქმეთა სპეციალისტი).

ამგვარად სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურმა ფაკულტეტმა სულ გამოუშვა 10 ინჟენერი-სპეციალისტი. ექვსი—გაზაფხულზე და 4 უკანასკნელად.

შემთხვევები

მესამე სართულიდან გადმოვარდნა

გუშინ, დღისით, სპარსულ სასწავლებლის შენობის (კომუნალური ქ. № 56) მესამე სართულიდან უცაბედად გადმოვარდა მოწაფე ნარიმან მუსაევი (მცხ. პეტროვის ქ. № 5), რომელიც მძიმედ დაშავდა. მუსაევს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

ქურდობა თბილისის სადგურში

სიღნაღის მუშკოოპის გამგეობის წევრმა ლევან ქუბულაშვილმა განაცხადა სისხლის სამართლის სამძებრო მილიციაში, რომ მას თბილისის სადგურში ვიღაც ბოროტმოქმედმა მოპარა ჩემოდანი, რომელშიაც ჰქონდა 3560 მანეთი კოოპერატიული ფული და სხვადასხვა ნივთები.

ქურდობა

კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდეს დავიდ ჩიტაძის დუქანში (მელიქიშვილის ქ. № 181);—გაქურდეს ოქრო გორჩილაძის დუქანი (ლენინის ქ. № 27), წაიღეს 110 მანეთი;—მ. კაპლანის ბინიდან (კეცხოველის ქ. № 2) მოიპარეს 200 მანეთის საოჯახო ნივთები;—ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ალაზე ტონოიანცის სავაჭრო მაღაზია (ორბელიანის ქ. № 36), მოპარულია 100 მანეთის სხვადასხვა ნივთები.

სასამართლო

გამფლანგველ ა. ლოლას გასამართლება

(საჩვენებელი პროცესი)

გუშინდელი დღის განმავლობაშიაც მუშაობდენ მხოლოდ ექსპერტები.

დღეს, საღამოს, სრულ 6 საათზე სასამართლოს სხდომა გაიხსნება მუშათა ცენტრალურ კლუბშიდ. სასამართლოს თავიანთ დასკვნებს წარუდგენენ ფოტო-ექსპერტები, კალიგრაფ-ექსპერტები და საბუხჰალტერო ექსპერტები.

ექსპერტების პასუხის განხილვის შემდეგ დაიწყება მხარეების კამათი.

განაჩენს უნდა მოველოდეთ ხვალისათვის.

გ. არჩუაშვილის საქმე

დამთავრდა მოწმეების დაკითხვა. საბუხჰალტრო ექსპერტიზას დაევალა გაფლანგული თანხის რაოდენობის სისწორით გამორკვევა.

დღეს შესდგება მხარეების კამათი და გამოტანილი იქნება განაჩენი.

შემთხვევა „ჟოკეი კლუბ"-ში

ა. წ. 1 სექტემბერს „ჟოკეი კლუბ"-ში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: მოქ. **შოთა გედევანიშვილმა** საღამოს 8 საათზე, როცა კლუბი სავსე იყო ხალხით, მოკვლის მიზნით რევოლვერი ესროლა მოქალაქე გრიგოლ სონგულაშვილს, რომელიც ხალხში იდგა და კონცერტს უსმენდა. ტყვია ასცდა სონგულაშვილს, გედევანიშვილს, რომელსაც ხელმეორედ უნდოდა სროლა, იქვე მდგომმა მოქალაქეებმა სტაცეს ხელი რევოლვერში და მოინდომეს მისი განიარაღება. ამ დროს მეორედ გავარდა რევოლვერი. ტყვია მოხვდა იქვე მდგომ მოქალაქეს კვაჭაძეს და ხუციშვილს, რომლებიც მძიმედ დაიჭრნენ.

გედევანიშვილი დაპატიმრებულ იქნა.

უკვე დამთავრდა ამ საქმის გამოძიება და გამოირკვა შემდეგი:

თომა სონგულაშვილი და შოთა გედევანიშვილი ძველი მეგობრები იყვნენ. მათ შორის კარგი ამხანაგური დამოკიდებულება იყო მუდამ, მაგრამ ერთმა გარემოებამ ჩამოაგდო მათ შორის მტრობა.

თომა სონგულაშვილი ამ რამდენიმე წლის წინ დაპატიმრებული იყო ზაჰესის სალაროს გაძარცვისათვის, რაც მას დაუმტკიცდა და მიესაჯა 2 ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა.

სონგულაშვილმა ეჭვი აიღო თავის ამხანაგ გედევანიშვილზე, რომელსაც მან ნაძარცვი ფული ასესხა და რომელსაც მისი აზრით შეეძლო გაეცა იგი და ჯერ კიდევ ციხიდან ემუქრებოდა მას მოკვლით.

გედევანიშვილი შეშინებული იყო და ყოველმხრივ ცდილობდა შუა-კაცების საშუალებით სონგულაშვილის შერიგებას, მაგრამ უშედეგოდ.

შემთხვევის დღეს, საღამოს სონგულაშვილი ერთ-ერთ ოჯახში თავს დასხმია შესარიგებლად მისულ გედევანიშვილს, მაგრამ მიზანი ვერ მოუყვანია სისრულეში.

შოთა გედევანიშვილი, რომელმაც იცის, რომ სონგულაშვილი მას მოკლავს უპირობოდ, ართმევს თავის ამხანაგს მურად ჯიჯავაძეს რევოლვერს და მიდის „ჟოკეი კლუბ"-ში, სადაც მას სონგულაშვილი ეგულება.

დაინახა თუ არა სონგულაშვილი, რომელიც ხალხში იდგა და კონცერტს უსმენდა, გედევანიშვილი მიეპარა მას და 5 ნაბიჯის მანძილიდან ესროლა, მაგრამ ააცილა. ხალხში ატყდა ჩოჩქოლი, წივილ-კივილი, ყველანი მიიფანტ-მოიფანტნენ. როცა გედევანიშვილს რევოლვერის წართმევას უპირებდენ, ამ დროს უცაბედად გავარდა რევოლვერი და დაიჭრა ორი ზემოდ დასახელებული მოქალაქე.

დაპატიმრებული და პასუხისგებაში არიან მიცემული როგორც შოთა პაატის ძე გედევანიშვილი, ისე თომა გრიგოლის ძე სონგულაშვილი.

პასუხისგებაში არის აგრეთვე მიცემული მურად ჯიჯავაძე, რომელმაც გედევანიშვილს ხელი შეუწყო ბოროტმოქმედების ჩადენაში—რევოლვერის გადაცემით.

საქმეს გაარჩევს თბილისის სამაზრო სასამართლო.

გერ.

ხელოვნება

თბ. მუსიკალური სატირის თეატრი

განაახლა მუშაობა თბილისის მუსიკალურ სატირის თეატრმა. თეატრი ჩამოყალიბებულია კოლექტივის სახით გ. ბუხნიკაშვილის ხელმძღვანელობით. რეჟისორი გ. ხელაია. ცალკე დადგმები ექნებათ რეჟისორებს კ. პატარიძეს და მ. ჭიაურელს. დასი შესდგება 14 მსახიობისაგან. თეატრმა მიიღო სათანადო ორგანიზაციებისაგან საკმაო მატერიალური დახმარება. თეატრი იმუშავებს უმთავრესად თბილისის მუშათა კლუბებში და პერიოდულად მოაწყობს გასტროლებს პროვინციაში. უკვე მზადდება მორიგი პროგრამა, რომელიც ნაჩვენები იქნება ახლო ხანში. პროგრამაში შედის სატირული პიესები და საესტრადო ნომრები: „თემში", „გამოცდებზე", „კულტურული რევოლიუცია", „ცანგალა და გოგონა", „მეჩონგურე", „ხრინწაძის ხორო" და სხვ.

ფრანგი დირიჟორი საბჭ. კავშირის შესახებ

ცნობილმა ფრანგმა დირიჟორმა **რენე ბატონმა** საბჭოთა კავშირიდან პარიზში დაბრუნების შემდეგ „პარი სუარ"-ის თანამშრომელთან საუბარში აღფრთოვანებით მოიხსენია საბჭოთა კავშირი. რენე ბატონმა აღნიშნა მუსიკალური კულტურის მაღალი დონე საბჭ. კავშირში და ის, რომ საბჭოთა საზოგადოება კარგად იცნობს საფრანგეთის მუსიკას. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ საბჭოთა სიმფონიური ანსამბლების მონაწილენი მეტ ხელფასს იღებენ, ვიდრე ფრანგი მუსიკოსები. პარიზელმა დირიჟორმა აღფრთოვანებით მოიხსენია ბაქოს აკადემიური ორკესტრი. „ბაქოში ყოფნასთან დაკავშირებულია ჩემი საუკეთესო მოგონებები",—სთქვა რენე ბატონმა.

ბატონს განზრახული აქვს ახლო ხანში კვლავ ესტუმროს საბჭ. კავშირს.

კინო

„პირველი კორნეტი სტრეშნიოვი"

მოსკოვში საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ მოიწვია საზოგადო კრება, რომელზედაც მოხდა საქ. სახკინმრეწვის ახალი სურათის „პირველი კორნეტი სტრეშნიოვი"-ს განხილვა. სურათის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ „პირველი კორნეტი სტრეშნიოვი" მორიგი თვალსაჩინო მიღწევაა საბჭოთა კინომრეწველობაში, კერძოდ საქ. სახკინმრეწვის მუშაობაში, როგორც თავის შინაარსით, ისე მხატვრულად შესრულების მხრივ.

სურათი დადგმულია მ. ჭიაურელის და ე. ძიგანის რეჟისორობით.

— **„ჯანყი გურიაში"** რეჟ. წუწუნავამ დაასრულა სურათ „ჯანყის" მონტაჟი. სამხატვრო საბჭოს მიერ სურათი მოწონებულ იქნა და ნებადართულია გამოსაშვებათ. საქართველოში „ჯანყი" წავა ორ სერიათ და ნაჩვენები იქნება ნოემბრის მეორე ნახევარში. რუსეთში „ჯანყი" წავა ერთ სერიათ.

— **„თეთრი მხედარი"**-ს გადასაღებათ მოწვეულია ოპერატორი მალპერინი. „თეთრი მხედარი"-ს შინაარსი აგებულია ანტირელიგიურ თემაზე. სურათის სცენარი წინასწარ წაკითხული იქნება უღმერთოთა საზოგადოებაში პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

— **რეჟ. პუშის** ჯგუფმა დაასრულა სურათ „მალარია"-ს ზოგიერთი ნაწილების გადაღება ალაზნის ხეობაში და გაემგზავრა ფოთის რაიონში სურათის დანარჩენი ნაწილების გადასაღებათ.

— **ახალი სურათები.** რეჟ. ბერიშვილი ამთავრებს სურათ „ღრუბელთა თავშესაფარი"-ს მონტაჟს და რეჟ. მარჯანიშვილი „კომუნარის ჩიბუხს".

— **„სახკინმრეწვის ჟურნალი № 1".** საქ. სახკინმრეწვი შეუდგა პერიოდულ კინო-ჟურნალის გამოშვებას. ჟურნალს ეწოდება „სახკინმრეწვის ჟურნალი". ჟურნალის პირველი ნომერი გამოვა ამ დღეებში. პირველ ნომერში ნაჩვენები იქნება: კომინტერნის დელეგაციის ჩამოსვლა, კურორტ შოვის გახსნა, კაზანსკის და პანაიტ ისტრატის ჩამოსვლა თბილისში, მე-IV სტუბერკულიოზო ყრილობა და სხვ. უკრაინის კინომრეწველობასთან დადებულია ხელშეკრულება ქრონიკის გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

— **თბილისის პროფკავშირთა სამხედრო მანევრები** გადაღებულია ეკრანზე და ნაჩვენები იქნება „სახკინმრეწვის ჟურნალ № 2"-ში.

— **ახალი აპარატურა.** სახკინმრეწვმა მიიღო საზღვარ-გარეთიდან აპარატურის ახალი პარტია კინო-ატელიესათვის. მიღებულ მოწყობილობის შორის არის ეგრეთ წოდებული „ვეინერტის მზე" (გამანათებელი აპარატი).

აღნიშნული აპარატი სახკინმრეწვის მიერ პირველად იქნება გამოყენებული საბჭოთა კავშირში.

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთი

კვირას, 28 ოქტომბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა პროფკავშირებს პირველი კატეგორიის გუნდების კალენდარული შეჯიბრებები.

პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ რკინისგზელები და მედსანშრომის მუშაკები (ყოფ. „დინამო-მეორე") ადვილად მოუგებდნენ თავის შედარებით სუსტ მოწინაამდეგეს, მაგრამ მოლოდინი მთლიანად არ გამართლდა. რკინისგზელებმა უმნიშვნელო უპირატესობით დაამთავრეს შეჯიბრება—1:0.

უფრო საინტერესო გამოდგა მეორე მატჩი გემო-კვების მუშაკებსა და საბჭოთა მუშაკებსა და საბჭოთა მუშაკებს შორის. გემოკვების მუშაკებმა ადვილად მოიგეს შეჯიბრება 4:0.

კროსი

ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავის აღსანიშნავად საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიურო 8 ნოემბერს აწყობს ფიზკულტურის წრეების შეჯიბრებას კროსში (რბენა დაბრკოლებებით) გაზ. „მუშა"-სა და „რაბოჩაია პრავდა"-ს გარდამავალ ჯილდოზე.

გადარბენის სტარტი დანიშნულია პროფკავშირების სტადიონზე (ვაკეში) 8 ნოემბერს, დღის 12 საათზე.

გადარბენის მთავარ მსაჯად გამოყოფილია **ჩიკვაიძე.** შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტში არჩეული არიან: თ. სიხარულიძე, ლ. კალენჯერიძე, გ. მერკვილაძე, ჩიკვაიძე და ნ. ამბოკაძე.

დონბასის ნაკრები გუნდის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა დონბასის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც აქ ჩაატარებს ორ შეჯიბრებას.

დღეს, 30 ოქტომბერს, სტუმრებთან თამაშობს პროფკავშირების ნაკრები გუნდი. ხვალ, 31 ოქტომბერს, „დინამო-პირველი". შეჯიბრებები ჩატარებული იქნება დინამოს სტადიონზე. დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.

რკინისგზეზე

სამარშრუტო მატარებლის დამტვრევა

28 ოქტომბერს, ღამით ტაუზ-ტატლუს გადასარბენზე დაიმტვრა სამარშრუტო მატარებელი № 110.

მატარებლის სვლის დროს ერთ-ერთ ცისტერნას გაუტყდა ღერძი. მემანქანემ და კონდუქტორებმა დროზე ვერ შეამჩნიეს ეს და ვაგონმა გაიარა გატეხილ ღერძით ორ კილომეტრზე მეტი.

ამის შემდეგ დაზიანებული ცისტერნა დადგა ლიანდაგის გარდიგარდმო და მას დაეჯახა უკანიდან დანარჩენი ცისტერნები.

დაჯახების გამო დაზიანებული ცისტერნა დაიმსხვრა. მაზუთი დაიღვარა მთლიანად. გზა დაზიანდა ორი კილომეტრის მანძილზე.

მოძრაობა შეწყვეტილი იყო შვიდი საათის განმავლობაში და იგი აღდგენილ იქნა აქსტაფიდან გაგზავნილ დამხმარე მატარებლის საშუალებით.

ამ შემთხვევის გამო სახალხო მატარებლებმა № 3 და 4-მა დაიგვიანეს 3 საათი და 30 წუთით.

მაღალი ტიპის სკოლა

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტი ხსნის მაღალი ტიპის სკოლას.

სკოლის მიზანია რკინისგზის მუშა-მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლება და მათი მომზადება უმაღლეს სასწავლებლებისათვის.

სკოლა იქნება ოთხწლიანი კურსით. მეცადინეობა იწარმოებს საღამოობით.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 30 ოქტომბერი

დღეს, 30 ოქტომბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; ამხ. ნაფეტვარიძის მოხსენება—„საქ. სას.-სამეურნეო კოოპერაცია ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავზე"—ქართულ ენაზე; მუსიკალური ანტრაქტი; ტეხნიკური კონსულტაცია; რადიო-გაზეთი—სომხურ ენაზე; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; კონცერტი სტუდიიდან.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 30 ოქტომბერს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

— **შავ-მუშაკთა სექციიდან**—კოხომერიშვილი მიხეილ კოკოევი, ხარიტონაშვილი, ზარგაროვი კონსტანტინე, წამალაშვილი ივანე, ტონოიანი ლეონი.

— **გონებრივ მუშაკთა სექციიდან**—შაუტიძე ლუკა, ქათამაძე ალექსანდრე, კაციტაძე, კორახაშვილი, რაზმაძე პავლე, კაკაბაძე გიორგი.

— **მედსექციიდან**—პავლოვი, იწაგსამაშვილი ეკატერინე, ქავთარაძე ეკატერინე, სემიონოვი სოფიო, გოგავა ნინო.—ამავე სექციის გამგის მიერ მიღებულია სხვადასხვა მაზრებიდან მოთხოვნილებები, სადაც საჭიროა რამოდენიმე ბებია-ქალი.

— **კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან**—ასრატოვი გრიგოლი, ბადიანი გაიკ, მიკირტაჩევი ნაცაპეტი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება იუწყება, რომ, დღეს, 30 ოქტომბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგება თბ. კომიტეტთან არსებულ **საკვალიფიკაციო კომისიის მორიგი სხდომა.** ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: **ზედია** (თბ. კომიტეტის აგიტპროპგანყოფილება). **სერგო მეგრელიშვილი** (საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია), **აგრბა, ასათიანი** (თბ. აღმასკომის საღრიცხვო-განმ. განყ.). **ჰურლულია.** (თბ. აღმასკომის კოლექტივი), **ადიკაშვილი** (თბ. აღმასკომის მიწადმომქ. განყოფილება). **შანიძე** (თბ. აღმასკომის მიწადმომქ. განყოფილება), **მარკმანი** (საქ. პროფსაბჭო) **სტეფანე აკოპოვი** (თბ. აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილება).

საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია განმეოსაკონფლიქტო კომისია იუწყება, რომ, ოთხშაბათს, 31 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, ცეკას შენობაში (რუსთაველის პრ. № 20), მოწვეულია საკონფლიქტო კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ კომისიის ყველა წევრები და სამეურნეო დარგის მუშაკები და აგრეთვე ის ამხანაგები, რომელთა საქმეები განხილული იქნება საკონფლიქტო კომისიის სხდომაზე: ხუროშვილი, ნონიკაშვილი, მარლამაზიანი, მირაქოვი, დიმაკსიანი, ჩიქოვანი, მურადოვი, ჩახნაშვილი, ძაბიძაშვილი.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის უჯრედის ყველა პარტ. კანდიდატებს, გამოცხადდენ დღეს, 30 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე ბიურო-კოლექტივში კანდიდატების შემმოწმებელ კომისიაში.

დღეს, 30 ოქტომბერს, საღამოს 6 ნახევარ საათზე, ს. ს. ს. რ. პოლიტგანათლების მთავარმმართველობის შენობაში შესდგება ს. ს. ს. რ. „უღმერთოთა კავშირის" ცენტრალური გამგეობის გაფართოებული სხდომა. დღის წესრიგი: 1. სკოლების ანტი-რელიგიური მუშაობის შესახებ, 2. პროპაგანდისტთა კადრის შესახებ, 3. სრ. საქ. „უღმერთოთა კავშირის" ყრილობის მოწვევის შესახებ. შემდეგი ამხანაგების დასწრება აუცილებელია: იმედაძე, ორაგველიძე, ადამიანი, გასან-ზადე, ბუჯიაშვილი, დეკანოზოვი, გურგენიძე, გოგუაძე, ზელოზეროვი, მ. გოგიბერიძე, აბესაძე, მანტკავა, საქიანი, ხრისტოლიუბოვი, ბოგდანოვი.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს, რომ დღეს, 30 ოქტომბერს, დილის 10 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა.

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა, დაუგვიანებლივ.

საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია განმეორებით სთხოვს ამხ. ისაკი სარჩიმელიას სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში (რუსთავ. პრ. № 24, მესამე სართული, ოთახი № 11).

სამშაბათს, 30 ოქტომბერს, საღ. 7 საათზე, შესდგება პოლიტექ. ინსტიტუტის მექ. ფაკ. ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება, დასწრება წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

წინადადება ეძლევა ამხ. კობახიძეს ვლადიმერ დიმიტრის ძეს გამოცხადდეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო-განმანაწილებელი განყოფილების საღრიცხვო ქვე-განყოფილებაში ამხ. კვირკველიასთან (ოთახი № 23).

იურიდიული დახმარება

გიორგი დალაქიშვილს

კითხვა:

ვიყავი უმუშევარი და ვღებულობდი დახმარებას დამზღვევ სალაროდან (27 მან.) როგორც უმუშევარი. მიმდინარე წლის 15 მაისს გამიწვიეს სამთვიან შეკრებაზე ტერნაწილში: დამზღვევმა სალარომ შემიწყვიტა დახმარება. გთხოვთ მიპასუხოთ: შეუძლია თუ არა ჩემი ოჯახის წევრებს მიიღონ ხსენებული დახმარება ამ სამ თვის განმავლობაში.

პასუხი:

თუ თქვენი თანატოლები, რომელნიც ჩარიცხული არიან მსროლელ ნაწილების საკადრო შემადგენლობაში, ჯერ კიდევ წითელ ჯარის ნაწილებში იმყოფებიან, თქვენ გქონდათ უფლება მიგეღოთ წინდაწინ მხოლოდ ორი კვირის დახმარება. დანარჩენი დროის დახმარების მიღების უფლება არა გაქვთ. მაგრამ თუ თქვენი თანატოლები, რომელნიც ჩარიცხულნი იყვნენ მსროლელთა ნაწილების საკადრო შემადგენლობაში, იმყოფებიან ეხლა გრძელვადიან შვებულებაში, გაქვთ უფლება მიიღოთ დახმარება არა უმეტეს ერთი თვისა ერთი საკალენდრო წლის განმავლობაში.

ალექსანდრე ოდიშარიას

კითხვა:

ვარ ღარიბი გლეხი. მყავს ხუთი შვილი. ყველა შვილების მოვლა არ შემიძლია. ერთი შვილი 11 წლისაა, მსურს მივაბარო ბავშთა თავშესაფარში. როგორ მოვიქცე, რა არის ამისათვის საჭირო და ვის მივმართო?

პასუხი:

მიმართეთ განათლების სახალხო კომისარიატს ან რომელიმე საბავშო სახლს თქვენი შვილის მიღების შესახებ.

ა. კუტუბიძეს

კითხვა:

დაბადებული ვარ 1902 წელში. 1924 წლიდან მასწავლებელი ვარ. მასწავლებლების ერთი ნაწილი გადის სამხედრო სამსახურს, ტერ-ნაწილში უმრავლესობა—კი განთავისუფლებულია, როგორც მასწავლებელი. რატომ არ ანთავისუფლებენ ყველას?

პასუხი:

ყველა სოფლის მასწავლებელს 1 და 2-საფეხურის სკოლებისა, პროფესიონალურ-ტეხნიკური სკოლებისა და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებისა, მათი სამსახურის მთელი ხნის განმავლობაში ეძლევათ შეღავათი. როგორც ჩანს, თქვენ მსახურობთ სხვაგარ სკოლაში.

უმუშევარს წიგნ. № 2775

კითხვა:

ორი თვის წინად, სახლის ჩამორთმევამდე დავიქირავე ერთი ოთახი. მიცემული მაქვს ერთბაშათ ერთი წლის ქირა. ამჟამად სახლის პატრონს ჩამოერთვა სახლი. მაქვს თუ არა უფლება დავიბრუნო დანარჩენი ქირა და რამდენი უნდა ვიხადო. ვიღებ 22 მან. 50 კაპ.

პასუხი:

სახლის პატრონს შეგიძლიათ გადაახდევინოთ ზედმეტი (აღმასკომის ხელში სახლის გადასვლის დღიდან) ფული, ამ დღიდან კი უნდა უხადოთ აღმასკომს 4 კაპ. კვადრატიულ მეტრზე.

ახალი გავაზ. ზარეგინ სოლომონიშვილს

კითხვა:

ვარ ღარიბი გლეხი და მყავს ორი შვილი. შეიძლება თუ არა ჩემი შვილი აიყვანონ სახელმწიფო ხარჯზე, და თუ შეიძლება, ვის მივმართო?

პასუხი:

შეგიძლიათ მიაბაროთ თქვენ შვილი საბავშო სახლში, თუ იქ თავისუფალი ადგილი იქნება. ამის შესახებ უნდა სთხოვოთ საბავშო სახლს ან განათლების კომისარიატს.

მეუღლე ილია ალექსის-ძე, დედამთილი სალომე, მამამთილი ალექსი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის მეუღლე - დანარჩენების კი—რძალი

ეკატერინე (კატუშა) სტეფანეს ასული თორთლაძე-ბუაძისა

დაკრძალვის დღეთ დანიშნ. სამშაბათი. 30 ოქტომბერი, დღის 3 ს. კობის ქ. 9. 4700

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი დედა ელისაბედი, ძმები: ტრიფონ, ბესარიონ, შალიკო და ვასიკო, რძლები: ვერა და ქსენია; კასიანე და ეფრემ ყუბანეიშვილები ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ერთად ერთი ნუგეში

ეკატერინე (კატუშა) სტეფანეს ასული თორთლაძე-ბუაძისა

დაკრძალვის დღეთ დანიშნულია სამშაბათი, 30 ოქტომბერი, დღის 3 საათ. გამოსვენება საკუთარ ბინიდან კობის ქუჩა № 9. ვერის ახალ სასაფლაოზე. 4700

სახალხო მაქულთა ტრესტის თანამშრომლები გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას ძვირფას ამხ. ილიკო ბუაძის მეუღლე

კატუშა სტეფანეს ასული თორთლაძის

უდროოთ გარდაცვალების გამო. 4694

მიწსახკომის თანამშრომლები გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას ძვირფას ამხ. ილიკო ბუაძის მეუღლე

კატუშა სტეფანეს ასულ თორთლაძის

უდროოთ გარდაცვალების გამო. 4695

გულმოკლული შვილი კოკონა ღოლობერიძე, პატარა ქალით ქეთოთი, ძმა იოსებ ხაუბათოვი მეუღლით და ელენა ჟორჟოლიანისა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 27 ოქტომბერს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ანა სტეფანეს ასული ღოლობერიძისა

რომლის გამოსვენება მოხდება ყოფ. ნიკოლოზის (ვერის) სასაფლაოდან 30 ოქტომბერს, 4 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე სამოქალაქო წესით. 4683

დაიწუხრებული დედა ელისაბედ, დები ქსენია და მარიამი, ძმები ვასო და შოთა ურუშაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

მიხეილ ნოეს-ძე ურუშაძის

უდროოდ გარდაცვალებას გამოსვენება მადათოვის ქ. № 5 ნაშუადღევის 3 ნახ. საათ. სადგურში წასასვენებლად. დაკრძალვის დღე (ოზურგეთში) ცალკე იქნება გამოცხადებული

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ალექსანდრე (საშა) ბზიავა, დედა იულია ესებახი, ქალიშვილი ლიუსია კახეთელიძისა, დედამთილი პელაგია ბზიავასი, მაზლი დავით ბზიავა, ქმრის მამიდა მანია თოფურიძისა ქმრით სამსონ თოფურიძით, ქმრის ბიძაშვილი ნესტან კალანდარიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს უსაყვარლესი

მარიამ (მუსია) პარლოს ასული ბზიავას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ოლღის საბებიო ინსტიტუტიდან, ლენინის ქ. № 50. 4697

თბილისის სატრამვაოს მუშა-მოსამსახურენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 28 ამა ოქტომბერს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა სამაგალითო ამხანაგი და თანამშრომელი

ეკატერინე (კატუშა) სტეფანე თორთლაძის ასული ბუაძისა

რომლის დაკრძალვის დღეთ დანიშნულია 30 ოქტომბერი 1928 წ. გამოსვენება კობის ქუჩა № 9, ნაშუადღევის 3 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 4693

გულმოკლული ქმარი დავით იაგორის-ძე შვილებით: მარო მეძმარიშვილისა ქმრით და შვილებით, ანა, თამარი, მიხეილი, ვლადიმერი და ნიკოლოზი თავიანთ ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 28 ოქტომბერს გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ცოლი, დედა და ბებია

ელისაბედ ნიკოლოზის ასული ჩხეიძისა

დაკრძალვა მოხდება 1 ნოემბერს, ს. ობჩაში. 4696

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: დოროთე, ციცო, დომინიკა ხონელიძეები, კასიანა დათუაშვილისა ქმარ შვილით, ბიძაშვილები ხონელიძეები აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს რომ 28 ოქტომბერს თბილისში საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ანასტასია გახუს ასული მატახერია-ხონელიძისა

დაკრძალვა ფოთში. 4689

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ზაქარია შვილებით: ვანო, სტეფანე, სერაფიმა და ნიკო ტალიაშვილები, დედა და დაი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

მარიამ დავითის ასული ტალიაშვილის

გარდაცვალება. გამოსვენება საკუთარ ბინიდან საბუნოვის (ფეოდოსიევის) ქ. № 17, სამშაბათს, 30 ოქტომბერს, სრულ 3 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 4686

სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრი
ზამთრის სეზონის გახსნა

ხუთშაბ. 1 ნოემბერს
(აბონემენტის გარეშე)
აბესალომ და ეთერი
ეთერი—ვ. მ. მრავალი, აბესალომი—ნ. გ. ქუმსიაშვილი, მურმანი—ვ. ს. ქაშაკაშვილი.
დადგმა—კ. ა. მარჯანიშვილის და ა. ვ. ახმეტელის. დირიჟორი—სახ. არტისტი ნ. პ. ფალიაშვილი

შაბათს 3 ნოემბ.
(აბონემენტის გარეშე)
მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერის, რესპუბლიკის დამსახ. არტისტის
კ. გ. დერჟინსკაიას მონაწილეობით
პიკის ქალი
ლიზა—კ. გ. დერჟინსკაია, გრაფის ქალი—ნ. გ. რებეზოვა. გერმანი—ა. ლ. დროზდოვი, ტომსკი—ვ. ი. ლუკანინი, ელეცკი—პ. ა. პავლოვსკი. დადგმა ნ. ნ. ბოგოლიუბოვის. დირიჟ. მოსკოვის დიდი თეატრის დამსახ. არტისტი ა. ვ. პავლოვ-არბენინი.

პარასკევს 2 ნოემბერს
(აბონემენტის გარეშე)
ფატმა მუხტაროვას მონაწილეობ.
კარმენი
კარმენ—ფ. მუხტაროვა, მიქაელა—რ. ზ. სპექტორ-ზაბორსკაია, ხოზე—ა. ა. დროზდოვი, ესკამილიო—ა. ი. ინაშვილი. დადგმა—ნ. ნ. ბოგოლიუბოვის. დირიჟორი—მოსკოვის დიდი თეატრის რესპუბლიკის დამსახ. არტისტი ა. ვ. პავლოვ-არბენინი.

კვირას 4 ნოემბ.
(აბონემენტის გარეშე)
ფატმა მუხტაროვას მონაწილეობ.
აიდა
ამნერის—ფატმა მუხტაროვა, აიდა—ს. ა. ვარშავსკაია, რადამესი—ვ. მ. გრიგინევიჩი, რამფის—ლ. ნ. ისეცკი, ამონასრო—ა. ი. ინაშვილი.
დადგმა ნ. ნ. ბოგოლიუბოვის დირიჟორი—სახ. არტისტი ნ. პ. ფალიაშვილი.

სამშაბათ 6 ნოემბერს
I-ლ აბონემენტის პირველი წარმოდგენა

დაწვრილები ი—ცალკე აფიშებში.—წარმოდგენის დასაწ. საღამოს სრულ 8 ს. სალაროები ღიაა ყოველ დღე (გარდა ორშაბათისა) 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 6 საათიდან. ნ. 1735 2—1

„კოლოსი"
1928/29 წლ. (ზამთრის) სეზონი
ანონსი! ამ დღეებში ცირკი „კოლოსის" სანახაობათა საზეიმო გახსნა
ახლად შედგენილ დასში შედიან საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის გამოჩენილი არტისტული ძალები. პროგრამა ევროპიულ ცირკების მასშტაბისაა.
პროგრამა შეიცავს საცირკო ხელოვნების ყოველ სფეროს.
ყველაფერი თბილისისათვის პირველად!
ყოველ სამ დღეში ახალი გასტროლები
თვალყური ადევნეთ რეკლამას! წაიკითხეთ აფიშები.
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი თბ. ცირკის გამგე მ. ი. ტადე
რწმუნებული კ. მ. გრომიცკი
3—1 ნ. 1750

ჩამოდის! ანონსი! ჩამოდის!

ამ დღეებში ჩამოვა და „ჟოკეი კლუბის" ბაღში (ყოფილ არტოში) მოთავსდება საბჭოთა კავშირში ერთერთი უდიდესი მმოძრავი სამეცნიერო-საცდელი სამხეცე
„ცხოველთა სამეფო"
ცნობილი ნატურალისტ-ზოოლოგის გ. ი. ბოიკოს ხელმძღვანელობით. სამხეცეს ჩამოჰყავს ზღვის, ხმელეთის, პოლიარული, ტროპიკული, ტბის, მდინარია, ტყისა და მთის აუარებელი მხეცი ფრინველი და ქვეწარმავალი. სამხეცეს გახსნის დღე ცალკე გამოცხადდება 3—1 ნ. 1746

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 31 ოქტომბერს, დილის 11 საათ. კომუნალური ქ. № 106, 12 საათზე ალავერდის ქ. № 2 და 1-ლ საათზე პუშკინის ქ. № 4 და 6-ში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ, გაიყიდება მოქ. ტამპაშევის 1000 ფუთი წებოს სახარში ტყავი, მოქ. მაზყუხინის მავთულის ბადე (сетки) და მოქ. გოლომბეკის სხვადასხვა საღებავები. ნ. 1754

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირყვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა
ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ელსმენი—11—78. ნ. 25—2

ექიმი
ანასტასი ლევის ძე
ოროლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალიარია) ამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქუჩა) № 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
დარეჯან ე. თაყაიშვილი-კაკუბერი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდციხის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,
მიღება დილის 8—9 საათ. საღამ. 5—8 საათ.

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგაოკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 25—1

აღრიცხვის მუშაკთა გაერთიანების
საანგარიშო-ეკონომიური კურსები
აღრიცხვის მუშაკთა გადასამზადებლად.
გრძელდება ჩაწერა ქართულ და რუსულ სექციონზე, გადასახადი 3 მანეთიდან 8 მანეთამდე, ხელფასის მიხედვით.
რეგულიარული მეცადინეობა დაიწყება 1 ნოემბერს.
ცნობების მიღება შეიძლება აღრიცხვის მუშაკთა გაერთიანებაში (მუშათა სასახლე, ოთახი № 73). ნ. 1755 2—1

თბილისის შრომის ბირჟასთან არსებული კოლექტივი
„ამერიკანკა"
ლენინის (ოლღას) ქ., № 46.
აწარმოებს ამერიკული ბარდანებიდან მიღებული ნივთების: პალტოების, კოსტიუმების, ქალის ტანსაცმელის და საბავშვო მორთულობის
გადაკეთებას. გაყიდვა ყოველ დღე საწყობში 8 საათიდან 4 საათამდე, ზომიერ ფასებში. მაღაზიებში: ცენტრალურ ბაზარზე, № 465—40478 და ახალ ბაზარზე №№ 01244—01245 კვირა დღეებშიაც. ნ. 1640

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 25—2

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მშამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 6.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ტელ. 14—23.

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს, 5—6 ქალებს.
25—1

ექიმი ივ. გველესიანის
პარაზიტოლოგიური კაბინეტი
იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38 ელსმ. 6—22 4364 25—1

ა. გ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი (ფსიხოტერაპია)
ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ყორნის (ყოფ. ჯირკის) ქუჩის კუთხე. 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 1. 25—1

კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე
შეღავათიან ფასებში
სწარმოებს ყოველგვარ ხელოვნურ კბილების ჩასმა
და
პროტეზების მომზადება.
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათ მდე.
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 23586 მიხეილ სოლომონის-ძე ნანობაშვილის სახელზე ჩ. გ. 4691

დაიკარგა: მატრიკული მოწმობა № 905 გაცემული სახ. უნ. თამარ სამსონის ასულის ქარსელაძის სახელზე, ჩ. გ. 4698

დაიკარგა: კავშირის საწევრო წიგნაკი № 96439 ნიკოლოზ ჩიტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4688

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო მოწმობა ლადიკო კვაჭაძის სახელზე, ჩ. გ. 4690

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო დროებითი მოწმობა № 211 ვარლამ ღლონტის სახელზე, ჩ. გ. 4699

დაიკარგა: დაზღვევის წიგნაკი № 1897 ლეონიდე ნოდიას სახელზე, ჩ. გ. 4699

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო ბარათი ალექსანდრე მანჯგალაძის სახელზე, ჩ. გ 4699

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო ბარათი და პირადობის მოწმობა სარდიონ მანჯგალაძის სახელზე, ჩ. გ. 4699

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.